ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართველოლოგიის ცენტრი

თინა შიოშვილი

თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში

თბილისი
2014

თინა შიოშვილი *თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში*

მონოგრაფია ეძღვნება საუკუნეთა მანძილზე ჟანრობრივად მრავალფეროვან ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ თამარ მეფის უკვდავ სახეს. მასში შესწავლილია საქართველოს ყველა კუთხისა და ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ ისტორიულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენებურთა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის შემორჩენილი თამარის ციკლის ფოლკლორული შემოქმედება.

ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს, პედაგოგებსა და სტუდენტებს, საქართველოს კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი
პროფესორი **მამია ფალავა**

რეცენზენტები:
პროფესორი **ელგუჯა მაკარაძე,**
აკადემიური დოქტორი **გიორგი მახარაშვილი**

გამომცემლობა „ლამპარი-99"
თბილისი, 2014. 232 გვ.

© თ. შიოშვილი

ISBN 978-9941-0-3998-0

თამარს ვაქებდეთ მეფესა...

„ო, სიხარულო თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!...“
(ხალხური)

აღორძინების ეპოქის დიდებული მეფის – თამარის პიროვნებას უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით გვაცნობს ქართული ფოლკლორი. ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების არც ერთი უბანი არ არის ჟანრობრივად და თემატიკურად ისე მრავალფეროვანი და მდიდარი, როგორიც – ლეგენდარულ მეფე ქალზე შექმნილი ციკლი. საისტორიო ფოლკლორის ეს უბანი ჩვენი სამშობლოს ისტორიის დიდებულ პერიოდს – პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღმასვლის ხანას – ეკუთვნის, რომელიც შემდგომშიც, ქვეყნის ისტორიის მთელ მანძილზე, მისაბაძი, სამაგალითო და საოცნებო იყო.

თამარ მეფის ბუმბერაზ პიროვნებას, მის გამჭრიახ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, მის ზნეობრივ სისპეტაკესა და მოწამეობრივ კდემამოსილებას, ქვეყნისათვის დაუღალავ სამსახურს, ხალხისათვის დედაშვილურ ზრუნვას, მის ზღაპრულ სიმშვენიერესა და უბინოებას, გულმოწყალებასა და გაწონასწორებულობას უმღეროდა ხალხი როგორც უშუალოდ თამარის ეპოქაში, ისე – შემდგომ საუკუნეებში. სახალხო მთქმელთა მრავალმა თაობამ თანამედროვეობამდე მოიტანა ამ

უბადლო მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საისტორიო ნაწარმოებებში ჩაქსოვილი მისწრაფებანი თავისუფლებისა და მშვიდობისადმი, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისადმი, ამაღლებული და განსპეტაკებული ცხოვრებისადმი; გაგვაცნო ჩვენი წინაპრების უდიდესი ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი, რაც ყოველთვის, ყველა ეპოქისათვის, სამაგალითო და მისაბაძია და რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ზნეობრივ-მორალური კათარზისისათვის, აწმყოში განმტკიცებასა და სამომავლო იმედიანობისათვის.[1]

თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების ძირითადი თემებია: ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ, ქვეყნის აღმშენებლობა, თამარ მეფის ღვთისმოსაობა, სასწაულებრივი განაყოფიერებისა და მიტოვებული ბავშვის ტრადიციული მოტივი, თამარ მეფის გარდაცვალება და მისი დასაფლავების ადგილი, თამარ მეფე და შოთა რუსთაველი.[2] ამ თემებზე შექმნილ ფოლკლორულ ნაწარმოებებში გაცხადებული ზნეობრივი იდეალები დასტურია ჩვენი ხალხის ოდინდელი ეთიკურ-ესთეტიკური დონისა და, ამავე დროს, ყველა დროისა და ეპოქის მოწინავე იდეებს ეხმაურება.

როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, „თამარის პოეტურ სახეში ერთად არის

---

1 თ.შიოშვილი, ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები ქართულ ხალხურ საისტორიო პოეზიაში (თამარ მეფის ციკლი). – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. X, თბ., 1990, გვ. 24–41.

2\ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბ., 1961, გვ. 26.

მოცემული ისტორიული და ფანტასტიკური, ნამდვილი და ზებუნებრივი, მითურ-ზღაპრული. თამარის ციკლში შესული ზოგი ნაწარმოები წარმართული ხანიდან უნდა მომდინარეობდეს; ზოგი მითური ღვთაება ხალხს დაუკავშირებია ისტორიული თამარისათვის. თქმულებებისა და ლეგენდების რომანტიკულ საღებავებსა და ფანტაზიის გამჭვირვალე სამოსელში, რომლითაც თამარი წმინდანია, ზებუნებრივი, მითური თუ ზღაპრული, იგრძნობა ისტორიული თამარი, რომლის მეფობის დროსაც საქართველოს მტრები იძულებულნი იყვნენ, წამოეჩოქათ ძლიერი სახელმწიფოს წინაშე.[1]

ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი თამარ მეფე თავისი მშობელი ხალხის გულში სიცოცხლეშივე წმინდა და განსპეტაკებული იყო. იგი ღვთაების ტოლად აღიქვა ქართველობამ და ყოვლად უბიწოება და ზნესრულობა მიაწერა. ასეთი ამაღლებული, მისაბაძი მეფისა და მზრუნველის სახე თაობიდან თაობას გადმოეცემა უდიდესი სიყვარულითა და სასოებით.

ხალხი უმიზეზოდ და დაუმსახურებლად არავის განადიდებს, თუმცა „იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც იქმნება დითირამბული... ხალხური ლექსი თუ სიმღერა, რომელიმე მბრძანებელს რომ განადიდებს ხოლმე, მაგრამ ასეთი „ქმნილებანი“ ერთობ დღენაკლულნი არიან – ისინი მბრძანებლის სიკვდილთან ერთად კვდებიან. ხოლო „თამარ-ქალისთანა“ სიმღერებმა რვა საუკუნე გამოიარა და დღესაც მღერის ხალხი პირვანდელი ძალისხმევით.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 25-26.

მაშასადამე, ერის სულის განუყოფელ ნაწილად ქცეულან ისინი, ერს შეუსისხლხორცებია, უკვდავუყვია და ასე ნალოლიავები გადაუცია შთამომავლობისათვის".[1]

თამარ მეფე – ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე თავისი დიდი პაპის – მეფე დავით აღმაშენებლისა, ერის წინაშე ბუმბერაზი დამსახურების გამო, ღმერთთან წილნაყარად შერაცხა ქართველმა ხალხმა:

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ეგ უფრო დიდებულია,
მემრ თამარ ნეფე ვახსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია...[2]

მადლიერმა ქართველობამ მისი სათაყვანებელი მეფე ქალი უზენაეს მნათობს – მზეს გაუტოლა და „მეორე ათინას" – გელათის დიდებულ ტაძარს შეუდარა:

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამა ხარო!
ნეტავ რა არი მისთანა,
საყდარი გელათისთანა,
ამომავალი მზისთანა,
მეფე თამარ ქალისთანა![3]

მემატიანე კი პირუთვნელად ახასიათებდა: „სიმდაბლე უზომო, სიმალლე შეუსწორებელი, სიმშჯიდე საქებელი, სიმქისე ჯეროვანი, ლმობიერება მოწლე, მოწყალება თანა-

---

1 ც. არდაშელია, „საყდარი გელათისთანა...". – ც. არდაშელია, საუნჯე სათნოებისა, თბ., 1986, გვ. 46.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 202.

3 ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, თბ., 1984, გვ. 15. შემდეგში ამ გამოცემას ტექსტშივე მოვიხსენიებთ შემოკლებით: ქ. ხ. პ., XI.

ლმობილი, უმანკოება უზაკუელი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხუე აღუზუავებელი და – თავი ყოვლისა კეთილისა – შიში ღმრთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი, – რომელი-ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო, ვითარ ვერცა ერთი სხუამან ვერვინ".[1]

მეთორმეტე საუკუნე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში „ოქროს ხანად, ერის სულიერი აღზევების ეპოქად არის ცნობილი. თამარ მეფის უზენაეს პიროვნებასთან თანხვდენილი ეს პერიოდი სიყვარულითა და პატივისცემით, უდიდესი მონდომებითა და სასოებით აღინუსხა ზეპირსიტყვიერებაში, რომლის მთავარი ფიგურა და შთაგონების წყაროა კაცთმოყვარეობითა და სამშობლოსადმი თავდადებით, ზნეობრივი სისპეტაკითა და უბინოებით, სულგრძელობითა და გულმოწყალებით, შრომისმოყვარეობითა და იშვიათი სიალმაზით შემკული დიდებული და „ღმრთივგანათლებული", „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული" მეფე თამარი.

„მზეებრ უხვი და უშურველი, სიბრძნისა და სათნოების საუნჯე მზეთამზე თამარი მარტოოდენ მემატიანეთა ქაბა-დიდების ობიექტი როდი იყო; არც ოფიციალურ მეხოტბეთა და კარის პოეტთა მუზად რჩებოდა მხოლოდ; თამარს აქებდა და ადიდებდა მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი გულისთქმა და გონება; მისადმი მიძღვნილ სადიდებელ სტრიქონებს ქმნიდნენ უბრალო ადამიანები,

---

1 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 147.

სახალხო მელექსენი და თაობიდან თაობას ზეპირად გადმოსცემდნენ სახელმწიფოს გამჭრიახი მმართველისა და ქვეყნის დიდი მოამაგის ზნესრულ სახებას და რა გასაკვირია, რომ „ყველაზე უფრო სახელგანთქმული, აღმატებული, საყვარელი, გონებამიუწვდომელი და იდეალური პიროვნება ხალხურ სიტყვიერებაში მაინც თამარ მეფეა – შვილიშვილი დავით აღმაშენებლისა, ღირსეული მემკვიდრე და მოელვარე გვირგვინი მის დიად წამოწყებათა“.[1]

„ქართლის ცხოვრება“ პირუთვნელად მოგვითხრობს, როგორი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით განადიდებდა ხალხი (და არა მარტო ქართველები) სათაყვანო მეფეს, როგორი სიხარულით გამოთქვამდნენ მის სახოტბო ლექსებს: კარის პოეტებთან ერთად სახალხო მგოსნებს „... პირსა შინა პირველ სხუა არარა მოაქუნდა, ვითარ თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან; ფრანგნი და ბერძენნი ზღუასა შინა მენავენი ნიავკეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მის-მიერითა ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა

1 სოლ. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943, გვ. 31.

ოდენ სახელი მისი ასმიოდეს".[1]

უსაყვარლესი მეფე ქალის მიმართ ქართველი ხალხის განუზომელი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშანია მე-17 საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაურის – ევლია ჩელების მიერ ლაზეთში ჩაწერილი ლექსი[2], რომელიც პირველი ლაზური ფოლკლორული ჩანაწერია. ლექსი არაბული ტრანსკრიპციით არის ჩაწერილი; თავად ჩამწერი საყვედურით მიუთითებს: „ლაზიკელთა ენა კალამს არ ემორჩილება, არ ჩაიწერება, ძლიერ უცნაური ენაა".[3] ლექსის ჭეშმარიტი შინაარსის გაგება, როგორც მკვლევარი ს. ჯიქია მიუთითებს, ძლიერ დეფექტური სატრანსკრიპციო საშუალების გამო, ჭირს,[4] მაგრამ, როგორც მკვლევარმა ზურაბ თანდილავამ მიიჩნია, მის მეორე სტრიქონში მოხსენიებულ საკუთარ სახელში „თომორ // თემურ" თამარი უნდა იგულისხმებოდეს. საანალიზო ლექსი ქართულად ასე იკითხება:

ქვეყნად ერთია დამბაჩიანი
თამარ (თემურ) მუდამ გმირი,
ამხანაგი რომ მომკვდარიყო,
დამარხული დალოცა (დამარხულსაც ლოცავდა).[5]

---

1 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 146.

2 ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I. თურქულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. თბ., 1971, გვ. 92.

3 იქვე.

4 ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზების და ლაზურის შესახებ. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 253-254.

5 ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათ., 1972, გვ. 158-159.

რაკი ლაზეთის ისტორიაში თემურად სახელდებული გმირი არ მოიძებნება, ხოლო ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში მტრის განმადიდებელი არცერთი ტაეპი არ არსებობს, მკვლევარი ზურაბ თანდილავა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიიჩნევს, რომ ევლია ჩელების მიერ მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ლაზური ლექსი არ შეიძლება „ქვეყნის დამარბეველი თემურ ლენგის სახელთან იყოს დაკავშირებული... და მხოლოდ და მხოლოდ „თამარ"-ად შეიძლება გავიგოთ".[1]

ზეპირსიტყვიერების ცნობილი მკვლევარი ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: „შვიდი საუკუნეა, ხალხი სიამაყით ინახავს დიადი ქალის ხსოვნას და მის სახელს პოეტური ლეგენდების შარავანდედით მოსავს, მიაწერს რა ყველა სახელოვან საქმეს და საქართველოში უმნიშვნელოვანეს ძეგლთა მშენებლობას. დედოფლის სახე ქვეყნის ყველა კუთხეში ნახევრადმითურ იერს იძენს, რაშიც გამოხატულია ხალხის წარმოდგენა რაღაც უმაღლესზე, მიუწვდომელზე. მის სახელთან დაკავშირებულია მთელი რიგი ლეგენდებისა, სადაც მეფე ქალი მკაცრად განსაზღვრული ისტორიული პიროვნებიდან გარდასახულია ქრისტიანობის წმინდა ქალწულთა ანდა წარმართულ ღვთაებათა თვისებების მქონე ნახევრადმითურ პიროვნებაში".[2]

---

1 ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათ., 1972, გვ. 161.

2 А. Хаханашвили, Очерки по истории грузинской словесности, II, М., გვ. 149.

თამარ მეფე – საქართველოს დიდი დედა

საქართველოს დედოფალი –
დედა ქართლისა თამარი...“
(ხალხური)

თამარ მეფის ციკლის ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება თამარს წარმოგვიდგენს საქართველოს დიდ დედად, ქვეყნის სწორუპოვარ აღმშენებლად და ამაში განგების ნებას ხედავს. ხალხური ლექსი „თამარს უამბო დედამა“ მოგვითხრობს, თუ როგორ არიგებს დედა თავის პირმშოს, შეგნებულად მართოს ქვეყანა, კარგად გაისიგრძეგანოს თავისი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე:

თამარს უამბო დედამა,
შენზედ სიზმარი ვნახეო:
ერთსა სარკეში ჩავხედე,
ხმელეთ სულ დავინახეო,
შენ იყო, შვილო, ქვეყანა,
შაგნებით შაინახეო![1]

ეს მშვენიერი ლექსი გამოიყენა ვაჟა ფშაველამ წერილში „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ლექსს თამარის საქმიანობისა და მისი ისტორიული ეპოქის დასახასიათებლად: „არ ავიწყდება ერს ძველი დროის გმირები, შესანიშნავი ისტორიული პირები და მოვლენანი: თამარი, ერეკლე, ვახტანგი... ამ მოკლე ლექსში მკაფიოდ და მოკლედ არის ნათქვამი თვით სივრცე თამარის დროის ივერიის

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 71.

სამეფოსი და, აგრეთვე, ისიც, რომ ამ სამეფოს ჰყავდა ბრძენი, შეგნებული მეფე, მმართველი – თამარი".[1]

ლექსის ხევსურულ ვარიანტში კიდევ უფრო მაღალ რეგისტრშია აყვანილი დედის რჩევა-დარიგება:

თამარ, შენია ხმელეთი,
შაგნებით შაინახია!
ჭკვივნობა, გონიერება
მთელი ხმელეთის ფასია.

(ქ.ხ,პ., XI, გვ. 214)

თამარის ციკლის ამ დიდებული ლექსის ერთ-ერთი ფშაური ვარიანტი წამძღვარებული აქვს თედო რაზიკაშვილის მიერ 1909 წელს ფშავში ჩაწერილ ლეგენდას „ლეგენდა თამარზედ":

თამარს უამბო დედამა,
შვილო, სიზმარი ვნახეო:
საწუთროს ჯამში ჩავხედე,
სოფელი დავინახეო,
შენ იყო მთელი ქვეყანა,
შეგნებით შეინახეო![2]

ლეგენდის დასაწყისში ფშაველი სახალხო მთქმელი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს: „მალე ასრულდა დედის სიტყვები. თამარი შეიქნა მპყრობელი მართლა მთელი საქართველოსი".[3]

ლექსის ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, წინასწარმეტყველურ სიზმარს თვითონ თამარი ნახულობს. კახურ

---

1 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 102.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 79.
3 იქვე.

ვარიანტში გადმოცემულია თამარის წუხილი, ვაითუ ვერ შევძლო ქვეყნის მოვლა-პატრონობაო; დედა ამშვიდებს და არწმუნებს, რომ მისი მეფობა თვით განგების სურვილია და წინასწარ არის დასაზღვრული. ამით ხალხი გახაზავს მეფის უდიდეს პასუხისმგებლობას თავისი ქვეყნის წინაშე:

ქალმა თქვა თამარ ნეფემა:
– დედავ, სიზმარი ვნახეო.
ჩამბარდა სახმელოთოი,
ვაჰ, თუ ვერ შევინახეო!
– მაშინვე ჩანდა, თამარო,
როდესაც დაიბადეო.
მესამე თვე რომ გაგიხდა,
აკვანშიითა ასდეო,
ჯერ ხელ-პირი ჩამაიბანე,
მემრ პირჯვარ დაისახეო.
ჩიქილა გადაგეხურა,
ვერ გავიგ, სად რა წახვეო,
მოხვედი მეშვიდე წელსა,
სთქვი: შუა ზღვაი ვნახეო.

(ქ.ხ.პ., XI, გვ.213)

სამი თვის თამარის გაუჩინარება შვიდი წლით და წყალთან ზიარება უსათუოდ ინიციაციის არქაულ რწმენას უნდა უკავშირდებოდეს, რაც კიდევ ერთხელ გახაზავს მომავალი მეფის ღვთივკურთხეულობას.

სახელმწიფოს მართვა შეგნებით, გონიერებითა და ჭკუით, ხალხისა და ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა უქადაგა სახალხო მთქმელმა საქართველოს სამეფო ტახტზე ასულ ყმაწვილ მეფე

ქალს, რომლის მოღვაწეობა და რუდუნება ნამდვილად იყო სიბრძნითა და გონიერებით, შეგნებითა და სიკეთით შეზავებული. ამიტომაც უწოდებს ხალხი თამარ მეფეს ყველაზე უკეთესს, ყველაზე საყვარელსა და დიდი სიხარულის წყაროს.

წინასწარმეტყველური სიზმრით უფლისეული სურვილის გაცხადება თამარის გამეფების თაობაზე თამარ მეფის ციკლის ხალხურ პოეზიაში შემთხვევითი მოვლენა როდია. ჩვენ არ ვიცით და ვერც დავადგენთ, როდის შექმნა ხალხმა სტრიქონები, რომელთა თანახმადაც თამარის დედას ან თვითონ თამარს ეძლევა წინასწარმეტყველური ხილვა იმის თაობაზე, რომ თამარი გახდება ქვეყნის მპყრობელი; შესაძლებელია, ეს ლექსი შეიქმნა მოგვიანებით, როცა თამარი ღირსეული მეფე დადგა, მისი საქმიანობისა და პირადი ღისებების გამო, მთელმა საქართველომ შეიყვარა და მისი გამეფება უფლის წყალობად მიიღო; შესაძლებელია, ლექსი შექმნილიყო თამარის გამეფებისთანავე, როცა გიორგი მესამემ, დემნა ბატონიშვილის დამარცხებისა და ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აიცილა და 1179 წელს თავისი ასული თამარი სამეფო ტახტზე აიყვანა, რაც იმ დროისათვის უჩვეულო მოვლენა იყო. თამარის თანამოსაყდრეობით კი გიორგი მესამემ ფაქტის წინაშე დააყენა დიდგვაროვანი ფეოდალები და სამეფო კარი, აიძულა ისინი, შერიგებოდნენ ქალის მეფობას და თამარი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღექვათ. ეს ფაქტი ხალხის კოლექტიურმა შემოქმედებამ

უფლის ნების გამოხატულებად მიიღო და საკუთარი ქარგაც მოარგო; ამავე დროს, ღვთის ნების გაცხადებით თამარს მეფის საღვთო ვალიც შეახსენა და სამოქმედო პროგრამაც დაუსახა.

თამარის გამეფება უფლის უზენაესი სურვილის განხორციელებად აღიქმება ფშაურ საფერხულო სიმღერაში. მასში ჩამოთვლილია ხალხის მოამაგე მეფის ღვაწლიც:

ბრძანებდა მამა უფალი:
– თამარ განეფდეს ქალია,
დაიგდოს მამის სახელო,
შაირტყას მამის ხმალია!
სახელით გამარჯვებული
თამარი დედუფალია!
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანია;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი – რკინის სარია,
ხმელეთი ჩვენკე დაიგდო,
– ღმერთო, მიმრავლე ყმანია!..[1]

თამარ მეფის ციკლის საისტორიო თქმულება-გადმოცემათა ერთი ნაწილი უდიდესი სიამაყით გვაუწყებს იმ გრანდიოზულ მშენებლობებზე, რასაც ადგილი ჰქონდა თამარის ეპოქაში. ეროვნული ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშებით თამარ მეფე წარმოგვიდგება ეკლესია-მონასტრების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეების მშენებლო-

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 202-203.

ბათა სულისჩამდგმელად და ხშირად – უშუალო მონაწილედაც.

„ლეგენდა თამარ მეფეზე“[1] მოგვითხრობს: „თამარი ხშირად მოგზაურობდა ხოლმე თავის სამეფოში და ამ მგზავრობის დროს საცა კი ადგილი მოეწონებოდა, ეკლესია-მონასტრებს აშენებდა. ეს მისთვის მეტად ადვილი იყო. მას თან ახლდა ურიცხვი ამალა, თავად-აზნაურთა ქალთაგან შემდგარი. ამ ამალის ქალებს თამარისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ყველას სათითაოდ თავსაფრის ყურში გამოეხვია ცოტაოდენი კირი და თან ეტარებინათ. აი, ეს თავსაფრის ყურში გამოხვეული კირი ერთად საკმარისი იყო რამდენიმე ეკლესიის ასაგებად.

თამარი გაივლიდა სოფელში, ჩამოხტებოდა, ოსტატებს (ისინიც მუდამ თან ახლდნენო) დაუძახებდა და სულ მცირე ხანში ეკლესია მზად იყო. მისი მხლებელი ეპისკოპოსი აკურთხებდა აშენებულ ეკლესიას და მერე სხვაგან წავიდოდა. ასე მგზავრობდა ხოლმე თამარი, სანამ კირი არ შემოელეოდათ“.[2]

1960 წელს რაჭაში, სოფელ წედისში, პროფესორ ელენე ვირსალაძის მიერ პეტრე მაისურაძისაგან ჩაწერილი თქმულება „მაღალ მთებზე აშენებული კოშკები“[3] გვამცნობს: „თამარ მეფეს ხშირად უხდებოდა მგზავრობა. თან ყოველთვის დიდი ამალა ახლდა. ჯერ, თურმე, ქალები მიჰყვებოდნენ, მერე – კაცები... ყველა ქალს ლეჩაქი ეხურა. რომ დააპირებდნენ სადმე გამგზავრებას, თამარ

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 239-241.
2 იქვე, გვ. 239.
3 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 161.

მეფე ბრძანებდა და თითოეული ქალი თავისი ლეჩაქის ყურში ერთ მუჭა კირს გამოკრავდა ხოლმე. სადმე მაღალ მთაზე რომ ავიდოდნენ, გადახედავდა თამარი და, თუ ადგილი მოეწონებოდა, ბრძანებდა: კირი აქ დაყარეთო. დაგროვდებოდა იმოდენა კირი, რომ დიდი ეკლესიის ან ციხის ასაშენებლად კმაროდა. ახლა კაცებს დააყენებდა მწკრივად, რიყიდან ქვებს გამოაზიდვინებდა. ერთი მეორეს გადასცემდა ქვას და ისე აიტანდნენ მთის წვერზე, რომ ადგილს არავინ მოინაცვლებდა. კედლის ამოყვანისას, რაც სიმაღლე ეძლეოდა კედელს, იმდენი გარედან მიწა ეყრებოდა და ამ მიწაზე ადიოდნენ, როგორც ხარაჩოებზე. მშენებლობა რომ გათავდებოდა, მიადგებოდნენ ამ მიწას და გადაყრიდნენ. მაშინ გამოჩნდებოდა შენობა. ასე შენდებოდა ციხე-კოშკები ამ მაღალ, მიუვალ მთებზე...".

აჭარული თქმულებით,[1] „ეს ყალიები,[2] ეს ციხეები გააკეთა თამარ დედოფალმა. მაგას ყავდა ბევრი მოწინააღმდეგე; მისდევდნენ, მოსდევდნენ, მარა თამარი გევდოდა, გააკეთებდა ყალეს (ციხეს); მოაწევდა ისე საქმე, ველარ დადგებოდა, გევდოდა სხვა ყალეში. ყალეს აკეთებდა ასე: დააგროვებდნენ ქვას, ეიწკაპებოდნენ, აძლევდნენ ხელიდან ხელში და კეთდებოდა მაგრე. იმფო და იმფო მაგარს აკთებდა..."

თამარის ეპოქის მშენებლობათა დასახასიათებლად საინტერესოა თქმულება „უფლისციხის აშენება"[3],

---

1 ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათ., 1970, გვ. 45–46.

2 ყალე (არაბ.) – ციხე, ციხესიმაგრე.

3 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 157.

რომელშიც მოთხრობილია შემდეგი: „ძველად, თამარ მეფის დროს, ასეთი ხერხი უხმარიათ: წერაქვებს რომ დაურიგებდნენ მუშებს, ამ წერაქვის ერთი წვერი სამ გოჯზე ოქროსი იყო, დანარჩენი ფოლადისა იქნებოდა. იცოდა მუშამ, რომ დალევდა ფოლადს მუშაობაში, ოქრო მისი იყო. ჰოდა, სცემდნენ ამ წერაქვებს გამალებული... ილეოდა ფოლადი... ალბათ, მუშის ძალაც ილეოდა, მაგრამ, რასაც ცდილობდა – სამაგიეროდ ოქრო მისი იყო და ეს ქვეყანა შენდებოდა. აი, ეს ციხეები, ქვაბები, კოშკები, სულ ეგრე აშენებულა ძველად“.

„აჭარლები, – მოგვითხრობს თედო სახოკია, – ყოველ ძველ ნაშთს ამ მხარისას... თამარის დროში აშენებულად სთვლიან. თუმცა ამ ნათქვამში ანაქრონიზმები ხშირია, მაგრამ ლეგენდას ხომ ასეთი შეცდომა უფრო ადვილად ეპატიება ხოლმე...“[1]

თამარისდროინდელად მიაჩნიათ აჭარაში უძველესი ხიდები, რომლებიც თავიანთი სიმტკიცით დღესაც აოცებენ მნახველს. ხალხის გადმოცემით, ერის კეთილდღეობაზე მზრუნველ მეფე ქალს მახუნცეთის, დანდალოს და ფურტიოს ხიდები ერთდროულად აუშენებია. „მოგვითხრობენ, რომ ხირხათის ციხესა და დანდალოს შუა ხალხი ეყენა და, სიგრძეზე გამწკრივებულნი, ხიდისათვის საჭირო მასალას ერთმანეთს აწვდიდნენო“.[2]

საშენი მასალის მიწოდების ამ ხერხს მშენებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ქართული თქმულება-

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 299.
2 იქვე, გვ. 200.

გადმოცემა იცნობს, თუმცა, როგორც ჩამწერის კომენტარიდან ჩანს, ასე შორი მანძილიდან ქვის მიწოდება საჭირო არ უნდა ყოფილიყო: „ამ ლეგენდას ისმენთ და თანაც ჰკვირობთ, რად უნდა დასჭირებოდა მეფეს ხირხათის ციხიდან ქვის მიტანა იმ დროს, როცა ხიდებთან ყველგან თავსაყრელია ყოველგვარი ჯიშის ქვაო.“

ვფიქრობთ, ხიდების მშენებლობის გრანდიოზული სურათის დახატვით მთქმელები გახაზავენ თამარის სიძლიერეს; ამავე დროს, ამგვარი განფენილობის წარმოსახვა კიდევ ერთი დასტურია ჩვენი ხალხის კანონიერი სიამაყისა მათზე მზრუნველი, ქვეყნის აღმშენებელი მმართველის გამო. ამას გვაფიქრებინებს 2001 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში 92 წლის სებეთ ხალვაში-გაბაიძისაგან ჩვენ მიერ ჩაწერილი თქმულება ხირხათის ციხის მშენებლობაზე, რომლის მოყოლისას მხცოვანი მთქმელი უდიდესი სიამაყითა და კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ღელიდან ხირხათის ჭიშკრამდინ ხელიდან ხელში აქვან ატანილი ქვები. იმდენი ხალხი ჰყავდა თამარ მეფეს, იმფერი ძალა ჰქონდა თამარ მეფეს!“[1]

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთი თქმულების[2] თანახმად, თამარ მეფეს აჭარისწყლის

---

1 შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფოლკლორული ექსპედიციის მასალები, ჩაწერილი ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. მასალა დაცულია კვლევითი ცენტრის ფოლკლორულ არქივში.

2 მთქმელი შორეთა ხარაძე, ჩამწერი ქეთევან საფარიძე. მასალა მოგვაწოდა თამარ ბერიძემ 2007 წელს.

გამოღმა, ერთ კლდეზე, „დუუწყია ციხის აშენება. ჯერ ქვები და სილა მუუზიდვინებია ქუდებით, მემრე ხალხი რიგში დუუმწკაპებია და ქვას ხელიდან ხელში აძლევდნენ ერთმანებს, სილას ქუდებით გადასცემდენ". თქმულება იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ თამარს წარმოგვიდგენს ციხესიმაგრის მშენებლობის უშუალო მონაწილედ: „თამარი თითანაც ზიდევდა ქვებს და მუშაობდა".

გადმოცემები თამარის მიერ წარმოებული მშენებლობის ამ სტილის შესახებ მრავლად მოიპოვება ქართულ ზეპირსიტყვირებაში. ერთი სვანური გადმოცემის თანახმად, „თამარ დედოფალი ეკლესიებს აშენებდა. დიდ მწვერვალებზე ხალხი ყავდა ეკლესიების ასაშენებლად. ფუსცაგერზე აშენებდა ეკლესიას, ხალხი ყავდა გამწკრივებული მდინარე ფუშკვერიდან მთის წვერამდე. საშენი მასალა – კირი, ქვიშა და წყალი – ხელიდან ხელში გადადიოდა და აღწევდა მწვერვალამდის, სადაც მშენებლობა მიმდინარეობდა..."[1]

1958 წელს ელენე ვირსალაძის მიერ სოფელ რუისში ჩაწერილი თქმულების[2] მიხედვით, თამარ მეფეს ჰყოლია ძმა დოლეთში.[3] „იქ ქვას სჭრიდა, თურმე, ის მისი ძმა სულ ზომაზე და ისე უგზავნიდა თამარს საქართველოს საშენებლადა. სულ ზომაზე მოსდიოდა ეს ქვები და იმიტომ აშენებდა ასე ბევრსა".

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 94.

2 იქვე, გვ. 93.

3 მთქმელს ვერ განუმარტავს, სად არის „დოლეთი". ელ. ვირსალაძის განმარტებით კი „დოლეთი" უნდა იყოს „დვალეთი".

თქმულებაში საქართველოს აღმშენებელი მეფის დამხმარედ მისივე ძმის გამოყვანა ქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილი ოსტატ-შეგირდის სიუჟეტის ანალოგიით უნდა იყოს განპირობებული, თუმცა, ამ შემთხვევაში და-ძმას ერთმანეთის მიმართ პროფესიული შური არ ამოძრავებს, პირიქით – ძმა ხელს უწყობს მეფეს საქართველოს შენებაში.

ხაშურის რაიონის სოფელ წრომის ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებულ თქმულებაში[1] კი თამარის ძმა ცრუ და ფუქსავატ ადამიანად გამოიყურება. თქმულების მიხედვით, თამარ მეფე ძმასთან ერთად სოფელ წრომში ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს და-ძმამ გადაწყვიტა, თამარს სოფელში ეკლესია აეშენებინა, მის ძმას კი მდინარე ძამა გამოეყვანა სოფელ ახალსოფელში.

თქმულება თამარს წარმოგვიდგენს შრომისმოყვარე, მუყაით ადამიანად, რომელიც „გულწრფელი გულით შეუდგა საქმეს და ძალიანაც იტანჯებოდა, თან ბავშვს არწევდა და თან ეკლესიას აშენებდა“. მისმა ძმამ კი „საქმისადმი სიცრუე გამოჩინა“, იშოვნა წყლისფერი ტილო და გადაფინა გზაზე, სადაც წყალს უნდა გაევლო. თამარს სულ ცოტა უკლდა ეკლესიის დამთავრებას, რომ მივიდა ძმა და სთხოვა, გადმოეხედა ეკლესიიდან და შეემოწმებინა „ნამუშევარი“. თამარი ადგა, ფეხი დაუსხლტა, აკვანს მოხვდა, აკვანი ბავშვიანად ძირს ჩავარდა და ბავშვი დაიღუპა. გამწარებულმა თამარმა მიატოვა სოფელი წრომი.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 93-94.

ინგილოური თქმულების[1] მიხედვით, თამარ მეფეს, რომელსაც აქაურები ფერიას უწოდებდნენ, აუშენებია დიდებული ქალაქი „ფერი-ყალე“ (“ფერიას ციხე„). „თამარს ამ ქალაქში ცხოვრება ჰყვარებია და ამიტომაც იგი ყოველის ფერით შეუმკია და გაუმაგრებია ციხე-კოშკებით“. თქმულების თანახმად, ამ ქალაქში მდგარა თამარის ტახტიც. აქვე ხაზგასმულია თამარის ეპოქის აღმშენებლობის ფართო მასშტაბიც: „ტაძარნი, ციხენი, კოშკნი ამშვენებდნენ მრავალს ღელე-ყურეს, მთათა ბორცვებს და მინდორ-ველებს. ქალაქები მრავალი იყო. შიგ მილებით გაეყვანათ წყალი, მინდვრები უხვად ირწყოდა არხებით. კარგი დრო იყო ფერის დრო. ეს ანგელოზი არსება ყველა ქართველს დედობას უწევდა, ყველას ერთნაირად უვლიდა და ეპატრონებოდა...“.

აჭარაში გავრცელებული თქმულება-გადმოცემების მიხედვით, თამარ მეფის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, სხალთის ტაძრის აშენებაც. თედო სახოკიას ჩაუწერია ამ თემატიკის ორი თქმულება.[2] ერთი მათგანი ტოპონიმიკური ხასიათისაა და ტაძრის სახელდებას უკავშირდება. იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ უბრძანებია თამარს ტაძრის აშენება დიდ მსხალთან. სახელიც „სხალთისა“, ხალხის რწმენით, ამიტომ დარქმევია.

მეორე ლეგენდა ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი მოტივის – ოსტატისა და შეგირდის

1 „საქართველოს კალენდარი“, 1890, გვ. 414-417.
2 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 236.

ურთიერთობის – ამსახველია: სხალთის ტაძრის ასაშენებლად გამოჩენილი ოსტატი ყოფილა მოწვეული. მშენებლობისთვის საჭირო ქვას ოსტატს მისი შეგირდი უმზადებდა ერთი კლდის ძირას, სხალთიდან ნახევარი დღის სავალზე. ოსტატს შეგირდიც ღირსეული ჰყოლია, წინასწარ გამოუანგარიშებია, რამდენი ქვა დასჭირდებოდა ტაძრის აშენებას და სწორედ იმდენი დაუმზადებია. ოსტატს მშენებლობა დაუმთავრებია, მაგრამ შეგირდის გამოცდა განუზრახავს და შეუთვლია, ქვა დამაკლდა და მომაწოდეო. „შეგირდს თამამად შემოუთვლია:

– რაც გამოგიგზავნე, ის ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არისო“.

ოსტატი დადარდიანებულა, არ გახარებია შეგირდის მიხვედრილობა: ახლავე რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მე მაჯობა, მერე რალა იქნებაო? არა, ჩემი სიცოცხლე არა ღირსო. აუწევია, ეკლესიის სახურავიდან გადმოშვებულა და თავი გაუფუჭებია“.

მკვლევარი თამარ ოქროშიძე ამ ლეგენდას უკავშირებს ქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებულ სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებულ ლექსს:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია.
დამიჭირეს, მკვლავი მომჭრეს,
კარგი რისთვის აგიგია!

და ვარაუდობს, რომ „შეიძლება ორივე ლეგენდა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობდეს და ეს წყარო კი არ

უნდა იყოს სვეტიცხოვლის ტაძრის გამოსახულება".[1]

თედო სახოკიას მიერ აჭარაში დაფიქსირებული სხალთის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული თქმულებების ორივე ვარიანტი ბოლო დრომდე საკმაოდ აქტიურ ფოლკლორულ ბრუნვაშია; ჩაწერილია მისი მრავალრიცხოვანი ვარიანტები, რომლებიც დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფოლკლორულ არქივში. თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი თქმულებების კონტამინირებული ვარიანტი ჩაუწერია მკვლევარ ზურაბ თანდილავას 1958 წელს სოფელ ყინჩაურში ხუსეინ შახის ძე შაინიძისაგან.[2] სხალთის ტაძრის სახელდების მოტივი ამ ვარიანტითაც თითქმის ისეთივეა, როგორიც თ. სახოკიასეულ ჩანაწერში, ოღონდაც აშენების დრო არ არის მითითებული და არც თამარ მეფე მოჩანს მისი აშენების ინიციატორად. ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობა კი ზუსტად ისეთივეა: შეგირდის სიბრძნით გაბოროტებული ოსტატი თავს იკლავს.

სხალთის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული აჭარაში გავრცელებული გადმოცემის საინტერესო ვარიანტი დაუფიქსირებია ჯემალ ნოღაიდელს. ამ გადმოცემით, სხალთის ეკლესია ორ ძმას აუშენებია. ერთი მშენებელი ყოფილა, მეორე – ქვის დამამზადებელი. ძმებს შორის, ისევე როგორც სხვა ვარიანტთა ოსტატ-შეგირდს

---

1 თ. ოქროშიძე, თედო სახოკია და ქართული ფოლკლორი. – თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1969, გვ. 31.

2 ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ., 1971, გვ. 203.

შორის, პროფესიული შურის ნიადაგზე აღმოცენებულა კონფლიქტი, რაც მშენებელი ძმის თვითმკვლელობით დამთავრებულა.[1]

თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ოსტატ-შეგირდის სიუჟეტის შემცველი თქმულება-გადმოცემები გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთშიც. ერთი მესხური თქმულების თანახმად, ხერთვისის აგებისას თამარს დაუქირავებია ქვის მთლელი და მისი შეგირდი. შეგირდს უჯობნია ოსტატისათვის. გაბოროტობულ ოსტატს შეგირდისათვის კიბე გამოუცლია და დაუღუპავს; საქმე რომ დაუმთავრებია, ციხიდან გადამხტარა; ქამარში წალდი ჰქონია გარჭობილი, ის შერჭობია და მომკვდარა.[2]

სვანურ ხალხურ ლექსში „თამარ დედოფლის მოგზაურობა"[3] ასახულია თამარის მიერ სვანეთის მონახულება და მისი მოხიბლვა ამ კუთხის მთა-გორიანობით:

ჰაჲ, მაღალსა მოხვალ,
თეთრი მთიანი,
ოქროს თვლიანი,
მეფე სვანეთსა და – მობრძანდა.
„ – სვანეთი ვაკე მეგონა,
თურმე მთა-გორი ყოფილა!"
ნეფემ ბარგი დაყარაო,
ბრაგიბრუგი ადინაო.
„ – კალას დევიდგი კარვები,

1 ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ., 1971, გვ. 204.
2 „მასალათა კრებული" ("СМОМПК") №25, განყ. I, თბ., 1898.
3 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 74.

ეცერში კაცი გავგზავნეთ:
გვახმარეთ თქვენი ძალაო.
სვანებმა ძალა გვახმარეს,
დასჭრეს და კეტი გვიმართესო".

ლექსს ახლავს მთქმელის კომენტარი: „თამარ დედოფალს იმდენი ჯარი ახლდა, რომ ერთ დადგმაზე, თურმე, ციხეს აშენებდნენო. თამარი იმიტომ იმალებოდაო, რომ მას ლეკი დასდევდაო, და სვანეთში იმიტომ იმალებოდაო, რომ მაგარი იყოო სვანეთი და ას კაცს ერთი კაცი დააბრუნებსო, – ამიტომ თამარი იმალებოდაო უშგულში და იქ აგებულიაო ეკლესია „ლამარია". შემდეგ დაუბარაო თავის ხალხსო: „ – ისეთ ადგილას დამმარხეთო, რომ ვერავინ მნახოსო". თუ არა, ლეკები ექადნებოდნენო, რომ „მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, მოვნახავთო!" და ამიტომ ვერავინ გაიგო, თუ სად დაიმარხაო. როცა ლეკები და თათრები წავიდნენ (გადადენეს), მაშინ თამარს შეუძახესო:

„ – ადექ, თამარ დედოფალო, ჩვენთვის დარჩა საქართველოო!" [1]

როგორც პროფ. ქსენია სიხარულიძემ მიუთითა, გადმოცემაში თამარისადმი ლეკების მტრობა ისტორიული ანაქრონიზმია.[2]

სვანეთში თამარის მოგზაურობისა და მისი მთაგორიანობით გაოცების მოტივის შემცველ ერთ სვანურ ლექსში დაკონკრეტებულია მისი მოგზაურობის მიზანი:

1. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 221.
2 იქვე.

იგი ლატალის თემის მოსანახულებლად მიბრძანდებოდა:

ლატალს მობძანდა თამარი,
ლაჰლას ნათელი მოფინა.
– სვანეთი ვაკე მეგონა,
სულ მთა და გორი ყოფილა![1]

„– ო, სიხარულო თამარ დედოფალო, ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!" – მიმართავს სვანი მელექსე თავის სათაყვანებელ მეფეს სვანეთში ფართოდ გავრცელებულ საფერხულო სიმღერაში და უდიდესი სიყვარულითა და თაყვანისცემით გვიხატავს მის ღირსსახსოვარ პორტრეტს:

თმები გქონდა ხუჭუჭი,
თვალები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა,
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი;
ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები,
თავზე გედგა ზუჩი,
ცხენი გყავდა ქვიშისფერი,
უნაგირი გედგა, ოი, მოჭედილი,
აღვირი გედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედოფალო, თამარს,
ყველაზე უკეთეს თამარს!

(ქ.ხ.პ., XI, გვ.14-15)

ლექსის სხვა ვარიანტით, კიდევ უფრო შემკობილია

1 ირინოლა, სვანური ხალხური ლექსები. სვანურიდან გადმოიღო დავით წერედიანმა, თბ., 1968, გვ. 15.

ეცერს მიმავალი დედოფალი; ხაზგასმულია, რომ ყველგან ავი ტაროსი მეფობს, ხოლო ეცერის ვაკეზე ცხრათვალა მზე კაშკაშებს, რადგანაც იქითკენ მიემართება მთელი საქართველოს სიამაყე და მშვენება, მხედრულად აღჭურვილი მეფე თამარი:

ჰოი, სიხარულო თამარ დედოფალო,
ყველაზე ლამაზო თამარ დედოფალო!
კბილი – მარგალიტი, თვალ-წარბი – გიშერი,
შავი დალალები – აბრეშუმისა;
თავზე – მუზარადი, წელზე – ჯავარდენი,
ატლას კაბაზე – რკინის აბჯარი;
ცხენი – ქვიშისფერი, ლაგამი – ოქროსი,
ლაგამი – ოქროსი, ტახტა – ვერცხლისა.
ეცერს მობრძანდები, თამარ დედოფალო,
თამარ დედოფალო, თაიმარჯალი!
ყველგან წვიმაა და ყველგან თოვლია,
ეცერის ვაკეზე მზე დგას ცხრათვალა.[1]

ამ ლექსშიც ხაზგასმულია სასიამოვნო რეალობა – თამარის მიბრძანება სვანეთში, რაც ამ კუთხისათვის უდიდესი პატივი იყო.

როგორც ამ ციკლის ლექსთა ერთ-ერთი ვარიანტის თაობაზე მკვლევარი ამირან არაბული მიუთითებს, იგი რიტუალური ფუნქციის მატარებელია და საყურადღებოა პორტრეტის ხატვის დახვეწილი მანერით.[2] მკვლევარს

1 ირინოლა, სვანური ხალხური ლექსები. სვანურიდან გადმოიღო დავით ჩურეღიანმა, თბ., 1968, გვ. 14.

2 ა. არაბული, თამარ მეფის სახე ქართულ ფოლკლორსა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. – ქართული ფოლკლორი, ტ. XVI, თბ., 1986, გვ. 22.

მხედველობაში აქვს გივი ახვლედიანის ნაშრომში[1] ციტირებული სვანური საფერხულო ლექს-სიმღერა, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ლექსების ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტია:

თამარ დედოფალი მობრძანდება,
თხემსა ეხურა მას ზუჩი,
ყურებსა ჰქონდა საყურე,
თვალნი ჰქონდა იაკინთის,
კბილნი ჰქონდა მარგალიტის,
ღაწვები ჰქონდა ბრწყინვალე,
ყელზედა ება იამში,
ზეიდან ეცვა აბჯარი,
მხრებზე ჰქონდა სამხრეები,
წვივებს – საწვივეები.
ფეხთა ემოსა წუღები.
ცხენსა იჯდა ქვიშა-ფერსა,
უნაგირსა მოჭედილსა,
ამშვენებდა ოქრო მყარი.
საძუედ ჰქონდა კაპარი,
აღვირად – ოქროსა ჯაჭვი,
საგულედ – ოქროს ბუშტები.

თამარის ღვაწლზე, მის აღმშენებლობით საქმიანობაზე მიუთითებს გრ. აფშინაშვილის მიერ ჩაწერილი თამარის ციკლის საფერხულოთა ფშაური ვარიანტი:

შვიდი წლის ქალი თამარი

---

1 გ. ახვლედიანი, მოსე ჯანაშვილი ხალხური საისტორიო პოეზიის შესახებ. – ქართული ფოლკლორი, ტ. XIII, თბ., 1983, გვ. 54-55.

მეფედ თქვეს, დედოფალია.
ზღვის პირზე შავიყარენით,
შაგვექნა საომარია.
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანნა წყალნია,
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გამოსცილდეს ცვარია.
შიგ ააშენა სიონი,
დაადგა ოქროს ჯვარია.
სახელი თამარ მეფისა
ზედ დააწერა, გვარია.
ურჯულოთი და თათართი
ყველას სარწმუნომც არია![2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იახსრის საფერხულო სიმღერაში თამარ მეფის მოხსენიება ერთგვარ ანაქრონიზმად მოჩანს, რაც იმით აიხსნება, რომ წარმართულ ღვთაებათა სადიდებელ საგალობლებში ხშირად მოიხსენებიან სახელოვანი ისტორიული პირებიც, მათი საგმირო საქმეების გამო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ღვთისშვილთა" შორის ხშირად იხსენიება თამარ მეფეც, რაც ფოლკლორული კონტამინაციის ნიმუშიც არის და იმის დასტურიც, რომ ხალხმა თამარ მეფე თავის ღვთაებებს გაუთანაბრა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით პროფ. ქსენია სიხარულიძე მიუთითებდა: „თამარ მეფის ხსენება იახსრის საფერხულოში... ღვთაებათა შორის უფრო ახალი მოვლენაა, ვიდრე თვით

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 206.

ფერხული და მისი სასიმღერო, მაგრამ იგი შემთხვევითი არ არის. ეს მოვლენა მეტად საინტერესოა როგორც საერთოდ საგმირო ეპოსის, ისე საკუთრივ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციის თვალსაზრისით. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული დიდებული მეფე ქალი საქართველოს მთაში სალოცავად იქცა. სწორედ ამის გამო იახსრობის საფერხულში სინამდვილის სიმბოლური განსახიერებით შევიდა მისი გმირული სახე".[1]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევში წმინდა სამების დღეობაზე ფერხულში იმღერებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული თამარის ციკლის ეპიტაფიური ლექსი „თამარ დედოფალი ვიყავ" [2]; სვანურ დღესასწაულებზე ფერხულში მღეროდნენ თამარისადმი მიძღვნილ ხალხურ ლექსს „ო, სიხარულო თამარ დედოფალო";[3] რაჭაში ფერხულში იმღერებოდა „თამარ მეფე ღმერთს უყვარდა" [4] და ა.შ.

თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილ ვარიანტში, რომელიც ძალზე ახლოს დგას გრ. აფშინაშვილის ჩანაწერთან, მითითებულია, აგრეთვე, თამარის მიერ კლდეში ქალაქის აშენებაზე:

შვიდი წლის ქალი თამარი

---

1 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 69-70.
2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937, გვ. 562.
3 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 72.
4 იქვე, გვ. 72.

ნეფე თქვეს, დედოფალიო.
ზღვის პირზე შავიყარენით,
შაგვექმნა საუბარიო.
ზღვასა გადაჰკრა ლეჩაქი,
გადააქანა ზღვანიო.
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გადასცილდეს ცვარიო.
კლდეზე გამართა ქალაქი,
შააბა რკინის კარიო.
შიგ ააშენა სიონი,
დაადგა ოქროს ჯვარიო.
ურჯულოთი და თათართი
ყველათ სარწმუნომც არიო.[1]

სამშენებლო თემატიკას განეკუთვნება ლექსი „თამარ მეფემ ამაშენა", რომელშიც ბოდავის წმინდა გიორგი ლაპარაკობს და გვამცნობს თამარის ღვაწლს:

ბოდავის წმინდა გიორგი
ვაბრძანივარ უღრანს ტყესა,
თამარ ნეფემ ამაშენა
სისხლის წვიმის წინა წელსა,
არაგვიდან ქვა მოზიდეს,
ხელით მიაწვდიდენ ხელსა.[2]

ლექსის სხვა ვარიანტის ("თამარის ციხე") თანახმად, სამშენებლო ქვას ნარიყალადან ეზიდებოდნენ (ხელიდან ხელში აწვდიდნენ) და ასე აუგიათ თამარის ციხე:

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 207.
2 იქვე, გვ. 75.

თამარ მეფემ ამაშენა
სისხლის წვიმის წინა წელსა,
ნარიყლიდან ქვას ეზიდნენ,
ხელმა მიაწოდა ხელსა.
ოთხი საკირე მომინდა,
მეხუთე ძლივს მაბამს წვერსა![1]

ცნობილმა სახალხო მთქმელმა იოსებ ბაიაშვილმა ვრცელ პატრიოტულ ლექსში „თამარის ციხე" ციხის ნანგრევებს ათქმევინა:

– ქართველთ სიმტკიცემ მაშენა,
ქალმა ბრძენმა და ჭკვიანმა,
სული შესწირეს მამულსა,
ლეში შეჭამა ჭიამა...[2]

ბრძენ და ჭკვიან მშენებელ ქალში, სათაურიდან გამომდინარე, ბუნებრივია, სახალხო მგოსანი თამარ მეფეს გულისხმობს. ამ თვალსაზრისით ჩვენი ავტორ-მთქმელი ქართული ხალხური სიტყვიერებისა და მეისტორიეთა გადმოცემების ტრადიციებს ეფუძნება.

როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძეც მიუთითებს, სხვადასხვა ხალხური ლექსებისა და გადმოცემების საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი თამარის ციკლის ერთ-ერთი ლექსი „ვარძია ვნახე", რომელშიც მოთხრობილია თამარ მეფის უდიდესი აღმშენებლობითი მოღვაწეობის შესახებ; აქვე მოხსენიებულია თამარის ეპოქის გენიალური ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი

1 ლექსო, არ დაიკარგები, თბ., 1985, გვ. 25.
2 ვ. კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეულები, კრებული I. იოსებ ბაიაშვილი, თბ., 1991, გვ. 77-78.

და უდიდესი სიამაყეა გამოთქმული ამ ისტორიული ხანის ბრწყინვალებისა და დიდებულების გამო:

ვარძია ვნახე ლამაზი,
თამარის გამოჭრილია,
სხვა მონასტრებიც ააგო
გაკუთხული და თლილია.
ააგო ციხე-ქალაქიც,
უწყლოს ადინა წყალია,
სუყველანი გააკვირვა:
რა არის თამარ ქალია!
იმ დროს ცხოვრობდა უკვდავი
ჩვენი მელექსე შოთაო,
აჯობა ჭკუით ყველასა,
მათ შეუყენა შფოთვაო.
იმათ შეუქმნეს ქვეყანას
სახელოვანი ხანაო,
შოთას ვინ შეედრებოდა,
ვინ იყო იმისთანაო.[1]

თამარ მეფის ციკლის საისტორიო ლექსთაგან, რომლებიც თამარის მეფობის სიკეთეზე ღაღადებენ, გამოირჩევა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მრავალ ვარიანტად ცნობილი ლექსი „თამარის ყმობა", ანუ „... ათასი კაბა ყმა მყავდა". ლექსი ერთგვარი პირნათელი ანგარიშია ვალმოხდილი მეფისა თავისი ერის წინაშე:

ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,

1. ვ. კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეულები, კრებული I. იოსებ ბაიაშვილი, თბ., 1991, გვ. 76.

ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმოვდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა,
ანი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა![1]

ლექსი გამჭვალულია მაღალმოქალაქეობრივი, მაღალზნეობრივი სულისკვეთებით; ხაზგასმულია, რომ თავისი ხალხის საამაყო მეფემ ღირსეულად ატარა გვირგვინოსნის კვერთხი, ყველაფერი გააკეთა სამშობლოს საკეთილდღეოდ და შთამომავლობას დაუბარა: „ანი თქვენ იცითო". ამით სახალხო მთქმელი საგანგებოდ მიგვანიშნებს მშობელი ქვეყნისადმი თამარის უდიდეს მზრუნველობაზე და მის პასუხისმგებლობაზე როგორც საკუთარი დროის, ისე შემდგომ თაობათა მიმართ; ლექსის დასასრულს მოცემულია სენტენცია, რომ სამშობლოს ბედი, მისი ხვალინდელი დღე სათუთად და სასოებით ბარდება შთამომავლობას, რომლისადმი მოწოდება-გაფრთხილებად ჟღერს სიტყვები: „ანი თქვენ იცით, მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა!"

საყურადღებოა, რომ ლექსში „თამარ ქალი დიდებული",[2] რომელიც თამარის ციკლის სხვადასხვა ლექსთა კონტამინაციას წარმოადგენს, „თამარის ყმობის" მოკლე ვარიანტი მთავრდება სიტყვებით: „აწ გაგიჭირდეს ნეფობა, ვინც წახვალთ ამას იქითა":

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1964, გვ. 97.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 77-78.

... ათასი კაბა ყმა მყავდა,
ათი ათასი შინა ყმა
ცხენით და იარაღითა.
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმიდი ღვინოს თიხითა.
აწ გაგიჭირდეს ნეფობა,
ვინც წახვალთ ამას იქითა.

ამგვარი სიტყვები, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა საქართველოს მომავალ მეფეებს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „თამარის ყმობის" ვარიანტთა დიდი ნაწილი აჭარაშია დაფიქსირებული სხვადასხვა პირთა მიერ. ზემომოყვანილი ვარიანტი 1879 წელს ბათუმში ჩაიწერა ქართული ზეპირსიტყვიერების ცნობილმა მოამაგემ პეტრე უმიკაშვილმა. ტექტს ახალავს შენიშვნა: „1879 წელს გაგონილი ბათუმში უსეინ ბეგ ბეჟანოღლისაგან".[1] მსგავსი ტექსტი ჩაიწერა თედო სახოკიამ ქობულეთში 1897 წელს.[2] თ. სახოკიასეულ ვარიანტს ახლავს ჩამწერის ცნობა: „აქვე გავიგონეთ ერთი ქობულეთელი აზნაურის, მაჰმადიანი ქართველის, ყურმუშ-აღა ჭყონიასაგან თამარის ანდერძისებური ლექსი".[3]

ლექსის თითქმის იდენტური ვარიანტები ჩაუწერიათ აჭარაში ზაქარია ჭიჭინაძეს, გიორგი წერეთელს და იონა მეუნარგიას. თამარის ციკლის ამ ლექსის მრავალი

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 311.
2 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 225.
3 იქვე.

ვარიანტია დაცული შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში.

თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების სიმდიდრით აჭარის ფოლკლორის გამორჩეულობის სასიამოვნო რეალობაზე ერთხმად მიუთითებდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის უცხოელი მკვლევრები და მოგზაურნი. „აჭარლების ყველა ისტორიული თქმულება თამარ მეფის ცნობილ სახელს უკავშირდება“, – წერდა ჟან მურიე.[1] 1877 წელს გაზეთი „ივერია“ (№11) იუწყებოდა: „იქ (აჭარაში – თ.შ.) თამარს მიაწერენ ყოველივე ძველ შენობას, ციხე-სიმაგრეებს, მშვენიერ ხიდებს და ტაძრებს. ისიც საკვირველია, რომ ოსმალოს საქართველოში თამარს გარდა სხვა მეფეზე ვერას გაიგონებთ“.

აჭარის ზეპირსიტყვიერების დიდი მოამაგის – ჯემალ ნოღაიდელის ცნობით, „როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, აჭარაშიც ისტორიულ ძეგლებს დიდი თამარის სახელს უკავშირებენ. თაღიანი ხიდების, ეკლესიების, მონასტრების, ციხეების აგებას ქართველები თამარ მეფეს მიაწერენ“.[2]

თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და პუბლიკაციის საქმეს განსაკუთრებულად დიდი ამაგი დასდო თედო სახოკიამ. 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ (№484) დაიბეჭდა მისი წერილი სათაურით

1 ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962, გვ. 31.
2 ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ., 1971, გვ. 225.

„თამარ მეფის 700 წლის იუბილე", რომელშიც უდიდესი გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ ქართული საზოგადოებრიობა არცთუ დიდი მონდომებითა და თადარიგით ემზადებოდა თამარის 700 წლის იუბილესათვის, რომელიც 1912 წლის 18 იანვარს უნდა გამართულიყო. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს თვითონ თ. სახოკია ხელდამშვენებული ხვდებოდა – აგროვებდა და პერიოდულად აქვეყნებდა თამარის შესახებ ხალხში არსებულ ზეპირსიტყვიერებას.

თამარ მეფის ციკლის ფოლკლორული ნიმუშები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩაიწერა თედო სახოკიამ აჭარაში მოგზაურობისას 1897 წლის ზაფხულში.[1] საქართველოს ამ უძველეს კუთხეში, როგორც თვით ჩამწერიც შენიშნავს, განსაკუთრებული მოწიწებით იხსენიებენ თამარს; აქაურთა მეხსიერებაში უამარავი თქმულება-გადმოცემა შემონახულა მისი ცხოვრების, მოღვაწეობისა და სიკვდილის შესახებ.

აჭარაში თამარ მეფის ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა სიმრავლეს თედო სახოკია იმით ხსნის, რომ „თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნველი ეკლესიათა

---

1 თ. ოქროშიძე, თედო სახოკია და ქართული ფოლკლორი, – თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1969, გვ. 25-40; თ. შიოშვილი, თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა, – სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1978, გვ. 125-134; მისივე, აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები, – ჟ. „ჭოროხი", №2, ბათ., 1976, გვ. 74-86; მისივე, ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები ქართულ ხალხურ საისტორიო პოეზიაში (თამარ მეფის ციკლი), – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. X, თბ., 1990, გვ. 24-41.

გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისათვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მიუკერძველი მოსამართლე და ყოველივე ამის დასასრულ – წმინდანი და უბიწო.[1] ამასვე მიუთითებს მკვლევარი აზიზ ახვლედიანიც: „იმ დროისათვის, როდესაც აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს, ხალხს თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლოდ თამარი და მისი დრო მიაჩნდა და ყოველივე კარგს, დიდებულს ამ ხანას მიაწერდა. უმღეროდა მას და მარად უქროზ ლამპრად გადასცემდა თაობიდან თაობას. კიდევ მეტი, გამაჰმადიანებულ ქართველებს ისე უყვარდათ თამარ მეფე, რომ იგი რელიგიურ კულტადაც კი გაიხადეს".[2]

თამარ მეფის ციკლის პოეტურ ფოლკლორში ობოლი მარგალიტივით ბრწყინავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული ეპიტაფიური ხასიათის ლექსი „... თამარ დედოფალი ვიყავ":

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე,
სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიღე.
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემსკენ მავიღე;
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა გზა გავიღე;

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 197.
2 ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათ., 1970, გვ. 41.

ღადაღუდა ტყე ვიარე,
ქედზედ საყდარი ავიგე.
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.
(ქ.ხ.პ., XI, გვ. 16)

როგორც აღვნიშნეთ, თამარ მეფის ციკლის ნანარმოებთა სიმდიდრით გამორჩეულია აჭარის ზეპირსიტყვიერება. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში დაფიქსირებულია თამარის ეპიტაფიური ლექსის ათეულობით საინტერესო ვარიანტი:

უბეს საყდარი ავაგე,
უწყლოსა წყალი გავიღე,
ისპაანს ბეგარა დავსდევი,
სტამბოლს ხარაჯი ავიღე,
თეთრ ზღვაში კინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე,
ამდონი საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.[1]

ლექსის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ჩანაწერია მოხეური ვარიანტი ("...დიდია წმინდა სამება..."), რომელიც 1875 წელს წმინდა სამების დღესასწაულზე ჩაუწერია პ. უმიკაშვილს ფიდო შუჯაშვილისაგან:

დიდია წმინდა სამება,
ცის კიდურამდე ელავსო,
თავის ყმათ გამჯავრებელსა
სულ წიხლის ქვეშა სთელავსო.

1 აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 57.

ზღვას კი დავადევ ბეგარა,
ზღვა აქეთ მამიდიოდა,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
ხმელეთი ჩემკენ დავაგდეო.[1]

თამარის ციკლის ფართოდ გავრცელებული ლექსის – „... თამარ დედოფალი ვიყავ" – ერთი ხევსურული ვარიანტის („თამარის ლექსი") თანახმად, თამარ მეფემ ქაჯავეთის დაპყრობა და მისი დაბეგვრაც შეძლო:

ქალმა თქვა თამარ მეფემა:
– ქართველთა ვერა გავიგიო,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
ხმელეთი ჩემკენ დავიდგიო,
ქაჯავეთს დავდი იჯარა,
ისპანის ხარჯიც ავიღიო,
ზღვას იქით ნემსათ გავედი,
ამოდენ მოვიმოქმედე,
ცხრა ადლი ტილო წავიღიო.[2]

თამარი ქაჯეთისათვის იჯარის დამდებად მოიხსენიება ლექსის ერთ-ერთ აჭარულ ვარიანტშიც:

თამარ დედოფალი ვიყავ,
სახელი დიდი გევიგდე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი შიგნით მევიგდე,
ქაჯეთს დავადევ იჯარა,
ისპანსა ხარჯი ავიღე.

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, 1964, გვ. 310.

2 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი მეორე, თბ., 1939, გვ. 118.

ამდონი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.[1]

აჭარულ და ხევსურულ ვარიანტებში ნახსენები „ქაჯავეთი" ("ქაჯეთი") და მისი დაბეგვრა გამოძახილია ხევსურულ ანდრეზებში (მითოსში) გადმოცემული ეპიზოდებისა, რომლის თანახმადაც ღვთისშვილები ხახმატის ხატის (წმინდა გიორგის) ხელმძღვანელობით ლაშქრავდნენ ქაჯავეთს და იქიდან დიდძალი ნადავლი მოჰქონდათ საკრალური ნივთების, საქონლისა თუ ქალების სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ღვთისშვილთა სადიდებლებში თამარ მეფე ღვთისშვილთა დობილად, ანუ მათ თანასწორად, მოიხსენიება; იგი „ღმერთთან წილნაყარია" და, ამდენად, ქაჯავეთისათვის იჯარის დადების მითოსური მოტივი თამარის ციკლის ლექსში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში რელიგიური დღესასწაულების დროს ტრადიციულად იხსენიება „ღმერთთან წილნაყარი" თამარ მეფეც; საანალიზო ლექსის მოხეური ვარიანტიც, რომელშიც ჯერ წმ. სამება მოიხსენიება (რადგანაც ჩაწერის დროს სამების დღესასწაული აღინიშნებოდა), ხოლო შემდეგ – თამარის ღვაწლი, ამისი დასტურია. ხევში, სოფელ ხურთისში, პეტრე უმიკაშვილს 1888 წელს მიხეილ ჩქარეულისაგან ჩაუწერია თამარის ციკლის მოკლე ეპიტაფიური ლექსი, რომელშიც თამარის ასპარეზად წარმოჩენილია მოხევეთათვის

1. ბ ს კ ი ფ ა, საქმე, №74, გვ. 107-108.

ადგილობრივი, ლოკალური გარემო:

სივანს[1] ციხე ამიგია,
ახალციხეს[2] – ყველაწმინდა,
ას-ორასი მარილის ქვა
პურ-უხვდურზე გადმიგია, –
სული ვერად მამიგია.[3]

ლექსის ხევსურული ვარიანტი, რომელიც 1876 წელს ჩაუწერია პ. უმიკაშვილს ხახმატელი ბერდია გამღივარაულისაგან, თამარის სამოქმედო არეალად ხევსურეთს წარმოაჩენს:

ქალმა თქვა თამარ ნეფემა:
„ – ხალხისა ვერა გავიგი,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
ქართველობა ჩემკენ მოვიგდი,
ხახმატს ავაგი საყდარი,
ვერცხლის თასები შავიღი,
შიგ დავაყენე ბერ-ღვდელი,
ცხენი ანატორს[4] დავიბი,
ღელეს[5] დავნიშნე საფლავი
ხორცივლის, სულსა არ ვიყრი,
თავითი მიკრავ სანთელი,
ცხრა ადლი ტილო ჩავიცვი“.[6]

---

1 სიონი – სოფელი თერგის ხეობაში.
2 ახალციხე – სოფელი სნოს ხეობაში.
3 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 97.
4 სალოცავი ხევსურეთში, სოფელ შატილში.
5 სალოცავი ფშავში, ლაშარის ჯვარის პირდაპირ, არაგვის გალმა, სადაც, თუშ-ფშავ-ხევსურების აზრით, მარხია თამარი.
6 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 96-97.

ლექსი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ თამარი დასაფლავებულია ფშავში, ეგრეთწოდებულ „ღელეში“, სადაც დაბრძანებულია თამარის ხატი. ხალხური თქმულებით, თამარ მეფის ეს ხატი გაბიდაურის თემის დედაკაცს – სანათას აღმოუჩენია; თავდაპირველად სასანთლეც აუშენებია და თამარ მეფე უდიდებია. შემდეგ ღელის გორზე მოსახლე გაბიდაურები, ხატის ბრძანებით, აყრილან და ხოშარაში გადასახლებულან. თამარის ხატი ფშავში ძლიერ სალოცავად ითვლება, მას „აქიმ დედოფალს“ უწოდებენ და წამლის სახსრად ცხვარს სწირავენ.[1]

მშობელი ქვეყნის მიმართ თამარ მეფის მიერ გაწეული ღვაწლის წარმოსაჩენად საინტერესოა, აგრეთვე, თედო რაზიკაშვილის მიერ 1892 წელს ჩაწერილი ვარიანტი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“ (№6),

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე,
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიღე.
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიღე,
უსიერი ტყე გავკაფე,
დიდი შარა გზა გავიღე,
ღადაღუდა ტყე ვიარე,

1 ; ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, გვ. 220-221.

ქედზედ საყდარი ავიგე.
ვადიდე ჩემი ქვეყანა,
სახელიც დიდი დავიგდე!

ლექსის ერთ-ერთი არქაული ვარიანტი, რომელიც პეტრე უმიკაშვილს ჩაუწერია სოფელ თელეთში (სამწუხაროდ, ჩაწერის თარიღი უცნობია), სამშობლოსადმი თამარისეული ღირსეული მსახურების წარმოჩენასთან ერთად, გადმოცემულია ხალხური ეპიტაფიებისათვის დამახასიათებელი მოტივი – წუთისოფლის სამდურავი და შეგონება - სენტენცია, რომ ყველა მიწიერი სიკეთე, რაც ადამიანს (მით უფრო მეფეს) გააჩნია, სააქაოს რჩება და იმიერსოფელში მხოლოდ ორი ადლი ტილო მიჰყვება:

თამარ დედოფალ ვიყავ,
დიდი სახელი გავიგდე,
შემოვუარე ხმელეთსა,
წილი არავის დავუდე,
ჩავჰყარე ზღვაში სამნები,
ხმელეთი ჩემკენ დავიგდე.
ვაი შენ, წუთისოფელო,
რა ტყუილათ გიამაგე,
სიბერე და სიყმაწვილე
ირივ შენზე გადავაგე.
სიკვდილის ჟამი მოსულა,
სამოთხევ, კარი გამიღე!
ორი ადლი ტილო გამყვა,
სხვა რაც მქონდა, აქ დავაგდე.[1]

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1964, გვ. 96.

სამეგრელოს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამ ლექსის ვარიანტში სათაურით „თამარ მეფე ვიყავი“, აგრეთვე, თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი ეპიტაფიური სტილი:

თამარ მეფე ვიყავი,
დიდი სახელი დავიგდე,
შემოუარე ქვეყანას,
წილი არავის დაუდე.
წყალში ჩავყარე ხავები,
ხმელეთი ჩემთვის დავიდე.
მუხთალო წუთისოფელო,
რა ტყუილათ გიამაგე,
სიყმაწვილე და სიბერე
ორივ შენზე გადავაგე.
სიკვდილისა დრო მოსულა,
სამოთხევ, კარი გამილე!
ორი მეტრი ტილო გამყვა,
სხვა რაც იყო, აქ დავაგდე.[1]

როგორც თავის დროზე მკვლევარმა აპალონ ცანავამ მიუთითა, ეს ლექსი და თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი სხვა ლექსები და თქმულება-გადმოცემები მწიგნობრული გზით არის შესული სამეგრელოს ფოლკლორში; მიუხედავად ამისა, „ისინი მაინც ამჟღავნებენ ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშნებს, უმატებენ ისეთ დეტალებს, რაც ჩვენთვის

1 აპ. ცანავა, ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1971, გვ. 5.

საინტერესოა".[1]

თამარის ციკლის ეპიტაფიურ ლექსთა თელეთური და მეგრული ვარიანტები, მართლაც, საყურადღებო ნიმუშებია; მათში, ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად (და კიდევ უფრო აღმატებულადაც), წარმოჩენილია ქვეყნისათვის თავდადებული მეფე ქალის ღვაწლი ("წილი არავის დაუდე"), ჩივილი წუთისოფლის გაუტანლობაზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ხალხური ეპიტაფიებისათვის დამახასიათებელი მოტივია, ხოლო ლექსის დასასრულს კვლავ მეორდება ზნეობრივ-ფილოსოფიური შეგონება: თვით მეფესაც კი, ვინც ბევრი იღვაწა და იერარქიის მაღალ საფეხურზე იდგა, ამქვეყნიურ მატერიალურ ფასეულობათაგან მხოლოდ ორი მეტრი (ადლი) ტილო მიაქვს და მისთვის სამოთხის კარის გაღების აუცილებელი პირობა ის სულიერი ღირებულებანია, რასაც სიცოცხლეში პირუთვნელად ემსახურებოდა.

თამარ მეფის ციკლის ამ მრავლმხრივ საინტერესო ლექსის მნიშვნელობაზე თამარის ეპოქის გრანდიოზულ მშენებლობათა შესწავალში მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა. ნაშრომში „ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან" იგი, საუბრობს რა საქართველოში სარწყავი არხების მშენებლობის შესახებ, მიუთითებს: „ჩვენ არა გვაქვს საფუძველი იმ გადმოცემათა ხელაღებით უარყოფისათვის, რომელნიც საქართველოში დიდ არხთა მშენებლობას თამარ მეფის სახელს უკავშირებენ. ზოგი

1 აპ. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1990, გვ. 225.

არხი, სავარაუდებელია, გაცილებით უფრო ძველია, ზოგი მართლაც შესაძლებელია, თამარის მოღვაწეობის შედეგი იყოს, მაგრამ, თუ თამარს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისა და ძლიერების სინონიმად გავიგებთ, რის უფლებასაც ამ ცნობათა ფოლკლორულობა გვაძლევს, მაშინ ჩვენ ეს ტრადიცია ზოგადად ისტორიულ სინამდვილედ უნდა ვაღიაროთ...“[1]

გამოთქმული მოსაზრების განსამტკიცებლად მკვლევარი იშველიებს თამარის ციკლის ეპიტიფიურ ლექსს „თამარ დედოფალ ვიყავ“ და აღნიშნავს: „უწყლოსა წყალი ვადინე“, – თამარის ხალხურ ეპიტაფიაში რომ მოიხსენიება, იმას კი არ ნიშნავს, თითქო ქველმოქმედმა მეფემ სასმელი წყალი გაიტანა სადღაც სამადლოდ, არამედ აქ ნაგულისხმევია ისეთივე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობა, როგორადაც, იმავე ეპიტაფიის მიხედვით, ითვლებოდა ახალი ტერიტორიის შემატება (“ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე“), ან უცხო ქვეყნების დამორჩილება-დახარკვა (“ისპაანს დავდე ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე“).[2]

ერთი ქართლური ლეგენდის თანახმად, სოფელ სვენეთში სარწყავი არხის – „რუსხნულის“ – (ე.ი. „რუ ხვნისათვის“) გაყვანა თამარ მეფეს და მის ამალას მიეწერება: ერთხელ თამარ მეფე ჩაბრძანებულა სვენეთში. სოფლის მოსახლეობას წყლის გაყვანა უთხოვია დიდებული სტუმრისათვის. მის ამალას თითო მუჭა მიწა ამოუღია და

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები,წიგნი I, თბ., 1964, გვ. 420.

2 იქვე, გვ. 421.

სიგრძეზე გაუყოლებიათ. ღამე თამარ მეფეს ულოცნია და დილით არხი გაჩენილა.[1]

მართალია, ლექსის – „... თამარ დედოფალი ვიყავ“ – ვარიანტთა სტრიქონებს – „ზღვაში სამნები ჩავყარე, ხმელეთი ჩემსკენ მავიღე“, „თეთრ ზღვაში კინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემკენ მოვიღე“, „ზღვას კი დავადევ ბეგარა, ზღვა აქეთ მამიდიოდა“, „ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი შიგნით მევიგდე“, „წყალში ჩავყარე ხავები, ხმელეთი ჩემთვის დავიდე“ – მკვლევარი ნ. ბერძენიშვილი ისტორიულ რეალობაში ეძებს, რაც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ თამარ მეფის ამგვარ ქმედებათა გენეზისი უსათუოდ ანდრეზულ, ანუ მითოსურ, მსოფლმხედველობაშია დასაძებნი, რომლის თანახმად თამარს მიეწერება თვისებები დემიურგისა, რომელიც აწესრიგებს სამყაროს, ქმნის კოსმოსს, ზღვას ართმევს ხმელეთს და თავისი ქვეყნის სამსახურში აყენებს, აარსებს ეკლესიას, აწესებს ღვთისმსახურებას და შემოაქვს ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი საკრალური ნივთები – თასები:

... შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
ქართველობა ჩემკენ მოვიგდე,
ხახმატს ავაგე საყდარი,
ვერცხლის თასები შავიღი,
შიგ ჩავაყენე ბერ-ღვდელი,
ცხენი ანატორს დავიბი...[2]

---

1 ე. არჯევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია „СМОМПК“–ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, თბ., 1971, გვ. 115.

2 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 96-97.

თამარ მეფის ციკლის ეპიტაფიური ლექსი „... თამარ დედოფალი ვიყავ...“ თავისებური ანგარიშგებაა სამშობლოსათვის თავდადებული, ქვეყნის ინტერესებისათვის დაუღალავად მებრძოლი მეფისა ერის წინაშე. ამდაგვარი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, აგრეთვე, ზემოთ განხილული ლექსი „ათასი კაბა მყავდა“ (“თამარის ყმობა“). ამ ლექსების პათოსი და შინაარსი შემთხვევითი როდია. მათში მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად შეაფასა თამარ მეფის ამაგი, საქვეყნოდ აღიარა, რომ იგი ღვაწლმოსილი და პირნათელი წავიდა ამქვეყნიდან, წმინდად მოიხადა ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მნიშვნელოვანია ლექსის დასასრულიც, სადაც ამაგდარი მეფე ქალის პირით შთამომავლობას შემდეგი ზნეობრივ-მორალური რჩევა-დარიგება ეძლევა: სიცოცხლეში ქვეყნისათვის, ხალხისათვის უნდა იზრუნო და არა წვრილმანი პირადული მიზნებისათვის, რამეთუ თვით ცხოვრების უზენაეს საფეხურზე მდგომ მეფესაც კი იმქვეყნად არაფერი მიჰყვება, თვინიერ მისი კეთილი და ზნემაღალი საქმეებისა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თამარისეული შრომისმოყვარეობისა და მოუცლელობის აღსანიშნავად ქართულ ფრაზეოლოგიაში საანდაზო ფორმულად შევიდა საანალიზო ლექსის სტრიქონები: „თამარ დედოფალი ვიყავ – თავი მაღლა ვერ ავწიეო“.[1]

* * *

თამარ მეფის სამშენებლო საქმიანობის ამსახველ

1 თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბ., 2012, გვ. 105.

ხალხურ ლეგენდათა ერთი ნაწილის მიხედვით, თამარ მეფეს ფრინველები ეხმარებოდნენ. ერთი ლეგენდის თანახმად, თამარს „ემორჩილებოდნენ წეროები, მერცხლები და სხვა ფრინველები და მისი ბრძანებით მოჰქონდათ: მერცხალს ქვიშა და წეროს ქვა და იმისთანა მიუვალ მთა-კლდეზედ აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებსა და ციხეებს".[1]

მესხური ლეგენდა „თამარ დედოფალი"[2] მოგვითხრობს, რომ თამარი ბავშვობაში მოურჩენელი სენით დაავადდა. მისი განკურნების იმედი რომ გადაუწყდა, მამამ ბრძანა, შორს გადაეგდოთ. დაუძლურებული ბავშვი დადეს ერთ ბალახოვან ფერდობზე, საიდანაც დაგორდა და ასე გორვა-გორვით ჩააღწია ვაკე ადგილამდე. გორვის დროს ბალახებთან შეხებით მორჩა თამარი და უწინდელივით მშვენიერი გახდა. მალე იგი ვარძიის მონასტრის გალმა მცხოვრებ ერთ დედაკაცს მიეკედლა. ერთხელ თამარმა დაინახა, რომ წეროები მიფრინავდნენ თბილი ქვეყნებისაკენ. უცებ ახლოს ფრთამოტეხილი წერო შენიშნა, დაიჭირა და ნატკენი ადგილი შეუხვია. წერო მალე განიკურნა, მოშინაურდა და ქათმებთან ცხოვრებასაც მიეჩვია. თამარს ძალიან შეუყვარდა იგი. მეორედ რომ გადმოიფრინეს წეროებმა, თამარის წეროც მათ გაჰყვა. თამარი დაღონდა და ბევრი იტირა. მომდევნო წელიწადს გუნდს გამოეყო თამარის წერო, რომელსაც ნისკარტით ყვითელი და თეთრი ნაფოტები ეჭირა. ეს ნაფოტები თამარის გამოქვაბულთან დატოვა და გაფრინდა.

---

1 „ძველი საქართველო", ტ. II, განყ. IV, გვ. 49-50.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 88-89.

წეროს მოტანილი ნაფოტები რომ ნახა, თამარმა თქვა, „ესენი ჭდეთ კარგიაო და მაშინათვე თავის ძროხის მონაწველი რძე ჭდო". თეთრმა ნაფოტმა რძე ვერცხლად აქცია, ყვითელმა კი – ოქროდ. ასევე ოქროდ და ვერცხლად აქცევდა თამარი წყალსაც და „ამგვარად ბევრი ოქრო-ვერცხლი რო გააჩინა, დედოფლად დაჯდა და იწყო საყდრების შენება მთელს საქართველოში".

თამარის ციკლის ლეგენდებში ფრინველთა მორჩილებისა და სამშენებლო საქმიანობაში მათი გამოყენების მოტივის გენეზისი მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებშია დასაძებნი. ამ მოტივს იცნობს როგორც ქართული, ისე სხვა ხალხთა მითოლოგია; კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებასთან (ამ შემთხვევაში თამარ მეფესთან) მისი დაკავშირება კი ისტორიულ რეალიებში უნდა ვეძიოთ. თამარის მიერ წარმოებული ფართო მასშტაბის სამშენებლო საქმიანობა ამის მყარ საფუძველს აძლევდა როგორც მის თანმედროვე, ასე მომდევნო ეპოქათა სახალხო მთქმელებს. ამას გარდა, ისტორიკოსის ცნობით, თამარი მხეცთა გულებს ისე ინადირებდა, როგორც – სატრფო: „ოდესმე შარვაშეს ლომისა ბოკუერი გამოეგზავნა, მათ გაეზარდეს და ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა-ვის უნახავს მისი არაკი. რაჟამსცა დარბაზს მოიყვანიან, ესრეთ აქუნდა ტრელი, სურვილი და სიყუარული თამარ ღმრთივ-განათლებულისა, ... ვირე თავი უბეთა არა ჩაუდვის და ლოშნიდის, ვითარცა ძუელ ოდესმე მოწამეთა მეტაფრასები მოგვითხრობს. და ოდესმე დაიჭირიან და დამაგრდიან, წყაროს მსგავსნი ცრემლნი

გარდამოსთხივნის თუალთაგან, რომელნი დაალტობდეს მიწასა".[1]

ერთი ლეგენდის[2] თანახმად, თამარს დამორჩილებული ჰყოლია გველი, რომლისთვისაც პირში ამოდებული ჰქონია ღვთის ნაკურთხი ლაგამი. საჭიროების ჟამს იხმობდა თამარი გველს, ზედ შებრძანდებოდა და ისე დადიოდა. სხვა ვარიანტით, „წყეული რაშადა ჰყვანდა, პირში ღვთისაგან ნაკურთხ ლაგამამოდებული, და ზედ მჯდომი დაჰქროდა, – ამ წამს რომ აქა ყოფილიყო, მეორე წამს ბაღდადს გაჩნდებოდა".[3]

გმირის მიერ ცხოველთა თუ ფრინველთა განკურნების და შემდგომში მათგან უდიდესი ერთგულებისა და ქომაგობის გამოჩენის მოტივი ხშირად გვხვდება ქართულ საზღაპრო ეპოსშიც.[4]

აღსანიშნავია, რომ ცხოველთა მოთვინიერებისა და მათი თანადგომის მოტივი ძალზე პოპულარულია ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, კერძოდ – წმინდა მამათა „ცხოვრებანში". ეს პრობლემა საფუძვლიანად შეისწავლა მკვლევარმა გივი ახვლედიანმა,[5] რომელმაც სრულიად სამართლიანად დაასკვნა, რომ „ცხოვრებათა"

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, – „ქართლის ცხოვრება", II, თბ., 1959, გვ. 61-62.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 81-82.

3 იქვე, გვ. 276.

4 თ. რაზიკაშვილი, ქართული ხალხური ზღაპრები, წ. I, თბ., 1957, გვ. 281; ქართული ზღაპრები. შეადგინა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. ღლონტმა, თბ., 1975, გვ. 63-70; იქვე, გვ. 115-118 და სხვა.

5 გ. ახვლედიანი, ძველი ქართული „ცხოვრებანი" და ფოლკლორული ტრადიცია. – გ. ახვლედიანი, ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, თბ., 2002, გვ. 61-68.

ძეგლებში ცხოველთა მოშინაურების, ადამიანთან მათი დაახლოების მოტივი ხალხური ეპოსიდან უნდა იყოს ნასესხები,[1] ხოლო პასაჟების შემოტანა განსაზღვრული მოსაზრებით იყო განპირობებული: ჰაგიოგრაფები ცდილობდნენ, წარმოეჩინათ სიძლიერე ქრისტიანული მორალისა, რომელიც მხეცებსაც კი ათვინიერებდა.[2] მკვლევარი იშველიებს კორნელი კეკელიძის სიტყვებსაც: „ასეთი ზღაპრების შექმნისას აგიოგრაფები გარკვეული ტენდენციით ხელმძღვანელობდნენ; მათ სურდათ, ამგვარი ფაქტებით ეჩვენებინათ სიდიადე ქრისტიანული მორალისა, რომლის მატარებელნი თითქოს მხეცებზედაც კი ახდენდნენ გავლენას".[3] არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ თამარის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებში ცხოველთა მოშინაურებისა და მათი თანადგომის ტრადიციული მოტივის შეტანისას თამარის ოფიციალური ისტორიკოსებისა თუ არაოფიციალური ბიოგრაფების მიერ წახალისებულ სხვადასხვა ეპოქათა სახალხო მთქმელებს სურდათ, წარმოეჩინათ თამარის ყოვლისშემძლეობა, რაც მის ღვთისმოსაობასთან იყო დაკავშირებული.

თამარ მეფის მიერ წარმოებულ გრანდიოზულ მშენებლობათა და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების მიზეზს მითოსური ელფერით მოსავს თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლეგენდა „თამარზედ",[4] რომლის

1 გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 63-64.
2 იქვე, გვ. 63.
3 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II, თბ., 1955, გვ. 166.
4 ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909, გვ. 163-164.

დასაწყისიც კოსმოგონურია და დაარსების ანდრეზის მოტივის შემცველი. მთქმელს გადავყავართ მითოსურ დროში: „როცა ქართლის ტბა გასქდა და მინდორი დაშრა, თამარ დედოფალმა კარავი მინდვრად დასცა". აი, ამ სამყაროში მოღავწეობს, ლეგენდის თანახმად, თამარ მეფე, რომელსაც ეძლევა იდუმალი დახმარება, რათა ის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

ლეგენდის მიხედვით, ქართლის მინდორზე თამარის დამკვიდრებისთანავე ორი ჩხირი ჩამოვარდა და თამარ დედოფლის კარებზე დაეცა. ერთი ჩხირი სპილენძისა იყო, მეორე – ვერცხლისა. თამარმა დაიწყო ძიება, სურდა გაეგო, რას წარმოადგენდნენ, რისთვის იყო საჭირო ეს ჩხირები, მაგრამ ვერავინ ვერაფერი უთხრა. თამარის კარზე მსახურობდა „ერთი ურია"; ეს ამბავი რომ გაიგო, თქვა:

„ – ეი, კაცო, თამარ დედოფალმა რო იცოდეს, რათ არის გამოსადეგი ეგ ჩხირები და მოიხმარებდეს, მთელ ქვეყანას დაიპყრობსო".

ურიის სიტყვები თამარმა გაიგონა და დაიმახსოვრა; არაფერი ჰკითხა, არ იკადრა, ვაითუ არ მითხრასო; არადა, ძალიან უნდოდა, შეეტყო ყველაფერი, ვეღარ ისვენებდა. ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრა: ურია დაითხოვა, მსტოვრებად ოთხი-ხუთი კაცი გააყოლა და დაარიგა:

„ – მიჰყეთ იმ ურიას; ის რომ შინ შევა, თქვენ ბანთან დაიმალენით; ეს შინ შევა, ამის ძმები დაუწყებენ კითხვას, რათ მოხველ, რა მიზეზიაო, მაშინ ეტყვისო".

მართლაც, ასე მოხდა. დაღონებული შევიდა სახლში ურია. ძმებს გაუკვირდათ.

„ – რაში გაგიჭირდებოდა, ძმაო, – ეუბნებოდა უფროსი ძმა, – თამარ დედოფალთან ცხოვრება, რათ წამოხველ? თუ შენ აღარა გწადიან, უმცროს ძმასა, მე წავალ, უფროსიო, და მე გაუძლებ იქაურ სიდუხჭირესაო".

გამოგდებულმა ურიამ უპასუხა:

„ – არა, ძმავო, სიდუხჭირისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თამარ დედოფალი კი გავარისხეო..."

უმცროსმა ძმამ ყველაფერი უამბო უფროს ძმებს:

„ – იმის (თამარ მეფის – თ. შ.) კარების წინ ორი ჩხირი ჩამოვარდა: ერთი ვერცხლისა და ერთი სპილენძისა. იმათ მოხმარება მე ვიცი და არა ვსთქვიო. ის სპილენძის ჩხირი რომ ძროხის რძეში ჩააყუდონ, რძე მაშინვე ვერცხლად იქცევა და ის ვერცხლის ჩხირი რომ კამეჩის რძეში ჩააყუდონ, – ოქროდ. თამარ დედოფალმა რო იცოდეს, მთელ ქვეყანას დაიპყრობსო".

თამარის კაცებმა ყველაფერი გაიგონეს, დაიმახსოვრეს და დაწვრილებით უამბეს დედოფალს. თამარმა ბრძანა, მოეტანათ ძროხის და კამეჩის რძე და ზუსტად ისე მოხდა, როგორც ურიამ იწინასწარმეტყველა. „თამარის სიხარულსა და გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა", – გვაუწყებს ლეგენდა და დასძენს: „ამის შემდეგ თამარ დედოფალი ძალიან გამდიდრდა; სადაც კარგი ნაშენობაა, სულ იმის აშენებულიაო. თან მარტო დიდი ქვაბები დაჰქონდათ და ძროხები და კამეჩები დაჰყვანდათ, სწველავდნენ ძროხებს, კამეჩებს და ოქროს და ვერცხლს ღებულბდნენ; ამიტომ ააშენა ამდენი საყდრები და იმოდენა ოქრო და ვერცხლი შესწირაო".

ერთი ლაზური თქმულების[1] მიხედვით, თამარმა გადაწყვიტა, შეეკეთებინა იშხნის, ანჩის, პარხლისა დ ხახულის ეკლესიები. მან თავიდან გამოიძრო ერთი ღერი თმა და მისცა ლაზებს. ამ თმის საშუალებით ლაზებმა იპოვეს ოქროს ხაზინა თუ მადანი და ეკლესიათა აღდგენას მოახმარეს. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო, თამარ მეფემ ლაზები დალოცა და მას შემდეგ მათი ნახელავი კურთხეულია: „იმ დღიდან ლაზებში დიდ წარმატებას და გავრცელებას მიეცა სახელოსნო საქმეები".

როგორც თქმულებიდან ირკვევა, ლაზეთში ხელოსნობის განვითარებას ლაზები თამარ მეფის სახელს უკავშირებენ. მკვლევარ ზურაბ თანდილავას მართებული შენიშვნით, ეს ანაქრონიზმია, რადგანაც ლაზებში სახელოსნო საქმიანობა უფრო ადრეულ ხანაში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სახეზეა „სწორი ფსიქოლოგიური გააზრება" ქვეყნისათვის თავდადებული მეფის ღვაწლისა.[2] ამასთანავე, თამარისდროინდელი საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიძლიერემ და თვით ტრაპიზონის იმპერიის შექმნის ფაქტმაც, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ლაზეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფის ამაღლების საქმეში, ლაზთა მეხსიერებაში ეს ხანა დაუვიწყარი გახადა და სრულიად ბუნებრივია, რომ ლაზები თამარ მეფისაგან დალოცვილად თვლიან თავს და ყველაფერ ღირშესანიშნავს მას მიაწერენ.

---

1 ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, წ. I, თბ., 1927, გვ. 51

2 ზ. თანდილავა, ლაზური პოეზია, ბათ., 1972, გვ. 162-163.

1893 წლის №196 „ივერიაში“ დასტამბულ ი. ჯაიანის კორესპონდენციაში ჩართული გადმოცემა „ოთინკოს აბანო“[1] გვაუწყებს, რომ ბორჩხასთან, ოთინკოს ახლოს, თამარ მეფეს სასახლე ჰქონია. ერთ ზამთარს აქ დარჩენილა საცხოვრებლად. სასახლეში თამარს ბევრი მტრედი ჰყოლია. ერთი მტრედი ავად გამხდარა. მეფეს უბრძანებია, სასახლეში არ მოკვდეს, სადმე წაიყვანეთ და გაუშვითო. მსახურებს წაუყვანიათ ავადმყოფი მტრედი და ეზოს გარეთ გაუშვიათ. სამი დღის შემდეგ მტრედი ჯანმრთელი დაბრუნებულა, მაგრამ მთლად სველი ყოფილა. თამარს ძალიან გაჰკვირვებია და უფიქრია, სადღაც ახლოს სამკურნალო წყალი იქნებაო. გაუგზავნია მსახურები სხვადასხვა მხარეს და, მართლაც, უნახავთ მოჩუხჩუხე ცხელი წყარო, რომლის ირგვლივაც თოვლი დამდნარიყო. „რაც ნახეს, თამარს მოახსენეს. დედოფალს ძალიან ეამა იმ წყლის ნახვა და მპოვნელებსაც დიდი საჩუქარი უბოძა. გაზაფხული დადგა თუ არა, ის აუზი გააკეთებინა, რომელიც დღესაც არის“.

თამარ მეფე – მისი ქვეყნის დაუღალავი მშენებელი – ქართული ხალხური საისტორიო ზეპირსიტყვიერების მიხედვით, სხვა ქვეყნებშიც ასევე დიდი რუდუნებით აშენებდა ეკლესია-მონასტრებს. „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენნა, არამედ პალესტინეს იერუსალემს ააშენა პირველად მონასტერი; და კუალად კჳპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოველითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა.

---

1 გადმობეჭდილია: „ხალხური სიბრძნე“, ტ. III, თბ., 1964, გვ. 157-158.

და კუალად კონსტანტინეპოლის აღაშენა მეტოქი მათი", – გვაუწყებს მემატიანე და დასძენს: „და გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოველსა ელადას-შინანი მონასტერნი უხუად წყალობა-მიფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო".[1]

ხევსურული გადმოცემით,[2] თამარის აგებულია იერდას ეკლესია ქისტეთში. მითოსური მოტივის შემცველი ლეგენდა „შუქურ ვარსკვლავის შეპყრობა"[3] კი მოგვითხრობს, რომ თამარმა შუქურ ვარსკვლავის შეპყრობით ზამთარი გააუქმა და „ზამთრის ამოკვეთის შემდეგ" ბაღდადს გაემგზავრა მონასტრის ასაშენებლად.

* * *

მშენებლობასთან დაკავშირებული თამარის ციკლის საისტორიო ფოლკლორი საინტერესოა ამა თუ იმ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიური თვალსაზრისითაც. მათ შორის გამორჩეულია ვარძიის მშენებლობასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.[4] ერთი მესხური ლეგენდის ("აქ ვარ, ძია")

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, – „ქართლის ცხოვრება", II, თბ., 1959, გვ. 91.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 94.

3 იქვე, გვ. 81-82.

4 თ. შიოშვილი, ტოპონიმ ვარძიასთან დაკავშირებული ლეგენდები ქართულ ფოლკლორში. – ქართველური ონომასტიკა, ტ. IV, თბ., 2010, გვ. 243-248.

მიხედვით,[1] თამარის სახელს უკავშირდება ვარძიის მონასტრის აშენება: სანადიროდ წასულ ბიძას პატარა თამარიც თან წაუყვანია. დღევანდელი ვარძიის მიდამოებში თამარი თვალს მიფარებია. ბიძა შეშინებულა და დაუძახია:

„ – გოგო თამარ, სადა ხარო?"

თამარს გაუგონია ბიძის ხმა და გამოპასუხებია:

„ – აქ ვარ, ძიაო".

გამეფების შემდეგ თამარ მეფემ „იმ კლდეში საყდარი გააკეთა, ეს სახელი დაარქვაო", – დასძენს ლეგენდა.

ლეგენდის იმერული ვარიანტი[2] უცხო ტომთა თარეშის ამსახველია: თამარის ბავშვობაში მის ოჯახს ოსმალები შემოსევიან. გონიერი გოგონა ჭურში ჩამხტარა და იქ დამალულა. მტერი რომ წასულა, ბიძას დაუძახნია და თამარი ჭურიდან გამოხმაურებია:

„ – აქ ვარ, ძიაო".

ხალხის რწმენით, ამის გამო დაურქმევიათ იმ ადგილისათვის ვარძია.

ვარძიის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული ლეგენდის ორივე ვარიანტი უშუალო გამოძახილია ისტორიკოსის ცნობისა: „ესევითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის მიერ შეყუარებულმან ღმერთმან თამარსა, გარნა არცა ის უდებ იქმნა მოქმედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. ამისათჳს ჴელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთა-კურთხეულსა ვარძიისა ღმრთისმშობელსა,

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 79.
2 იქვე, გვ. 231.

ზემო ვარძიის ქუემო ვარძიითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა, თჳთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ...".[1]

ვარძიის ეტიმოლოგიას გვაცნობს, აგრეთვე, რაჭაში გავრცელებული თქმულება „რატომ ჰქვია ვარძია",[2] რომლის მიხედვითაც ვეება ფრიველი სოფლიდან ხან ცხვარს აიტაცებდა, ხან – ხბოს და შეუწუხებია სოფელი. ერთ დღეს სოფელში ბავშვი დაკარგულა და მისი კვალისთვის ვერ მიუგნიათ. მონადირე დასდევნებია ფრინველს, შეჰყოლია მაღალ კლდეში, მიუგნია მისი ბუდისათვის და დაუმიზნებია თოფი, მაგრამ უცებ ბავშვს დაუძახია:

„ – არ ისროლო, აქ ვარ, ძიაო!".

მართალია, რაჭულ თქმულებაში თამარის სახე არ ჩანს, მაგრამ ვარძიის მონასტრის სახელდების ხალხურ ეტიმოლოგიას უკავშირდება და, ამდენად, ეს ვარიანტიც ამ თვალსაზრისით არის საინტერესო.

ამასთანავე, ვფიქრობთ, განხილულ თქმულებებსა და თამარის ციკლის ერთ-ერთ ზემოთ განხილულ ხალხურ ლექსს – „... ქალმა თქვა თამარ ნეფემა" – საერთო არქაული მოტივი უნდა აკავშირებდეთ. ლექსის კახური

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 90-91.

2 ხალხური სიბრძნე, ტ. III, გვ. 240.

ვარიანტის თანახმად, თამარს სიზმრით ეცნობება განგების სურვილი იმის თაობაზე, რომ ის საქართველოს მეფე გახდება და წუხს, ვაითუ ვერ შევძლო ამგვარი მძიმე ტვირთის ტარებაო. დედა ამშვიდებს და ეუბნება, რომ მისი მეფობა უფლის ნებაა, წინასწარ არის დასაზღვრული და შეახსენებს, რომ სამი თვის ასაკში იგი აკვნიდან წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, პირჯვარი გადაიწერა, ჩიქილა გადაეხურა თავზე და შვიდი წლით გაუჩინარდა:

ქალმა თქვა თამარ ნეფემა:
– დედავ, სიზმარი ვნახეო.
ჩამბარდა სახმელეთოი,
ვაჰ, თუ ვერ შევინახეო!
– მაშინვე ჩანდა, თამარო,
როდესაც დაიბადეო.
მესამე თვე რომ გაგიხდა,
აკვანშიითა ასდეო.
ჯერ ხელ-პირი ჩამაიბანე,
მემრ პირჯვარ დაისახეო.
ჩიქილა გადაგეხურა,
ვერ გავიგ, სად რა წახვეო.
მოხვედი მეშვიდე წელსა,
სთქვი: შუა ზღვაი ვნახეო![1]

სამი თვის თამარის გაუჩინარება შვიდი წლით და წყალთან ზიარება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უსათუოდ ინიციაციის უძველეს რწმენას უკავშირდება, რაც ხაზგასმით მიანიშნებს მომავალი მეფის ღვთივკურთხეულობას.

1 ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, თბ., 1961, გვ. 213.

ზემოთ განხილულ რაჭულ თქმულებაშიც ბავშვი იკარგება. მართალია, ბავშვის ვინაობა არ კონკრეტდება, მაგრამ ვარძიასთან ამ სიუჟეტის დაკავშირება გვაფიქრებინებს, რომ რაჭული თქმულების არქაულ ნაწილში უსათუოდ თამარის გაუჩინარებაზე და, ამდენად, მის ინიციაციაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, რაც დროთა ვითარებაში მოტაცებული ბავშვის ტრაფარეტულ სიუჟეტად გადაკეთდა.

ვარძიის სახელდებასთან დაკავშირებული ლეგენდების მესხურსა და იმერულ ვარიანტებშიც თამარი იმალება ან დროებით თვალს ეფარება. ვფიქრობთ, ამ ლეგენდათა არქაიკაც ბავშვის დამალვა-გაუჩინარებაში თამარის, ანუ მომავალი მეფის, ინიციაციას გულისხმობდა; დროთა ვითარებაში კი მესხურ ლეგენდაში სანადიროდ წასული ბიძის თანმხლები თამარის დროებითი გაუჩინარება შემორჩა მხოლოდ, იმერულ ლეგენდებში კი ისტორიული რეალიები შევიდა და თამარის დამალვა ოსმალების შემოსევას დაუკავშირდა.

ვარძიის მშენებლობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი კახური ლეგენდა „ვარძია“,[1] რომელიც 1947 წელს ელენე ვირსალაძემ ჩაიწერა ყვარელში, მითური ელფერით ამკობს თამარის სახეს. იგი მოგვითხრობს, რომ თამარ მეფეს გამოქვაბულთა მშენებლობა არა ამჟამინდელი ვარძიის, არამედ სხვა ადგილას დაუწყია. ღამით შრომის იარაღები გაპარულან და ახლანდელი ვარძიის კლდეში უპოვნიათ. მეორედ კიდევ მოუტანიათ იარაღები და ძველ ადგილზე

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. XI, გვ. 96.

დაუწყვიათ, მაგრამ ღამით კვლავ გაუჩინარებულან და დილით უნახავთ, რომ ეს იარაღები ისევ ვარძიაშია. მაშინ თამარ მეფეს უთქვამს, „ეს ღვთის საქმეაო და ამის შემდეგ იქ გაუკეთებიათ მაღაროები. წელიწადში რამდენიც დღეა, იმდენი მაღარო გაუკეთებიათო. ამბობენ, შუადღემდე კლდე ყველივით ეთლებოდაო, ნაშუადღევს კი ... მაგრდებოდაო“.

სასწაულებრივი შუქით ეკლესიის აშენებაზე ადგილის მინიშნებასა და შრომის იარაღების სასწაულებრივ გადაადგილებაზე მოგვითხრობს, აგრეთვე, „ივერიაში“ (№146, 1895) გამოქვეყნებული ლეგენდა „თამარ მეფე და ევფრატის ტაძარი“. ლეგენდის მიხედვით, კარჩხალის მთაზე მყოფი თამარ მეფე ევფრატელებმა და მაჭახლელებმა მიიწვიეს. ერთ საღამოს კარჩხალის წვერზე (“თავ-კალოზე“) მდებარე კოშკში მყოფმა თამარმა ევფრატის ეკლესიის გვერდით „შენიშნა ერთი მეტად საუცხოო ბრწყინვალე ცეცხლის შუქი“. მეფე ევფრატში ჩამობრძანდა და ეს ცეცხლის შუქი რომ ნახა, გადაწყვიტა, ევფრატის ეკლესიის ნაცვლად ხერთვისში აეგო კარგი ეკლესია. მართლაც, დაიწყეს ხერთვისში ეკლესიის აგება. საღამოს ხელოსნები იარაღს ეკლესიის შენობასთან აწყობდნენ, დილით კი იარაღი იქ აღარ ხვდებოდათ, იქიდან რვა ვერსის მოშორებით, ევფრატის ეკლესიის გვერდით ნახულობდნენ. იარაღის ამგვარი გადაადგილება რამდენჯერმე განმეორდა. განცვიფრებულმა ხელოსნებმა ეს ამბავი თამარს მოახსენეს. თამარ მეფე დაფიქრდა და ბრძანა:

„ – მაშ, დაანებეთ თავი ხერთვისში ეკლესიის კეთებას,

დარჩეს ისევ ისე ევფრატის ეკლესია ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედა ეკლესიად! თუმცა ეს ეკლესია ღარიბად არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოველივე სამკაულებით!“

ხელოსნებმა თავი მიანებეს ხერთვისის ეკლესიის შენებას. „მესამე დღეს თამარი ჩამობრძანდა ევფრატში, ეკლესია შემოსა ძვირფასი განძეულობით, სასულიერო წოდებას გადაახდევინა პარაკლისი და შემდეგ ამისა მაჭახლის გზით დაბრუნდა ლივანას“. რამდენიმე დღის შემდეგ თამარმა სხივოსანი კვამლი დაინახა.

უფლის მიერ წმინდა ნაგებობათა აშენების ადგილის მინიშნების მოტივი ფართოდ არის გავრცელებული როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვირებაში; მას კარგად იცნობს ქართული სასულიერო მწერლობაც. თამარის ციკლის ფოლკლორულ ნაწარმოებებში ამ მოტივის წარმოჩენით ქართველ სახალხო მთქმელთა თაობები კიდევ ერთხელ გახაზავენ თამარის ღვთივკურთხეულობას, მისი ნამოქმედარის წარმოჩენას უფლის ნებად.

ისტორიული ნაგებობების, და მათ შორის ვარძიის, სახელდებათა დაკავშირება აღორძინების ეპოქის ბრწყინვალე მეფის სახელთან კიდევ ერთი დასტურია ერის უკიდეგანო სიყვარულისა და პატივისცემისა საქართველოს დიდ დედად წოდებული თამარის მიმართ და, ამავე დროს, უდიდესი სურვილისა, წარმოეჩინათ ქვეყნის სიკეთისა და აღმშენებლობისათვის მზრუნველი მეფე.

იოსებ ყიფშიძეს 1917 წლის ზაფხულში ისტორიულ ლაზეთში, სოფელ ბუჯაღში, მემედ-ალი ჩეფ-ოღლისაგან

ჩაუწერია ტოპონიმიკური გადმოცემა „მაფა-წკარი“ (“მეფის წყარო“),[1] რომელიც მოგვითხრობს, რომ ხოფას აღმოსავლეთით, ნახევარი საათის სავალზე, სოფელ ბუჯაღში არის „მაფა წკარი“ (“მეფე-წყალი“, „მეფის წყარო“), მის ქვემოთ (“მაფა-წკარიდან ას ნაბიჯს ქვემოთ“) კი – „ძველი ქრისტიანების ღვინის საწნახელი“.

მეფის წყარო, მთქმელის განმარტებით, ქართველთა „ფადიშაჰის“ – თამარის გამო დარქმევია:

„ძველებისაგან ... ჩვენ გაგვიგონია, რომ სამას ორმოცი წლის წინათ ამ ადგილებში მეგრელები ყოფილან. იმ ხანებში თურქეთის ხელმწიფემ (“ფადიშაჰმა“) სულტან სელიმმა ლაზისტანი დაამარცხა და აიღო. აქაური მეგრელები თანდათანობით (“ცოტ-ცოტათი“) მუსულმანები გამხდარან. ჩვენ ახლა ვრწმუნდებით, რომ ჩვენი და მეგრელების მეტყველება (“სიტყვა“) ერთიმეორეს გავს“.[2]

„მაფა-წკარიდან“ ზევით, ნახევარი სათის სავალზე, ნოსიტეს ზემოთ მდებარე მაღალ გორაკზე ი. ყიფშიძეს უჩვენეს „გიაურების საფლავი“, სადაც საფლავის ქვები ჯერ კიდევ იყო შემონახული; „მაფა-წკარიდან“ მარჯვნივ, ერთი საათის სავალზე მდებარე ნადირათის გორაკზე კი დიდი ეკლესიის საძირკველი უჩვენებიათ. ყოველივეს ნახვის შემდეგ მთქმელმა დასძინა: „ – მე ეს ნიშნები რომ ვნახე, თანაც ბერიკაცების ნათქვამი გამიგონია, რომ ჩვენი ძველები მეგრელები იყვნენ და ძველ ტრაპიზონამდის

1 ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ., 1939, გვ. XXXII-XXXIII.

2 ტექსტის თარგმანი (“სრული თარგმანი“, როგორც თავად მიუთითებს) ეკუთვნის ი. ყიფშიძეს.

ქართველთა მეფის („ფადიშაჰის“) თამარ მეფის ხელში ყოფილა. ამიტომაა, რომ ბუჯაღურ წყაროს „მეფის წყარო („მეფე-წყალი“, „მაფა-წკარი“) ეწოდება“.

თამარის სახელს უკავშირდება, აგრეთვე, გადმოცემა, ციხესიმაგრე „კიზლ-კულე“: „ათინას იქით, ზღვაში, დიდ ქვაბზე ერთი ორსართულიანი ძველი, ოთხკუთხე ციხეა, – „კიზლ-კულე“ (“ქალიშვილის ციხე“) ჰქვია. ესეც თამარ მეფის ყოფილა“. აღსანიშნავია, რომ ორთახოფელი აბდულა ი. ყიფშიძეს არწმუნებდა: „ – ამ ოთხმოცი წლის წინათ კიდევ იფიცებდნენ: „დადიანი ვარ დოღურას, მაფა ვარ დოღურასო“ და ბრალს სდებდა ქართველებს, რომ რამდენიმე ლაზი ბავშვი მაინც არ იზრდებოდა ქუთაისსა და თფილისში: „ეხლა ხომ ბევრს ეცოდინებოდა ქართულიო“.[1]

სოფელ აზლაღას მკვიდრის – მემედ ფურუნჯიოღლი-საგან იოსებ ყიფშიძეს ჩაუწერია, აგრეთვე, გადმოცემა, რომლის თანახმადაც, აზლაღის ტაძრის („სალოცავის“) თავზე ადრე ქრისტიანული ეკლესიები ყოფილა. ზღვაზე რომ ნავები („ფელუკები“) მიმოდიოდნენ, სიმღერით თოფებს ისროდნენ და ეკლესიაში მყოფ ბერებს იმით ატყობინებდნენო. შემდეგ, როცა ლაზეთი სულთან სელიმს დაუპყრია, იმ გორასაც, სადაც ეს ეკლესია იყო აშენებული, „სულთან სელიმი“ დაარქვეს. მაშინ („იმ ხანებში“) ბევრი ლაზი გაქცეულა სენაკისა და ზუგდიდისაკენ. მათ თამარ მეფისათვის უთხოვიათ და მას იქ ადგილი მიუცია,

1 ი. ყიფშიძე, მივლინების დღიური, – „ენიმკის მოამბე“, I, თბ., 1937, გვ. 172.

დაუსახლებია. „სამი და და ორი ძმა დარჩა აზლაღას. სხვა ყველა წავიდა. რომ დარჩნენ, მათ ერქვათ: ერთს – ლია, მეორეს – კოსტა... დღემდის მათი გვარი კიდევ არსებობს: კოსტოღლი და ლიოღლი.“[1]

საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი აჭარაში, ყოველგვარ ისტორიულ ნაგებობებს ხალხი თამარ მეფის ეპოქას უკავშირებს; ასეა ლაზეთშიც. ამის თაობაზე აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, განიხილავს რა ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ ლაზურ (ჭანურ) ტექსტებს, მიუთითებს იმ ანაქრონიზმზეც, რომლის თანახმადაც, ზემოთ განხილულ გადმოცემაში მთქმელი აიგივებს თამარ მეფისა და სულთან სელიმის ეპოქებს. იგი წერს: „ციხე შეუძლებელი არაა, თამარის ეპოქას ეკუთვნოდეს... მაგრამ სრული ანაქრონიზმია, როცა ჭანეთის გამუსლიმანების დროის ამბებს თამარ მეფის სახელთან აკავშირებენ... სულტან სელიმის მეფობა, როგორც ცნობილია, მეთექვსმეტე საუკუნის პირველ მეოთხედსა ხვდება (1512-1520). სულტან სელიმს ვინც გამოექცა, მას თამარ მეფე დახმარებას ვერ გაუწევდა, ადგილ-მამულს ვერ მიუჩენდა... ეს გადმოცემა გამოძახილია დიდი პოლიტიკური ავტორიტეტისა, რომელიც თამარის მეფობას ახასიათებდა, თამარის ეპოქის საქართველოს ჰქონდა; ამ საქართველოს წევრს კი ჭანეთიც წარმოადგენდა.“[2]

---

1 ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, გვ. 7. მემედი, როგორც ი. ყიფშიძე მიუთითებს, „ თათრულად ლაპარაკობდა“ და ლაზურად სოფლის მამასახლისი უთარგმნიდა (იქვე).

2 ა. ჩიქობავა, პროფ. იოსებ ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა. – ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ., 1939, გვ. XXXI–XXXII.

თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული მრავალი ტოპონიმიკური თქმულება ჩაიწერა თედო სახოკიამ აჭარაში მოგზაურობისას 1897 წლის ზაფხულში. იგი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ თამარის კულტი გავრცელებულია მთელს აჭარაში და განსაკუთრებით კი – სოფელ ფურტიოში. სწორედ ამ სოფელზე გადის სხალთის ტაძრისაკენ მიმავალი გზა, რომლითაც თამარ მეფე სალოცავად დადიოდა. „დაწვირილებით აგვიწერენ გზას, რომლითაც სულმნათი ჯორით დადიოდა, გვიჩვენებენ ადგილს, სადაც ღამე უთევია; წყაროს, სადაც წყურვილი მოუკლავს; ქვას, რომელზედაც ფეხი შეუდგამს ... ისეთი ზედმიწევნილობითაც მოგვითხრობენ, თითქო გუშინდელი, საკუთარი თვალით ნანახი და ყურით გაგონილი ამბავი იყოს და არა რვა საუკუნის წინანდელიო!“[1]

მოგზაურობისას თ. სახოკიას გამყოლად ჰხლებია სოფელ ფურტიოს მკვიდრი იუნუს ბერიძე, „თავაზიანი, წმინდა ქართულით მოლაპარაკე, უებრო მოამბე“, რომლისგანაც მოუსმენია და ჩაუწერია მრავალი ისტორიული ლეგენდა-გადმოცემა თამარ მეფეზე.

თამარის სახელს უკავშირდება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ტოპონიმიკური თქმულება „ვარცხლა სერის“ შესახებ. ამ სერს, თედო სახოკიას მეგზურ იანუსას თქმით, ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ „ძველად თამარ მეფეს იქ ვერცხლის მადანი ჰქონია. რაც ვერცხლი სჭირდებოდა, სულ აქედან გაჰქონდა,

1 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 197-198.

თურმე".[1]

ფურტიოს ხიდს აჭარლები „დედოფლის ხიდს" ეძახიან. სხალთაში მიმავალი თამარი, ხალხის რწმენით, ამ ხიდზე გაივლიდა ხოლმე. „ხიდს რომ მიადგებოდა, ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირსაო". ხიდის მარცხენა მხარეს უჩვენებენ მიწაში ღრმად ჩაფლულ ოთხკუთხა ლოდს, რომელსაც „დედოფლის ქვას" ეძახიან. „თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანედებოდა თავის ჯორზეო". ფურტიოდან სხალთაში მიმავალი გზისათვის კი, თამარის პატივსაცემად, დედოფლის გზა შეურქმევიათ.[2]

იუნუს ბერიძისავე თქმით ჩაუწერია თედო სახოკიას თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმიკური თქმულება „დედოფლის წყაროს", „სიმონაურის" და „დოლიაურის" შესახებ: სხალთაში მიმავალი თამარი, როცა შემოაღამდებოდა, ფურტიოში ისვენებდა ხოლმე. ერთხელ ერთ შეძლებულ გლეხს, სახელად სიმონას, სწვევია იგი. გლეხს ძალიან გახარებია და დიდებულად დახვედია სასურველ სტუმარს. სიმონას შვილისათვის ღვინო გაუტანებია წყაროში ჩასაციებლად. თამარს ძალიან მოსწონებია ჩაციებული ღვინო და უკითხავს, ასეთი ცივი წყარო სად არისო. უჩვენებიათ წყარო. „ამის შემდეგ აქეთკენ სიარულის დროს დედოფალი ამ წყაროს ისე არ გაუვლიდა, წყალი არ დაელიაო, და წყაროსაც მისი სახელი შერჩენია". თამარ მეფის გულუხვი მასპინძლის სახელიც

1 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 299.
2 იქვე, გვ. 202.

არ დაუკარგავს ხალხს და მისი ნამოსახლარისათვის „სიმონაური“ უწოდებია.

თამარ მეფე განმეორებითაც სწვევია სიმონას. მის შვილებს ძვირფასი სტუმრისათვის „დოლია“ (ურქო ძროხა) დაუკლავთ და „ამ ადგილსაც დაუვიწყარი მეფის სტუმრად წვევის მოსაგონებლად „დოლიაური“ დარქმევია...“[1]

თამარისადმი ხალხის უდიდესი მოკრძალებისა და რიდის ამსახველია თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი ტოპინიმიკური თქმულება „ნალობიევისა“ და „ნახუცარის“ შესახებ: „ერთხელ თამარ დედოფალს კვირა დღეს მოუხდა, თურმე, ფურტიოში გაჩერება, – მოგვითხრობს იუნუს ბერიძე. – ბრძანა, რაკი სხალთაში ვერ ჩაუსწარ, თქვენს ეკლესიაში უნდა მოვისმინო წირვაო. მთელი სოფელი შეიკრიბა, თამარ ბატონმა ეკლესიაში ინება ჩვენთან ერთად წირვის მოსმენაო. წირვის დაწყების ჟამი გახდა, მაგრამ მღვდელი აღარსად ჩანდა. დიდებულმა მლოცველმა მოიკითხა:

„ – ხუცესი რა იქნაო?“

კრძალვით მოახსენეს:

„ – ნუ გაგვრისხავთ, დიდებულო! მღვდელს შეეშინდა, მეფის საკადრისი წირვა მე სად შემიძლია ვწიროვო და დაიმალაო“.

ფრიად ეწყინა, თურმე, და ბრძანა:

„ – საცა იყოს, მოძებნეთო!

იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და გლეხს, ნიკოლა შანთაძეს, ლობიოში კი უნახავს დამალული მღვდელი. მას აქეთ

1 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 203-204.

ეს ადგილები ისტორიული შეიქნა: ერთს „ნახუცარი“ დაერქვა და მეორეს – „ნალობიევი“.[1]

თამარ მეფის ციკლისაა, აგრეთვე, ტოპონიმიკური ლეგენდა შავი ტბის, ანუ „ყარა-გიოლის“ (ყარა – შავი, გიოლ – ტბა) შესახებ. ხალხში დარჩენილი ამ ლეგენდის თანახმად, ტბას ეს სახელი შემდეგნაირად დარქმევია: „თამარ მეფის დროს ერთი მოღალატე ტყვე ზანგი გაქცეულა. მაშინვე გამოჰკიდებიან და დაუჭერიათ. დაბრუნებულზე ამ ტბას რომ დაახლოვებიან, ზანგს გადაუწყვეტია, შიგ ჩავარდნილიყო და დახრჩობით თავი ეხსნა მომავალი ტანჯვისაგან. მოუხერხებია კიდეც გულისწადილი აესრულებინა. თამარის კაცებს ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერასგზით ვერ უპოვნიათ. დაძმარებულნი და ხელცარიელნი თამართან მისულან და ყოველივე უამბნიათ. თამარს უბრძანებია:

„ – ალბათ, დაგქრთამათ და თქვენც გაუშვითო.

იმათ დიდი ფიცი უთქვამთ. ხელახლა უძებნიათ კავებითა და ბადით, მაგრამ მაინც ვერ უპოვნიათ, წყალმა ძირს გაიტანაო“.[2]

კახეთში, თელავის რაიონში, მდებარე ერთ-ერთი უმშვენიერესი სოფლის – ვარდისუბნის სახელდებაც თამარის სახელს დაუკავშირა ხალხმა. კახეთში გავრცელებული ტოპონიმიკური თქმულების[3] თანახმად, სოფელ ვარდისუბანს უწინ „იკართო“ რქმევია.

---

1 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 204-205.

2 იქვე, გვ. 212-213.

3 ქართული სიტყვიერება, შეკრებილი კახეთში ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ, თბ., 1976, გვ. 194.

მკათათვეში, როცა სოფლის ყანებში მკა იყო გაჩაღებული, თუშეთისაკენ მიმავალ თამარ მეფეს გაუვლია თავისი მხლებლებით. სოფლის მცხოვრებნი თან მკიდნენ და თან ერთმანეთს ეშაირებოდნენ სიმღერით. თამარს მოსწონებია მათი მუშაობა, მისალმებია მომკელებს. ერთ-ერთი გლეხი შეხუმრებია მეფეს და ლექსი უთქვამს. სოფლითა და მისი მცხოვრებლებით მოხიბლულ თამარს უკითხავს:

„ – ამ სოფელს რა ჰქვიაო?“

„ – იკართოვო“, – უთქვამთ.

„ – იკართო კი არა, ამ სოფელს ვარდისუბანი უნდა დაერქვასო“, – უბრძანებია თამარ მეფეს და მას შემდეგ სოფელს ვარდისუბანი დარქმევია.

პროფესორ ელენე ვირსალაძის მიერ ზემო რაჭაში, სოფელ ფარახეთში, 1963 წელს ჩაწერილი ტოპონიმიკური თქმულება „სოფელი გლოლა“[1] რაჭის ულამაზესი სოფლის – გლოლას დაარსებასა მის სახელდებას თამარ მეფის სახელს უკავშირებს. თქმულების თანახმად, თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველ თამარს „წესად ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა მხარეს მოგზაურობა. დიდი ამალა ახლდა თან, ადგილიდან ადგილზე გადადიოდა და ქვეყანას თვალს ავლებდა, მცხოვრებთ თვითონ ასამართლებდა“.

რაჭაში მოგზაურობისას თამარის ამალას დაუსვენია ერთ უმშვენიერეს ადგილას, სადაც იყო ყანა, დიდი ჩრდილები და გემრიელი ვეძის წყარო. თამარს ამ ადგილისათვის ოქროყანა უწოდებია და ღამეც იქ გაუთევიათ.

---

1 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 256-257.

დილით აღმოაჩინეს, რომ ორი სახედარი დაკარგულიყო. ერთ-ერთ სახედარზე თამარის სამკაულები და მისი ძვირფასი ჯვარიც ყოფილა. შეწუხებულან დედოფალიც და მხლებლებიც; მხოლოდ მესამე დღის ბოლოს მიუგნიათ დაკარგული სახედრისთვის, რომელიც მდინარე ჭანჭახის პირას ეკალ-ბარდებში გახლართულიყო. სახედარი უპოვნია რაჭველ ვაჟკაცს – ბაკურიძეს, რომელსაც ბიძა და ერთი ბიჭი ხლებია. მადლობის ნიშნად, თამარმა ეს ულამაზესი ადგილი ბაკურიძეს და მის მხებლებს უბოძა და უბრძანა:

„ – ასეთი ლამაზი ადგილი უკაცური არ უნდა დარჩეს, აქ კარგი სოფელი გაშენდებაო“.

ამალის თანმხლები ბერისათვის კი უბრძანებია მეფეს, დარჩენილიყო, ეკლესია აეგო და სასულიერო მოღვაწეობა იქ გაეგრძელებინა.

სოფელს, თამარის მწუხარების მოსაგონებლად, გლოლა შეარქვეს; ხალხის რწმენით, გლოლელი ბაკურაძეები, ბიჭაშვილები, ბიძიშვილები და ბერიშვილები თამარისდროინდელი ბაკურაძისა და მისი თანმხლები პირების მონაგარია.

თამარ მეფის განუსაზღვრელმა ავტორიტეტმა და პოპულარობამ, მისი ეპოქის საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურმა ზეობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მისგან სახელდებულად თუ მის მიერ აშენებულად მიაჩნიათ ეკლესია-მონასტრები თუ ციხე-კოშკები, ხიდები თუ გვირაბები, ცალკეული სოფლები და ქალაქები. მართლაც რომ „... ზექალი თამარ ბედნიერებად მოევლინა მთელ

ერს და ყამარივით დაივანა ქართველი ტომის ყველა თემში ...“[1]

* * *

მშენებლობათა ციკლის ზოგიერთი ხალხური თქმულება-გადმოცემა თამარს წარმოგვიდგენს მრისხანე, შეუბრალებელ ადამიანად. 1947 წელს პროფესორ ქსენია სიხარულიძის მიერ ყვარელში დაფიქსირებული ლეგენდით, თამარ მეფემ ბრძანა, არხი გაეყვანათ. „პატარა ბალღებს წაიყვანდა ბეგარაზე და ბერდებოდა კაცი“. დიდი შრომის შემდეგ არხი გაიყვანეს და მასზე წისქვილი ააგეს. ამ წისქვილზე დაფქვილ ხორბალს სისხლი გასდინდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ არხის მშენებლობას თაობები შეეწირა. „მაშინა თქო რომაო – ეჰეო, ახლა კი მე ცოდო მამდებიაო, არ გაგონილა პურის სიხლიო. ის არხი შაწყვიტა, გაბრუნდა ალაზანზე და გამაუშვა წყალი. ნაარხალ ეხლაც არი. ეძახიან თამარ დედუფლის არხს“.[2]

თამარის სისასტიკის ამსახველია, აგრეთვე, გორის ჯვარისა თუ გორის ციხის აშენებასთან დაკავშირებული ლეგენდა, თუმცა, ამავე დროს, დიდი სინანულის შემცველიც არის. მისი ერთ-ერთი ვარიანტი „გორის ჯვარი“, რომელიც იოსებ დავითაშვილის მიერ არის ჩაწერილი და დათარიღებულია 1877 წლით,[3] მოგვითხრობს: ერთხელ გორში მყოფ თამარს საყვარელი ქორი გაჰფრენია და იმ

1 ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. X, თბ., 1962, გვ. 133.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 97.
3 იქვე, გვ. 80.

ადგილას დამჯდარა, სადაც ახლა გორიჯვარის ეკლესიაა აშენებული. მტკვარი ადიდებული ყოფილა და ქორის გამოყვანა ძალზე საეჭვო გამხდარა. თამარს უბრძანებია:

„ – ვინც ჩემს ქორს გამომგვრის, რასაც მთხოვს, იმას მივცემო“.

ყმაწვილი კაცი შეცურებულა აბობოქრებულ მდინარეში. თამარს შეშინებია, ვაითუ ისეთი რამ მომთხოვოს, რისი მიცემაც არ შეიძლებაო, პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს:

„ – ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს იმ ყმაწვილ კაცს, ცოცხალს ნუ გაიყვანო! „

მართლაც, ჭაბუკი მტკვარში დამხრჩვალა. თამარი ძალიან დაღონებულა და მისთვის თავშეწირული ჭაბუკის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად უბრძანებია:

„ – ... ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაადგით, რომ იმ ადგილს მივაგნოთ; მე მსურს, ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ, ამ ეკლესიას „ქორის ჯვარი“ ერქმევაო“.

იმ ადგილას ერთ კვირაში აუგიათ ეკლესია, რომელსაც ახლა „გორის ჯვარს“ ეძახიან.

ლეგენდის იმერული ვარიანტით,[1] გორის ციხე თამარმა ააგო მასზე შეყვარებული ჭაბუკის ხსოვნის ნიშნად, რომელიც მისი შევარდენის გამოსაყვანად გადაეშვა ტბაში და დაიღრჩო მას შემდეგ, რაც უხერხული დაპირებით შეცბუნებულმა თამარმა ღმერთს შესთხოვა, ჭაბუკი ტბის ტალღებში დაღუპულიყო.

1 ხალხური სიბრძნე, ტ. III, გვ. 233.

ლეგენდა „დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის“[1] გორის ციხის აგებას უკავშირებს იდენტურ სიუჟეტს, ოღონდაც აქ თამარზე შეყვარებულ ჭაბუკს მიმინო ჰყავს გადასარჩენი. მეფე ქალის ხელის მაძიებელი მდაბიო ვაჟკაცი აქაც იღუპება თამარის ჩანაფიქრის გამოისობით, მაგრამ „ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დასწრიტა, თვით ბორცვზედაც ააგო მაგარი გორის ციხე“.

მსგავსი ვარიანტი გამოაქვეყნა მოსე ჯანაშვილმა „მასალათა კრებულში“ 1904 წელს. ლეგენდა ახლავს გორის გეოგრაფიულ-ისტორიულ აღწერილობას. იგი მოგვითხრობს: მტკვრისა და ლიახვის შესართავთან იდგა ტბა. შიგ ბორცვი იყო ამოწეული კუნძულივით. ერთხელ თამარ მეფე მახლობელ ტყეში ნადირობდა. მისი შავარდენი გაფრინდა და იმ კუნძულის ბორცვზე ჩამოჯდა. მეფემ ბრძანა:

„ – ვინც გამომიყვანს, რასაც მთხოვს, იმას მივცემო“.

ერთმა მზეჭაბუკმა გაბედა და ტბაში გადაეშვა. თამარს შეეშინდა, ხელი არ მთხოვოსო და მისი დახრჩობა ინატრა. ვაჟკაცი მართლაც დაიხრჩო. შეწუხებულმა თამარ მეფემ არხი გაუჭრა ტბას, დაწრიტა და ამ ადგილას კი გორაკზე გორის ციხე ააშენაო.[2]

---

1 ხალხური სიბრძნე, ტ. III, გვ. 234-235.

2 ე. არჯევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია „СМОМПК“-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, თბ., 1971, გვ. 173.

ლეგენდის ერთ-ერთი იმერული ვარიანტით ("თამარი და მიმინო")[1], თამარის საყვარელი მიმინოს გამომყვან ვაჟკაცს გულში მეფობის სურვილი გააჩნია და ამის გამო იღუპება: შუამდე იყო მიღწეული ვაჟი, რომელსაც მკლავზე მეფის საყვარელი მიმინო ეჯდა, როცა ნაპირზე დაიწყეს ლაპარაკი:

„ – აბა, რას იტყვისო, რას ინდომებსო?

– რას იტყვის და ნეფობას იტყვის, თქმა რათ უნდა მაგასო?!

თამარმა ყური ათხოვა ამ ლაპარაკს, შეხედა წყალში ამ ბიჭს და სთქვა:

– თუ მაგ გაქვს გულში, გაგწყვეტია მიწაო!

ის თქვა და წაიღო წყალმა ის ვაჟიცა და მიმინოც".

1882 წელს „მასალათა კრებულში" დაბეჭდილი ლეგენდის ქართლური ვარიანტის[2] თანახმად, ის ადგილი, სადაც ახლა გორის ციხეა აგებული, დაფარული იყო ტბით; შუაში კი პატარა კუნძული იყო. ერთხელ ამ მიდამოში თამარ მეფე მიბრძანებულა სანადიროდ, თან ჰყოლია თავისი საყვარელი გაწვრთნილი შავარდენი. ნადირობისას შავარდენი გადაფრინდა ტბაზე და კუნძულზე ჩამოჯდა. თამარმა მიმართა თავის ამალას:

„ – ვინც შავარდენს გადამირჩენს, ჩემს ნახევარ სამეფოს მივართმევო".

ერთი მამაცი ვაჟკაცი გადაეშვა ცხენით ტბაში, მიცურდა და გამოჰყავდა შავარდენი, მაგრამ უკან

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 235.

2 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа „СМОМПК", №2, განყ. I, თბ., 1882, გვ. 59-60.

დაბრუნებისას შავარდნიანად და ცხენიანად ტბის ტალღებმა შთანთქა. თამარი ძალიან შეწუხებულა, უბრძანებია, ტბის წყალი მტკვრისათვის შეეერთებინათ, ტბა დაეცალათ და გორაკზე ციხე აეშენებინათ".

ლეგენდის ეს ვარიანტი რადიკალურად განსხვავდება სხვებისაგან, რომლებითაც შეყვარებული ქართველი ვაჟკაცის დაღუპვაში თამარია ბრალდებული. აქ კი პირიქით, ლეგენდის დასასრული მოგვითხრობს, რომ „... თამარიც შიგ (გორის ციხეში – თ. შ.) ჩაიკეტა და იქ გარდაიცვალა".

ერთი ლეგენდით, მსახურებმა თვალყური ვერ მიადევნეს თამარის მიერ დატოვებულ ბავშვს, რომელმაც გაათავისუფლა თამარისაგან დატყვევებული ცისკარი, რის შედეგადაც სასტიკი ზამთარი დაატყდა თავს საქართველოს. თამარმა დასწყველა ურჩი მსახურები და გააქვავა. სხვა ვარიანტებით, მან ურჩი გამდელი ფიცის გატეხისათვის დასწყევლა და ტანჯულ სულად (ტარტაროზად) აქცია.[1]

თამარ მეფის სისასტიკის ამსახველი ნაწარმოებები პროფ. ქსენია სიხარულიძეს თამარისადმი არაკეთილადგანწყობილ სოციალურ წრეში,[2] ანდა უცხო ტომთა შორის[3] შექმნილად მიაჩნია. ამ ვარაუდში იქნებ არის კიდეც სიმართლის მარცვალი, მაგრამ განა თამარის ციკლის საისტორიო ნაწარმოებების აბსოლუტური უმრავლესობა

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 254-261..

2 იქვე, გვ. 26.

3 ქს. სიხარულიძე, ხალხური საისტორიო სიტყვიერება, – ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. II, გვ. 194.

იმავე სოციალურ წრეში არ შეიქმნა და იგივე სოციუმი არ არის საუკუნეთა განმავლობაში მისი მატარებელი? ამ სოციუმს შეადგენს მთელი ქართველი ხალხი, ამერ-იმერის მცხოვრებნი, რომელთათვისაც თამარ მეფე და მისი ეპოქა ყოველთვის მისაბაძი და სასურველი იყო. მაშ, რატომ შემორჩა ჩვენს ფოლკლორს ისეთი ლეგენდები, რომლებშიც ხალხის საყვარელი, სიცოცხლეშივე წმინდანად აღიარებული მეფე – მთელი საქართველოს დიდი დედა მისთვის თავგანწირული ჭაბუკის დაღუპვას უშვებს, თუნდაც ფიქრში? ალბათ, ამგვარი ლეგენდების შექმნისა და შემდგომ კი მისი მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორული სიცოცხლის მიზეზი ისევ თამარის დიდბუნებოვნებაში, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და მის მიერ წარმოებული ეკლესია-მონასტრებისა თუ ციხესიმაგრეთა გრანდიოზული მშენებლობის წარმოჩენაში უნდა ვეძიოთ. მართალია, ლეგენდათა მიხედვით, თამარი გულში გაჲვლებს ჭაბუკის დაღუპვის სურვილს, მაგრამ რატომ მიმართავს მეფე ქალი ამ უკიდურეს ზომას? იქნებ ქართული ზეპირსიტყვიერების კოლექტიურ ავტორს სურს, წარმოაჩინოს, რომ თამარიც მიწიერი არსებაა, არც ის არის თავისუფალი ჩვეულებრივი მოკვდავისათვის დამახასიათებელი (თუნდაც წამიერი) ცოდვებისაგან, რომელთაც მყისიერად ინანიებს და ცოდვის ადგილზე ქვეყნის სულიერი და მატერიალური სიმტკიცის სიმბოლოებს – ეკლესიებსა და ციხესიმაგრეებს – აგებს? სახალხო მთქმელები ამგვარი ნაწარმოების თხრობისას ხომ ცალსახად ამბობენ, რომ თამარი ძალზე დაამწუხრა ჭაბუკის დაღუპვამ და მწარედ ინანიებს ფიქრად

გავლებულ ცოდვას! ცოდვის მონანიება კი, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, ქრისტეს მადლად ითვლება და მონანიეს ათავისუფლებს ცოდვათა სიმძიმისაგან, ნათლობის მსგავსად ახლად შობს მას. ამასთან ერთად, იქნებ არც იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობა ეგების, რომ თამარის ქორისა თუ მიმინოს გამოლმა გამოსაყვანად აბობოქრებულ სტიქიას შებმული ჭაბუკი მართლაც ანგარებით მოქმედებს და არა – მეფისადმი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით? სხვანაირად ხომ არ აღსრულდებოდა უფლისადმი თამარის თხოვნა? აკი, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ჭაბუკს მეფობის სურვილი ამოძრავებს, სხვა ვარიანტებით კი – თამარის ქმრობა, იგივე სამეფო ტახტზე აღზევება.

რაც შეეხება ურჩიმ სახურების დასჯის მოტივის შემცველ ლეგენდებს, მათში თამარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველად უფრო გამოიყურება, ვიდრე – სასტიკ და დაუნდობელ ადამიანად. ამ ციკლის ლეგენდათა ყველა ვარიანტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ვიდრე თამარ მეფეს დატყვევებული ჰყავდა „ზამთარ-ზაფხულის გამჩენი" ცისკრის ვარსკვლავი (შუქურვარსკვლავი, თოვლის ვარსკვლავი), „საქართველოში ზამთარი სრულებით ამოიკვეთა, იმიტომ, რომ ზამთარი შუქურვარსკვლავის ძალით მოდიოდა";[1] ხოლო როდესაც ურჩმა და თავნება მსახურებმა გაათავისუფლეს შუქურ ვარსკვლავი, „აი, ამ ამბის შემდეგ იალბუზზე მუდამ წლობით საშინელი ზვავი იკვრება ხოლმე და, როცა ჩამოწვება, ზოგიერთ ხალხსაც

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 82.

აზარალებს;"[1] „ამ ამბის შემდეგ მყინვარზე მუდამ წელს დიდი თოვლი მოდის ხოლმე; თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზვავები, მემრე ეს ზვავი მოსარღვევად ნელ-ნელა ემზადება, გაზაფხულის პირზე დიდის ჭექა-ქუხილით ძირს ეშვება, ვარდება და მისი მეოხებით გამვლელს და გამომვლელს საშინლად ღუპავს..."[2]

მიუხედავად ზემოთ განხილული საყოფიერო პრობლემებისა, თამარ მეფის ციკლის ლეგენდის – „შუქურ ვარსკვლავის შეპყრობა" – ყველა ვარიანტი გენეტიკურად უკავშირდება მარადიული გაზაფხულის, ანუ სამოთხის, მითოლოგემას, რომლის ჩვენამდე მოღწეულმა ნარატივმა სხვა მოტივებიც შეიძინა. მითოსური რწმენა-წარმოდგენების დაკავშირება თამარის პიროვნებასთან სრულიად ბუნებრივია, რადგანაც, როგორც მკვლევარმა ზ. კიკნაძემ აღნიშნა, „თუ ისტორიულად თამარის „ოქროს ხანა" ისტორიული დრო-ჟამის დასაწყისია... თამარი, როგორც დაკარგული სამოთხის დედოფალი, ესქატოლოგიურ-მესიანისტური ფიგურა ხდება".[3]

ჩვენი ღრმა რწმენით, მრავალსაუკუნოვან ტევრში გამოვლილი მითოსური საწყისის მქონე ამ ლეგენდის ყველა ვარიანტით სახალხო მთქმელთა თაობებს სურდათ, ხალხისათვის თამარ მეფის უანგარო სამსახური და თავდადება ექადაგათ და წარმოეჩინათ ქვეყნის სიკეთისათვის მზრუნველი რეალური პიროვნება – დიდი დედა, რომელსაც სახელმწიფო საქმეში ხელშემშლელთა

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 258.
2 იქვე, გვ. 255.
3 ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2008, გვ. 61-62.

დასჯაც ხელეწიფებოდა და, თანაც, შეენარჩუნებინათ მითოსური საბურველიც. სხვანაირად, ვფიქრობთ, ამდაგვარი ფოლკლორული ნაწარმოებები მის შემქმნელ თაობაშივე იქნებოდა მიგდებულ-მივიწყებული, რადგან თამარ მეფისადმი სიყვარული და თაყვანისცემა ყველა ეპოქაში საერთო-სახალხო, მითური და მიუწვდომელი იყო.

* * *

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული და მრავალ ვარიანტად დაფიქსირებული თამარის ციკლის ლექსი სათაურით „საქართველოს დედოფალი". მასში მოთხრობილია თამარისა და დავით სოსლანის ქორწილისა და სახელოვანი მეფე ქალის შემდგომ საქმიანობაზე. საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იცნობს ამ ლექსს, რომელშიც თამარი საქართველოს დიდ დედად არის აღიარებული, ხაზგასმულია მისი გულმოწყალეობა, სიბრძნე და სიმშვენიერე. დავით სოსლანთან ქორწინების ისტორიული ფაქტის წარმოჩენით სახალხო მგოსნები საგანგებოდ გახაზავენ დავითისა და თამარის ეპოქის საქართველოს სიძლიერეს. ლექსის ერთ-ერთი ვრცელი და სრულყოფილი ვარიანტი დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფოლკლორულ ფონდში სათაურით „თამარ მეფე":

საქართველოს დედოფალი –
დედა ქართლისა თამარი,

სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი.
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან ფხარი.
დიდუბეში იქორწილა,
სადაც რომ საყდარი არი,
ნადიმობა გაიმართა,
მოიწვია თავის ჯარი,
ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი,
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი.
სიბრძნით, სიუხვით ქებული,
დილის ცისკარის სადარი,
ის მნათობი ქვეყნიერი
მკვდარიც ვერ პოვეს სად არი.[1]

ამ ლექსის შედარებით მოკლე ვარიანტი ჩაუწერია თედო სახოკიას აჭარაში. ეს უსათაურო ლექსი მას ხალხურად აქვს მიჩნეული. საუბრობს რა აჭარაში მის მიერ ჩაწერილ გადმოცემაზე თამარ მეფის საფლავის საიდუმლოებით მოცული ისტორიის შესახებ, იგი წერს, რომ ამ ისტორიას „სრულიად ... ეთანხმება ... ის ხალხური ლექსი, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ არავინ იცის, თამარ მეფის საფლავი სად არისო:

დაბნელებულა ქართლის მზე –
დედა ქართლისა თამარი,

1 ნ ბ ი ფ ა, საქმე №74, გვ. 107.

სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
სიკვდილის შემდეგ მშობლებმა
მკვდარიც ვერ ჰპოვეს, სად არი".[1]

საინტერესოა ლექსის ავტორობის საკითხი და გახალხურების ისტორია. მისი ავტორია ცნობილი ხალხოსანი პოეტი იოსებ დავითაშვილი (1850-1887). მას ეს ლექსი დაუბეჭდავს „დროებაში" (1877, №200, 24, XI, გვ. 1). ლექსი ჩართულია წერილში „ძველებური ამბავი დიდუბის ეკლესიაზე". წერილს უძღვის ავტორის ცნობა: „ეს ძველებური ამბავი და აქ მოყვანილი ლექსი მე ხშირად გამიგია ხალხში და, რადგან ვფიქრობ, რომ იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის საინტერესო იყოს, ამისთვის დავწერე და გიგზავნი, უფალო რედაქტორო!.. ამბობენ, რომ თამარ დედოფლის მეორე ქმართან – დავით სოსლანთან – ქორწილი ამ ეკლესიაში იყოვო და ამისთვის მომყავს ეს მცირე ლექსი, რომელიც მე ერთმა მოხუცებულმა ქართველმა მითხრა".

იოსებ დავითაშვილის ამ წერილის მიხედვითაც ისე ჩანს, თითქოს ლექსი ხალხური იყოს. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, იოსებ დავითაშვილი გატაცებული ყოფილა ისტორიული შინაარსის ლექსებით და ბოლოს თვითონაც დაუწყია ამ თემაზე წერა: „ერთი ამისი ლექსი „საქართველოს დედოფალი დედა ქართლისა თამარი" სახალხო სათაურის ზედ წარწერით გადასცა „დროების" რედაქციას, სადაც მოწონებული იქმნა და

1 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ. გვ. 225.

დაბეჭდილი, რომელსაც დღეს სახალხო ლექსს უწოდებენ, მაგრამ ეს ასე არ არის. მე ნამდვილად ვიცი, რომ ეს ლექსი მან დაწერა და ერთ თავის ძველებურ ამბავში – „დიდუბის ეკლესია" – ჩაურთო, რომელი ამბავიც 1877 წელს „დროებაშია" დაბეჭდილი. ეს განგებ მოახერხა, რომ ეგების ასეთი სათაურით მაინც დაბეჭდონო".[1] ამასვე ადასტურებს იოსებ დავითაშვილის მეგობარი მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი.[2] პროფესორი ქსენია სიხარულიძეც მიიჩნევს, რომ ლექსი ლიტერატურული გზით წარმოშობილია და იოსებ დავითაშვილს ეკუთვნის.[3]

იოსებ დავითაშვილისეული ლექსი[4] ექვსსტროფიანია; სტილი, როგორც მისი ავტორის შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი, ხალხურია. ალბათ, ამან განაპირობა მისი გახალხურებაც. ავტორისეულ ტექსტთან ყველაზე ახლოს დგას სოლომონ ცაიშვილის ნაშრომში „თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში შეტანილი ხუთსტროფიანი ვარიანტი სათაურით „თამარ მეფის ქორწილი".[5]

იოსებ დავითაშვილი, რომელიც მშობლიური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო მცოდნე იყო, როგორც ლექსზე დართული წერილიდან ჩანს, „საზოგადოებისათვის

---

1 ზ. მთაწმინდელი, იოსებ დავითაშვილი, თბ., 1877, გვ. 30-31.
2 „ივერია", №65, 1887, გვ. 3.
3 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 136-137.
4 ი. დავითაშვილი, სრული კრებული, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1951, გვ. 2.
5 სოლ. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943, გვ. 28-29

საინტერესოს“ უწოდებს და ეს, ალბათ, უპირველესად ლექსის ზნეობრივი ღირსებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ამ ლექსის სვანურ ვარიანტში (სათაურით „საქართველოს დედოფალი“) თამარი წარმოდგენილია გულუხვ, ხელგაშლილ მასპინძლად, რომელმაც არა მარტო დააპურა ხალხი და თავისი ჯარი, არამედ უხვად გასცა საბოძვარი. იგი „სიბრძნით, სიუხვით ქებული“ მეფეა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ვარიანტი კონტამინირებულია თამარის ციკლის ეპიტაფიური ხასიათის ლექსთან „თამარ დედოფალი ვიყავ“.[1]

საინტერესოა ლექსის რაჭული ვარიანტი, რომლის დასაწყისში თამარ მეფე „საქართველოს დედად“ არის გამოცხადებული:

მე ვარ მეფე დედოფალი,
საქართველოს დედა ქალი.
.....
ქაჯეთის ციხე ევიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელადი ხელათ მოვიგდე,
ქაჯეთს დავადე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე.
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღეო.[2]

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 212-213.
2 იქვე, გვ. 213.

ასევე საქართველოს დედად მოიხსენიება თამარი ლექსის კახურ ვარიანტში, რომელშიც კიდევ უფრო მაღალ რეგისტრშია აყვანილი მისი მშვენიერება:

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით იშოვნა
ამომავალი მზის თვალი...[1]

ქვეყნის დიდ დედად აღიარა ხალხმა თავისი დიდებული მეფე ქალი და ამით ყველაფერი თქვა მის ზნემაღალ პიროვნებაზე. ამასთანავე, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეპითეტის გენეზისი მითოსურ აზროვნებაში – ქალღმერთი დიდი დედის კულტში – უნდა ვეძიოთ.

თამარისა და დავით სოსლანის ურთიერთობის ამსახველი უნდა იყოს ლექსი „ქალო თამარო", რომელსაც აშკარად აჩნია მითოსური კვალი:

– ქალო თამარო,
მინდორს გეძინა,
ზედ რა გეხურა?
– ზარი ზარბაბი...
– მოველ, აგხადე,
სამი გაკოცე,
სამმა კოცნამა
ფერი გიცვალა,
ფერმა ნაცვალმა
წიგნი დაწერა...
ახ, ვის მისწერა?

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 213.

– დავით მეფესა.
– რითი დაწერა?
– ბროლის თითითა.
– შიგ რა ჩასწერა?
– დიბა, ატლასი...
– რითი გაგზავნა?
– ნიავ-ქარითა,
– რით წაიკითხა?
– სისხლის ცრემლითა...
(ქ.ხ.პ., XI, გვ.15)

თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწინების თემას უნდა ეხმიანებოდეს, აგრეთვე, სასიმღერო ლექსი „წაიყვანეს თამარ ქალი“, რომლის კახური ვარიანტი ასეთია:

წაიყვანეს, წაიყვანეს,
თამარ ქალი, დიელო და...
წაიყვანეს თამარ ქალი
აფხაზეთში, დიელო და...
შეუკაზმეს ლურჯა ცხენი
თამარ ქალსა, დიელო და...
დიდუბეში იქორწინა
თამარ ქალმა, დიელო და...
საყდარშია შეიყვანეს
თამარ ქალი, დიელო და...
უცბათ ჯვარი გადასწერეს
თამარ ქალსა, დიელო და![1]

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 72-73.

ლექს-სიმღერის რაჭული ვარიანტი წარმოაჩენს თამარის მხედრულ სახეს:

წაიყვანეს თამარ ქალი
აფხაზეთში, დიელო და...
თამარო, ჩიჩქინიანო,[1]
ბიჭებიც გიჩივიანო,
ი ცხენი ბედით არისა,
რა ცხენ თამარი შეჯდესა.
თამარი მიდის ჩერგესსა,
მიარაწკუნებს ჩექმებსა.[2]

ლექსში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ცხენი, რომელზედაც ზის თამარი, ბედიანია, ნასაზრდოებია მითოპოეზიის ერთ-ერთი ყველაზე არქაული ნიმუშით „ღვთიშვილთ დაბადება", რომელიც თედო რაზიკაშვილმა ჩაიწერა 1891 წელს ხევსური ბაბო უჩონაურისაგან.[3] ლექსის თანახმად, მორიგე ღმერთმა მის მიერ პირველად დასახულ ღვთიშვილს – ბერი ბუქნაი ბაადურს – უბოძა თეთრი ცხენი, რომელსაც „ბედის ბედაური" უწოდა. რაჭულ ლექსში მოხსენიებული თამარის ცხენის ბედიანობა კიდევ ერთი დასტურია ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა თამარ მეფის ღვთიშვილობის, უფლის რჩეულობის თაობაზე.

1 ლამაზი, კოხტა.
2 იქვე, გვ. 216.
3 მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 166-167.

თამარ მეფე – მტერთა რისხვა და სამშობლოს რკინის კარები

"... მე რომ თათრებს შევებრძოლე..."
(ხალხური)

სამშობლოს მტრებთან თამარ მეფის ბრძოლებს და მის არაერთ ძლევამოსილ გამარჯვებას გვაუწყებენ თამარის ციკლის მრავალრიცხოვანი ხალხური ლექსები თუ თქმულება-გადმოცემები. ამ ციკლის ფოლკლორულ ნაწარმოებთა შთაგონების წყაროა თამარის ხელმძღვანელობით წარმოებული გმირული ბრძოლები, რომელთა კეთილისმყოფელ შედეგზეც სიამაყით აცხადებს მემატიანე: „აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა. წარავლინნა ლაშქარნი გარემოდგომად, და ცნეს თურქთა, დააგდეს კარი და ივლტოდეს. ხოლო მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირობა, რომლისათვისცა დიდი წყება შეექმნა თურქთა; და დიდად ავნებდა, რომელ წარულო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა, და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე და დაიმადლა. ივანესვე უბოძა კარული და მისი ქუეყანა, და წარემართებოდა სამეფო თამარისი და შეემატებოდა დღითი-დღე. შიში და ზარი მეფისა იყო ყოველთა სულთანთა ზედა".[1]

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 92.

გარეშე მტრებთან ბრძოლაში თამარ მეფის გამარჯვებებს ხალხი მის ღვთისმოსაობასაც მიაწერს. ერთი სვანური თქმულების[1] მიხედვით, „თამარ მეფე ღვთისმლოცველი ყოფილა, მღვდელი ყოლია ჯარში... და ღმერთის შეხვეწნით ჩხუბობდა, თურმე".

ქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული თამარის ციკლის საფერხულო ლექს-სიმღერა „თამარ მეფე და ხონთქარი" თამარს წარმოგვიდგენს როგორც ქართველთა ლაშქარზე მზრუნველს, მტრის წინააღმდეგ საომარ სამზადისში მყოფს, რომელსაც ზღვაში ალმასებიანი ხომალდი ჰყავს და წყალობას არ აკლებს სამშობლოს დამცველებს:

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა.
შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა.[2]

პატრიოტიზმით გაჟღენთილი ეს ლექსი აშკარა გამოძახილია ისტორიული ფაქტისა – თამარის მიერ შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთის დამორჩილებისა და ტრაპიზონის დიდი იმპერიის შექმნისა.

თამარ მეფის დიდებულების, მისი ეპოქის ძლევამოსილებისა და გარეშე მტერთა დამორჩილების აპოთეოზით არის გაჯერებული რაჭული ლექსი „თამარ

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 101.
2 იქვე, გვ. 73.

ქალი დიდებული",[1] რომელიც თამარ მეფეს წარმოგვიდგენს გოლიათური აღნაგობის ადამიანად, რომელსაც თავს ადგას მზისა და მთვარის ნათელი და შიშის ზარს სცემს მტერს:

თამარ ქალი დიდებული
სახელად არის ქებული,
ტანადობა მაღალი აქ,
ბეჭები აქ სქელია,
ორი დაწვნა ბანალი აქ,
მეტად უზომო გძელია.
თავზე ქუდი ახურია –
მზისა და მთვარის ხელია.
ეს რო თათრებმა გაიგეს,
დეეკარგებათ ფერია.
მათი თოფი-ზარბაზანი
სულ ნაცარი და მტვერია.

ლექსში ხაზგასმულია თამარის დაუღალავი რუდუნება ქვეყნის სიძლიერისათვის, მტრებთან მისი სიმამაცე და შეუპოვრობა. სახალხო მთქმელი თამარ მეფეს ასე ალაპარაკებს:

– ლექსათ ყველას მოვახსენებ
ჩემს ძველად გაჭირვებასა:
მე რომ თათრებს შევებრძოლე,
სამი დღე და ღამე ვკაფე,
არც გვისვამს, არც გვიჭამია,
არც გაგვიხდია სამოსი.

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 77-78.

სამძღვრათ დავდევი, ვაშენე
გორად კონსტანტინეპოლი, –
კარის თავზე დავაწერე,
მე რომ დედოფალი ვიყავ,
საქართველოს მხედვარე.

.....

არაბი შემომესია,
თბილის ქალაქამდის მდია.
ბარაკონში ერისთავმა –
ნუ გეშინია, თამარი,
ჩემი სახელი ახსენე,
თათრებს მოეღება ბოლო.
ხიდიკარში ჯარი დადგა
თამარის და ერისთვისა,
თათრებს ყურები დაუდგა
ჯაზაირის დიდი ხმისა.
თათრებმა სთქვა ხიდიკარსა:
– ეს რა ვნახეთ ამ კდის ძირსა,
ჩვენ თამარს ველარ დავიჭერთ,
გზას ვეწიოთ სირბილითა!..

ლექსში ჩართულია ზემოთ განხილული თამარის ციკლის ეპიტაფიური ლექსის – „... ათასი კაბა ყმა მყავდა“ – საინტერესო ვარიანტი:

... ათასი კაბა ყმა მყავდა,
ათი ათასი შინა ყმა
ცხენით და იარაღითა.
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმიდი ღვინოს თიხითა.

აწ გაგიჭირდეს ნეფობა,
ვინც წახვალთ ამას იქითა...[1]

სამშობლოს მტრებთან ომებში თამარის ძლევამოსილი გამარჯვების ხოტბაა სვანეთში გავრცელებული ლექსი „... თამარ მეფევ", რომლის მიხედვითაც მტრის დამხობის შემდეგ ძლევამოსილი მეფე თამარი დავლით მიემართება სვანეთისაკენ:

თამარ მეფევ, თამარე,
სად ყოფილხარ, თამარე?
ვის ეომე, ვინ დარისხე,
ვინ დაამხე, თამარე?
მტერი დაგიმარცხებია,
დავლით მოხვალ, თამარე!
სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ,
ძლევით მოხვალ, თამარე![2]

ბუნებრივია, ძლევამოსილი, ამაღლებული თვისებებით შემკული მეფე ქალი არა მარტო თანამედროვეთათვის, არამედ შემდგომშიც მრავალი თაობისათვის იყო კეთილშობილების, ზნეობრიობის, ამაღლებული მოქალაქეობის, ქვეყნისათვის ზრუნვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში მისაბაძი და სამაგალითო.

თამარ მეფის ციკლის ლექს-სიმღერები ციკლიზაცია-კონტამინაციის გზით ზეპირსიტყვირების სხვა ციკლის ნიმუშებსაც უკავშირდება და თამარი ყველგან წარმოგვიდგება ხალხზე მზრუნველ, სამშობლოს

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 78.
2 ირინოლა. სვანური ხალხური ლექსები, თბ., 1968, გვ. 14-15.

ინტერესების დამცველ მეფედ.

ერთ-ერთი თუშური ლექსის მიხედვით, თუშებისა და ფშავლების გამარჯვება ლეკებზე მიეწერება ლაშარის ჯვარს, რაც „თამარის ნაჩუქარია“; აქვე ხაზგასმულია თამარ მეფის ძლევამოსილება, რაც გადმოცემულია თამარის ციკლის ლექსის „... თამარ დედოფალ ვიყავ“ სტრიქონების გამოყენებით:

ლეკებსა ჰქონდა ყრილობა,
რაც დიდი მაედანია,
ეუბნებიან ერთმანეთს:
„ – ერთურთს უჭიროთ მხარია,
ხვთისშვილთ მოუკლათ კოპალე,
თავზე დაუცნეთ ქვანია“.
გაუგო დამბადებელმა,
ჩამოგზავნ იახსარია.
გამოურია ლეკებში,
ცხვრებულად დასჭრა ყელია.
შუმავლად ჩამოვიდოდა
თამარ დედოფალ ქალია,
ზღვასა გადაკრა ქიჩილა,
გადააბრუნა ზღვანია.
შუა ზღვას დაკრა სამანი,
არ გადმოვიდეს ნამია.
პირდაპირ ჩამოუჯდებოდ
ლაღი ლაშარის ჯვარია.[1]

ლექსის ეს მონაკვეთი, ბუნებრივია, არქაული

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 207-208.

საფერხულოს ნაწილია და კონტამინირებულია ლეკებთან ბრძოლის ციკლის საისტორიო პოეზიის ნიმუშთან.

მესხური თქმულება „თამარ დედოფლის მიერ ყიზილბაშების დამარცხება“[1] სამშობლოს დამცველ მეფე ქალს გონიერ და მოხერხებულ სტრატეგად წარმოგვიდგენს: ყიზილბაშების ხელმწიფემ თამარს შემოუთვალა, ან ცოლად წამომყევი, ან საქართველოს ავაოხრებო. თამარმა ერთი დღე-ღამე ითხოვა. ამ ხნის განმავლობაში მან გააჭრევინა დიდი არხი და ისე გადაახურვინა, რომ შეუმჩნეველი ყოფილიყო. მეორე დღეს კი მოძალადეს ომი შეუთვალა. „გაბრაზებული ყიზილბაშების ცხენოსანი რომ წამოვა, სულ არხში ჩაცვივა. ასე დაუმარცხებია თამარ დედოფალს ყიზილბაშები“, – დასძენს თქმულება.

პროფესორ ქსენია სიხარულიძის მიერ სვანეთში ჩაწერილი თქმულება „თამარ მეფის ბრძოლა თათრებთან“[2] ასევე ქართველთა მოხერხებულობის თემას ეხება. თათრებთან საბრძოლველად ჩამოსულმა სვანებმა თვითეულმა თითო ფუთი ცერცვი ჩამოიტანა და მდინარე ტეხურის რიყეში დათესეს. მეორე დილას, ბრძოლის წინ, სვანთა ლაშქარი რიყეზე გამოვიდა და დაიწყო ცერცვის კრეფა და ჭამა. თათრების მხედართმთავარს უთქვამს:

„ – არიქა, უკან დევიხიოთ, თვარა სვანეთი გამევიდა და ეგენი ქვას ჭამენ და ჩვენ რას გვიზამენო, გაგვწყვეტენო!

დაბრუნდა თათრის ჯარი, ჭოროხს გადასცილდა. არ დააყენეს აქით“, – დასძენს მთქმელი.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 84.

2 იქვე.

თქმულება „თამარის ბრძოლა თათრებთან“[1] მოგვითხრობს: თათრების უფროსს თამარის ცოლად შერთვა განუზრახავს, მაგრამ, რაკი უარი მიიღო, აღდგომა დღეს, როცა ქართველებს დიდი საეკლესიო დღესასწაული ჰქონდათ და უქმობდნენ, ააწიოკა საქართველო. თამარს უთქვამს, „ – მაგიორ პატივს მე გადაგიხდიო“; წაუყვანია ჯარი აქლემებით, ვითომ სავაჭრო საქონელი მიქონდა და იმ დროს დასცემია თავს ქალაქ ტრაპიზონს, როცა თათრებსაც თავიანთი დიდი უქმე ჰქონიათ. „აუღია მთლად ის ქალაქი, გადაუწვავს და ჭკუა უსწავლებია თათრებისათვის. სხვა დროს თამარის მეფობისას აღარ ბედავდენ მოსვლას“.

საინგილოში გავრცელებული თქმულება „ფერია დედოფალი საქართველოისა“[2] გვაუწყებს, რომ თამარის „სალამაზის ამბავი გაითქვა ქვეყნის ოთხივ-კუთხივ; მაღრიბიდგან მაშრიყამდე ფერიას სილამაზე საარაკო მოთხრობათა საგნად შეიქნა“. თამარის შერთვა მოინდომეს სხვადასხვა მეფეებმა და მათმა შვილებმა, მაგრამ ქართველთა ულამაზეს მეფეს „ღმერთისათვის ქალწულობა აღეთქვა და რად გათხოვდებოდა! ყველა მთხოვნელს უარი უთხრა...“ უარით გაუსტუმრებია თამარ მეფეს სპარსეთის შაჰიც.

თქმულებისეული ანაქრონიზმით, თამარის ხელს ეძიებს შაჰ-აბაზი, რომელმაც კარის მგოსნებისა და აშუღებისაგან შეიტყო თამარის საარაკო სილამაზის

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 84-85.
2 „საქართველოს კალენდარი“, თბ., 1890, გვ. 414-417.

შესახებ. მან გადაწყვიტა, პირადად ენახა ქართველთა დედოფალი და შეგირდად მიებარა მკალავს, რომელიც თამარის ჭურჭელს კალავდა. მოკალული ჭურჭლის დათვალიერების დროს მკალავის შეგირდში თამარმა შეიცნო შაჰ-აბაზი, რადგანაც მას „მრავალი მეფეების სურათი ჰქონდა“. თამარი განრისხდა მკალავის საქციელის გამო და ორთავე დაითხოვა. შერცხვენილი შაჰ–აბაზი დაბრუნდა თავის სამეფოში და „მაჰმადის წვერი დაიფიცა, რომ ან გავხდები მფლობელი ამ მშვენიერთა მშვენიერის არსებისა და ან თავს მოვიკლავო“. მან შეაგროვა მრავალრიცხოვანი ჯარი და საქართველოზე გამოილაშქრა. თამარმაც თავის ჯარს თავი მოუყარა საინგილოში, იმ ადგილას, სადაც „სისხლის ღელეა“. ამ ღელის ნაპირას თამარის მცირერიცხოვანი ჯარი შეება უთვალავ მტერს; „ქართველნი, გამხნევებულნი თავის საყვარელ დედოფლის ხილვით, ლომებრ იბრძოდნენ. დაიხოცა მრავალი ქართველი, ხოლო ყიზილბაში – ასჯერ კიდევ მომეტებული. მთელ ღელე სისხლით აივსო და კაცის სისხლმა შიგ რუსავით დენა დაიწყო“. უთანასწორო ბრძოლაში უკანასკნელი ქართველი მეომარიც რომ დაიღუპა, თამარი უკან გამობრუნდა და ჩაიკეტა მიუვალ ციხეში, რომელიც ფრიალო მთის წვერზე იყო აშენებული. შაჰ-აბასმა ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ მეციხოვნენი ვაჟკაცურად იცავდნენ. მაშინ აბასმა ხერხი იხმარა: ღამით თავისი ჯარისკაცების უნაგირებით თხრილი ამოავსო და დილით ციხეში შეაღწია, მაგრამ თამარი ვერსად ნახა. „ფერია, რომ მტერს ხელში არ ჩავარდნოდა, ციხის სიმაღლიდან ღრმა უფსკრულში გადაეშვა. შაჰ-აბაზს

ძლიერ ეწყინა, რომ დედოფალი ვერ შეიპყრო. შესწუხდა, დანაღვლიანდა და ამ ნაღველმა თან გადაიტანა კიდეც".

ქართული ზეპირსიტყვიერების როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაკადი მრავლად იცნობს ისეთ ნიმუშებს, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ღირსეული ქალების მტკიცე გადაწყვეტილება – მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდილი ირჩიონ. ინგილოურ თქმულებაში კონტამინაციისა და ანაქრონიზმის წესით გადმოცემულია საქართველოს ისტორიაში რეალურად მომხდარი ამბები, რომლებიც ხალხის ფანტაზიამ თამარ მეფის სახელს დაუკავშირა.

თამარის სურვილი, მტრის ხელში არ ჩავარდეს, მითოსური ელფერით არის შემოსილი მესხურ თქმულებაში „თამარ დედოფალი"[1]. თქმულების მიხედვით, სპარსეთის შაჰმა თამარ დედოფლის სიმშვენიერის ამბავი გაიგო და დიდი ჯარით წამოვიდა საომრად, რათა წაეყვანა იგი. თამარმა ორჯერ დაამარცხა შაჰი, მაგრამ მესამედ შაჰმა სძლია და, წაყვანა რომ დაუპირა, „იმ დროს თამარი ჰაერად წავიდა და უჩინო იქნა ქართველი დედა".

ამავე ციკლის ერთი ლეგენდის[2] მიხედვით, შაჰ-აბასი თხოულობდა თამარს და ვერაფრით რომ ვერ დაიყოლია, „ჩხუბი გამოუცხადა". დედოფალი გვირაბით გაიპარა ზარზმაში. მეფის სამყოფელი თავისი წონა ოქროს ფასად გასცა „ერთმა ხნიერმა ქალმა„ და შაჰმა თამარი შეიპყრო. თამარმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. შაჰმა ხუთი

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 88-89.
2 იქვე, გვ. 264-266.

დღის ვადა მისცა. თამარმა გააჭრევინა ორმო, ზედ ფიჩხი დააყრევინა და შემდეგ შაჰს შეუთვალა, მობრძანდით, მზად ვარო. შაჰმა რამდენჯერმე გააგზავნა ცხენოსნები, რომლებიც ორმოში ჩაცვივდნენ. რაკი უკან აღარავინ დაბრუნდა, შაჰმა ახლა მთელი ჯარი გააგზავნა. ჯარსაც იგივე ბედი ეწია. ახლა თავად შაჰი წავიდა ორი გამყოლით. გამყოლებსაც იგივე დაემართათ და შაჰი უკან გაიქცა.

ორმოში დატყვევებულ მტრის ჯარისკაცებს თამარმა თავები დააყრევინა და პატარა გორა გააკეთა. ორი წლის შემდეგ შაჰმა იმავე დედაბრის დახმარებით კვლავ შეიპყრო თამარი, რომელმაც ისევ დააჯერა შაჰი, სამ დღეში საქორწილოდ მოვემზადებიო. თამარმა ჩამოასხმევინა ოქროს კუბო, მორთო თვალმარგალიტით, შეიმოსა ძვირფასად, როგორც მეფეს ეკადრებოდა საქორწილოდ, ჩაწვა კუბოში და საწამლავი დალია.

მეოთხე დღეს, როცა შაჰი მოვიდა, „ნახა, რომ უბედურება იდგა: კუბოშიდგან იწვა თამარ დედოფალი, ირგვლივ სანთლები ჰქონდა...“.

ხალხის მიერ თამარ მეფის ძლევამოსილების გამოხატვის თვალსაზრისით აღსანიშნავია ისიც, რომ დავით აღმაშენებლის ციკლის ცნობილი თქმულება, რომელიც მოგვითხრობს ლეკებზე დავით მეფის გალაშქრებასა და დარუბანდის კარების საქართველოში ჩამოტანის შესახებ,[1] კონტამინაცია-ციკლიზაციის წესით თამარის სახელსაც დაუკავშირდა: „თამარს დეეჩემა თათრები: „ – არ ჩამოგვიღო მეჩეთის კარებიო“. „ – ქალიც არ ვიქნები,

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 63-64.

თუ არ ჩამოგიხსნითო კარებს!" ყუთები გააკეთა, ჩასხა შიგ ჯარი და გაგზავნა, ვითომ ვაჭრის საქონელი იყო. ამოსხა მემრეთ ჯარი და დაამარცხა ოსმალები".[1]

მართალია, ისტორიული წყაროები არ ადასტურებენ დავით აღმაშენებლის მიერ დარუბანდის კარების გელათში ჩამოტანას (იგი განძიდან ჩამოიტანა დავითის ძემ – დემეტრე პირველმა) და, მით უფრო, თამარ მეფე ვერ იქნებოდა ამის ჩამდენი, მგრამ არაერთი მაგალითი მოგვეპოვება იმისა, როცა თამარს და მის დიდებულ პაპას, ქვეყნის წინაშე მათი უდიდესი დამსახურებისა და ავტორიტეტის გამო, ზეპირსიტყვიერებაში, მისთვის დამახასიათებელი კონტამინაცია-ციკლიზაციის წესით, მიეწერებათ სხვა დროს, სხვა ეპოქაში მომხდარი „საქმენი საგმირონი"; ვფიქრობთ, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ თამარის მიერ „კარების ჩამოხსნაში" თქმულების არქაულ ვარიანტში იგულისხმებოდა თამარის ლაშქრის მიერ ციხექალაქ „კარის" (ყარსის) დაპყრობა, ხოლო შემდგომში ეს ფაქტი დავითის ციკლის თქმულებასთან კონტამინირდა.

თამარის სახელთანაა დაკავშირებული ხირხათის ციხის აშენება აჭარაში.[2] „ეს ლეგენდა, – წერს თედო სახოკია, – თამარს წარმოგვიდგენს ხირხათის ციხეში შეფარებულს უსჯულოთა მეფის ალერსისაგან თავის დასაღწევად".[3]

ლეგენდა მოგვითხრობს: „ამ უსჯულოთა მეფეს დიდი ქება გაეგონა თამარისა: მისი სილამაზის წინაშე მზის

1 გ. ახვლედიანი, ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება, თბ., 1989, გვ. 8.
2 თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 223-224.
3 იქვე, გვ. 223.

ბრწყინვალე სხივნი კრთებიანო, არცერთ დედის მუცელს მაგის მსგავსი ასული არ უშვია ქვეყნის გაჩენიდანო. იმანაც გადაწყვიტა, ცოლად შეერთო; გაუგზავნა მოციქულები და თავისი სურვილი შეუთვალა. ... ეჭვიც კი არ ჰქონდა, რომ თამარს უარის თქმა აზრად მოუვიდოდა, მაგრამ თამარს გადწყვეტილი ჰქონდა, უბიწოდ დარჩენილიყო და, ეგეც არ ყოფილიყო, უსჯულო მეფეს მაინც არ გაჰყვებოდა ... ამიტომ ... უარი შეუთვალა, – იმედი ნუ გაქვს, როდესმე ცოლად შემირთოვო".

უსჯულოთა მეფემ „გადაწყვიტა, ძალით მოეხრევინებინა ქედი თამარის ჯიუტობისათვის; შემოიკრიბა აურაცხელი ჯარი და საქართველოს მუსრი გაავლო", – გვაუწყებს ლეგენდა. თამარს აჭარისათვის შეუფარებია თავი და თვალის დახამხამებაზე ხირხათის მიუდგომელ მთაზე მაგარი ციხე აუშენებია; „შიგ შეიყვანა თავისი ჯარი, შეიტანა რამდენიმე წლის საყოფი სარჩო და დაუწყო ლოდინი მტერს!" მტერიც მალე გამოჩენილა და ხირხათის ციხის მოპირდაპირე მთაზე დაბანაკებულა. რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ ხირხათის ციხეს ვერაფერი დააკლეს. მოთმინებადაკარგულმა უსჯულო მეფემ ბრძანა, ხრამი, რომელიც ხირხათის ციხესა და მის ბანაკს შორის იყო, ბამბით ამოევსოთ, რათა ხიდიც გაეკეთებინა და თამარისათვის თავისი სიმდიდრეც ეჩვენებინა. ასეც მოიქცნენ: რაც მის სამეფოში ბამბა იყო, სულ აქ მოზიდეს და მოკლე ხანში ხრამი ციხის პირამდე ამოავსეს. თამარმა ბრძანა, ამ ბამბის ხიდისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ. ასე რომ, შრომამ და ხარჯმა ფუჭად ჩაუარა მის მოტრფიალეს.

თამარს ზარზმაში სალოცავად წასვლა მოსდომებია და, მტერს რომ არ შეემჩნია, ხირხათის ციხიდან ზარზმამდე გვირაბი გაუყვანია. „თამარმა იწყო ზარზმაში სიარული და ვედრება – ღმერთო, იხსენ შენი მმოსავი ხალხი ამ განსაცდელისაგანო!“

თამარს იმედი ჰქონდა, რომ ღმერთი შეისმენდა მის ვედრებას და სამეფოს გადაურჩენდა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ლეგენდა გვაუწყებს, ციხე შიგნიდან გატყდა: უსჯულოთა მეფემ გამოაცხადა, ვინც თამარს დამაჭერინებს, თავის წონა ოქროს მივცემო. თამარს ზარზმაში ერთი დედაბერი ემსახურებოდა. „ყოვლად ძლიერმა ოქრომ თავტანი დაუკარგა დედაბერს და გადააწყვეტინა, თავის მეფისათვის ეღალატნა“. თამარი შეიპყრეს, მაგრამ მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მტერს ცოცხლად არ ჩავარდნოდა ხელში და სთხოვა უსჯულოთა მეფეს:

„ – ერთი დღე თავისუფლება მომეცი, რომ ოთახში მარტო დავრჩე და უკანასკნელად ვილოცო ღმერთიო“.

მეორე დღეს ოთახის კარი რომ გააღეს, „მზის დარი თამარის გაცივებული გვამი ესვენა – იმავე ღამესვე დაელივნა საწამლავი, რომელსაც სულ თან ატარებდა, რაკი შიში ჰქონდა, რომ შეიძლება მტერმა ერთ დღეს ხელში ჩამიგდოსო“.[1]

ლეგენდა გარეშე მტრებთან ბრძოლის თემას განეკუთვნება; იგი ქრისტიანული სარწმუნოების იდეოლოგიითაა გამსჭვალული და თამარის უბიწოების ცნობილი მოტივის შემცველია; ეს ლეგენდა ერთგვარი

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 224.

გამოძახილია ისტორიული ფაქტისა, რომლის თანახმადაც ნუქარდინ სულთანს თამარის ცოლად შერთვა სურდა.

ლეგენდის საინტერესო ვარიანტი ჩაუწერია აჭარის ზეპირსიტყვიერების ცნობილ მკვლევარს ჯემალ ნოღაიდელს. ამ ვარიანტით თამარის ხელს ერთ-ერთი შაჰი ეძიებს. შაჰს თამარის ცოლად შერთვა განუზრახავს, მაგრამ თამარს უარი შეუთვლია. შაჰი მრავალრიცხოვანი ლაშქრით წამოსულა თამართან საომრად. „ყველა ციხე, – გვაუწყებს თქმულება, – თამარს, თურმე, მაშინ აუშენებია. როცა შაჰს საქართველოს მეფე ერთ ციხეში მიუგნია, იქიდან თამარს მეორე ციხისათვის შეუფარებია თავი. უკანასკნელად ხირხათის ციხეში მისულა და ის გაუმაგრებია“. ხირხათის ციხეში გამაგრებულ მეფეს, ამ ლეგენდითაც, მისივე ამალის წევრი ერთი დედაკაცი გასცემს. დასასრული აქაც ისეთივეა – ურჯულოთა ხელში ჩავარდნას თავისი ქვეყნისა და სარწმუნოების ერთგული მეფე სიკვდილს ამჯობინებს და თავს მოიწამლავს.[1]

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში დაცული თქმულება „ასე აშენდა კავიანი“[2] მოგვითხრობს, თუ როგორ გააქცია თამარ მეფემ თავხედი სულთანი საქართველოდან: ხიჭაურში დაბანაკებული სულთნის კარვის წინ ღამით ცეცხლის

---

1 ჯ. ნოღაიდელი, თქმულებები და გადმოცემები აჭარაში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე. – ნარკვევები და ჩანაწერები, ნ. I, ბათ., 1971, გვ. 205-206.

2 ბ ს კ ი ფ ა, საქმე, №269, გვ. 218-219.

შუქზე ისარი დაერჭო. ნახეს, რომ ისარზე წერილი იყო, სადაც ეწერა: „აქედან გეიქეცით, თვარამ დაქხოცავთო“. ვერ მიხდენ, ჰაიდან იყო ეს ისარი გამოსროლილი. შეშინებული სულთანი იქიდან გაქცევლა ლაშქრით“.

მართალია, თქმულება უტრირებულად წარმოაჩენს ქართველთა მუქარით შეშინებულ სულთანს, მაგრამ ამასაც, ბუნებრივია, თამარის სახელმწიფოებრივი სიძლიერის კანონიერი სიამაყე ასაზრდოებს.

თამარის სახელს უკავშირებენ აჭარლები დანდალოს ხიდის მახლობლად, ჩრდილოეთის მხრიდან, მდებარე ადგილის – „ნაომვარის“ – ეტიმოლოგიასაც. როგორც გადმოგვცემენ, როცა აქ 1950 წელს გზა გაყავდათ, ძმათა სასაფლაო აღმოაჩინეს. თქმულების მიხედვით,[1] თამარს გაუმარჯვია, მაგრამ ბევრი დანდალოელი დახოცილა და ყველა ერთ ადგილას დაუსაფლავებიათ. ამ თქმულებითაც თამარი სხვა სახელმწიფოებისათვის შიშის ზარის დამცემია: „თამარიდან, მეგემ, ყველა სახემწიფოს ეშინოდა. დანდალოს ხიდი იმიტომ გააკეთებია, რომ მტერთან ბრძოლისას გამოეყენებინა. ერთ ბრძოლაში თლათ დანდალოს ხალხი გამოსულა საომრათ. დიდი შეტაკება ამ ხიდთან მომხდარა. თამარს გუუმარჯვია, მაგრამ მისიც ბევრი დახოცვილა. მომკდარები იქავენ დუუმარხავან. ამიტომ ქვია ამ ადგილს „ნაომვარი“.

გარეშე მტრებთან თამარ მეფის ბრძოლის თემას ეხება ერთი საინტერესო ლეგენდა,[2] რომელიც ბოლოსტიკეს

---

1 ბ ს კ ი ფ ა, საქმე, №269, გვ. 218-219.

2 ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით, თბ., 1941, გვ. 88. გადაბეჭდილია: ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 83.

ომში რუმის მბრძანებელზე – რუქნადინ სულთანზე ქართველთა გამარჯვებასთან უნდა იყო დაკავშირებული; თუმცა, ისტორიაში კარგად ცნობილი ამ ომის ნაცვლად ლეგენდაში ზოგადად ოსმალებთან ომზეა საუბარი: ოსმალებთან ომში ქართველებმა გაიმარჯვეს თამარის მეთაურობით და სულთანიც დაატყვევეს. როცა სულთანი თამარის წინაშე წარსდგა და მას შეხედა, შეკრთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყო:

„ – მიშველეთ, მიშველეთო!“

როცა ჰკითხეს, თუ რამ შეაშინა, სულთანმა უპასუხა:

„ – მე მისი შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხმალამოღებული კაცი უვლის და იმ გალესილ ხმალს სულ აქეთ-იქეთ ატრიალებს მტრის წინააღმდეგო“.

ლეგენდას იცნობს ვახუშტი ბაგრატიონიც[1] და ბოლოსტიკეს ომში ქართველთა გამარჯვებაზე საუბრისას მოჰყავს იგი, ოღონდაც ვახუშტისეულ ვარიანტში სულთანს ცვლის სულთნის დიდებული; ამავე ვარიანტში თამარის თავზე მტერი ხედავს მთავარანგელოზ მიქაელის სახეს, რომელიც გვიანდელ ვარიანტში ხმლიანმა კაცმა შეცვალა: „კუალად ესეცა თქმულ არს: „მოყვანებული დიდებული სულტნისა წინაშე თამარისა დაეცა და იღვლარჭნოდა, ვითარცა გუელი და უტყუარ-ქმნილი; ამისთჳს განიყვანეს გარე და რა იქმნა მრთელ-გონიერ, ჰკითხვიდნენ, რასათჳს ყოფასა ეგრეთ; ხოლო იგი იტყოდა, „რომელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩუენ ზედა და აწცა შევშინდი მის მიერ“.

1 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ტ. I, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 212.

ხოლო ჟამსა მას იყო ხატი მთავარანგელოზის მიქაელისა თავსა თამარისასა მკიდარე. ამით იუწყეს მის-მიერობა და შესწირეს უმეტესი მადლობა ღმერთსა".

ვახუშტისეული ვარიანტი ადასტურებს ლეგენდის ტრადიციულობას და საინტერესოა როგორც მისი ისტორიის გასათვალისწინებლად, ასევე – ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის თვალსაზრისითაც.[1]

თამარის ციკლის ერთ-ერთი საისტორიო თქმულებით,[2] რომელსაც, აგრეთვე, ვარიანტები მოეპოვება, თამარმა უარი უთხრა სპარსთა (არაბთა) შაჰს. გამძვინვარებული შაჰი მრავალრიცხოვანი ჯარით საქართველოს შემოესია და ალყა შემოარტყა ციხეს, რომელშიც თამარი იყო გამაგრებული. შაჰმა თამარის დაცინვა მოინდომა და ტიკით ღვინო გაუგზავნა ალყაშემორტყმულ ქართველთა მეფეს. თამარმა შაჰს ცოცხალი თევზი გამოუგზავნა, რითაც მიანიშნა, რომ ის არაფრის ნაკლებობას განიცდიდა და დრო იყო, დაეტოვებინა საქართველო. შაჰი ძალიან ააღელვა თამარის შემონათვალმა: „დიდი ხანია, მეფეს არ უგემნია მისი საყვარელი კერძი. იქნებ ცოცხალმა გაუღვიძოს ტკბილი მოგონება სამშობლოზე და მოისურვოს, ჩქარა გაბრუნება გირკანის მოქნილი ტალღებისაკენო".

პროფესორ ქსენია სიხარულიძის ვარაუდით, ეს თქმულება თამარ მეფის ციკლში საკმაოდ გვიან, XVIII საუკუნის შემდეგ, არის შესული და მისი წყაროა ვახუშტი

1 ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, თბ., 1958, გვ. 303-304.
2 А. Хаханашвили, დასახ. ნაშრ., გვ., 286-287.

ბაგრატიონის მიერ XV-XVI საუკუნეთა საქართველოში სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და ფეოდალების გაძლიერების დამახასიათებელი ერთი ეპიზოდი, კერძოდ – ბაგრატ მეფის მიერ მუხრანის ციხის აშენება და ამ ციხეზე ავგიორგის გარშემორტყმა.[1]

თამარის მიერ სამშობლოს გაძლიერების, მტრის მიერ მიტაცებული მიწების შემომტკიცებისა და მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარკვეულ ნაწილზე მისი პოლიტიკური გავლენის ისტორიული ფაქტის გამომხატველია თქმულება „თამარი და სტამბოლის ფაშა“,[2] რომელიც თამარ მეფის გონიერებასა და მოხერხებულობასაც გახაზავს. თქმულების თანახმად, თამარს ნიძლავი მოუგია სტამბოლის ფაშისათვის და ერთი ხარის ტყავისოდენა მიწა მოუთხოვია. ფაშა დათანხმებულა. თამარს მოუყვანია უშველებელი ხარი, დაუკლავს, მისი ტყავი თასმებად დაუჭრია, გადაუბამს და იმით შემოუსაზღვრავს დიდი ტერიტორია. „ფაშა შეფიცული იყო და ველარას იტყოდა“.

პარადოქსულია, მაგრამ, მესხური ლეგენდის („ლეგენდა თამარ მეფეზე“[3]) მიხედვით, იმავე ხერხით თამარ მეფე რჩება მოტყუებული: თამარ მეფეს თათარი მოსამსახურე ჰყავდა, ერთგული და თავაზიანი, სახელად მახმედი. მეფემ მოინდომა, დაეჯილდოვებინა მახმედი და უთხრა, რასაც ინდომებ, მოგცემო. თათარმა ქვეშ-ქვეშ

1 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 129.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 85.
3 იქვე, გვ. 85-87.

ჩაიცინა და მოახსენა:

„ – ერთი ხარის ტყავი რამდენ მიწასაც შამოიცავს, ის მომეციო“.

„ – აგრე ცოტა?! ბევრი მთხოვე, თორემ ეგ რას გეყოფაო“, – უთხრა გულუბრყვილო დედოფალმა.

„ – თუ თქვენი მოწყალება არ მომეშალა, ესეც ბევრი იქნება ჩემ უღირს თავზეო“, – მიუგო ცბიერმა თათარმა.

თამარი დათანხმდა. მახმადმა იყიდა დიდი ხარის ტყავი, ხარაზს წვრილ თასმებად დააჭრევინა, მიიტანა მეფესთან და დანაპირები მოსთხოვა. „ამ ბილწმა თათარმა რავა მომატყუაო“, გაიფიქრა თამარ მეფემ, ძალიან შეწუხდა, მაგრამ მეფური სიტყვა არ გატეხა და მიუზომა ტერიტორია, სადაც თათარმა აირჩია. ეს იყო ვარძია-შორაპნის შუა მდებარე ადგილები. თქმულების თანახმად, მახმედმა ამ ადგილებში თათრები ჩამოასახლა. ისინი ძალიან აწვალებდნენ გამვლელ-გამოვლელს. თამარმა მათი თარეში ალაგმა, მოღალატე და ფლიდი მახმედი კი დიდებულებმა დასაჯეს – კუპრში მიუჩინეს სამუდამო ადგილსამყოფელი. „თამარს თუმცა ეწყინა ეს ღვთის საწინააღმდეგო საქმე, მაგრამ რალა ექნა...“, – დასძენს თქმულება.

იმერული თქმულებით (“თამარ მეფის საფლავი გელათში“[1]), რომელიც, აგრეთვე, ანაქრონიზმის შემცველია, თამარმა მოხერხებულად გადასხა თავისი მეომრები სტამბოლში და შახაბაზს ქალაქი დაატოვებინა. შახაბასმა სთხოვა, წართმეული ტერიორიიდან ერთი ხარის

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 99.

ტყავისოდენა ადგილი მიეცა მისთვის. თამარმა დაუთმო. შახაბასმა ხარის ტყავი „წვრილად, აბრეშუმის ძაფისოდენად დაჭრა, შემოარტყა სტამბოლს და წართმეული ადგილი ისევ მას დარჩა".

ცხოველის მეშვეობით ტერიტორიის შემოსაზღვრის მოტივი კარგად არის ცნობილი მსოფლიოს მრავალი ხალხის ეპოსში. იგი გვხვდება, აგრეთვე, ზეზვა გაფრინდაულის ციკლის ერთ ქართულ ხალხურ საისტორიო გადმოცემაში ("ზეზვაის ცხენის საფლავი"), რომლის თანახმადაც ბახტრიონისა და ალავერდის აღებაში გამოჩენილი წვლილისათვის ერეკლე მეფეს მთიელების დასაჩუქრება განუზრახავს. თუშებს იმოდენა ფართობი უთხოვიათ, რასაც მათი ბელადის ცხენი შემოურბენდა და მიუღიათ კიდეც.[1]

მდინარე რიონის გასწვრივ, ქუთაისიდან შავ ზღვამდე არსებული კონუსისებური ბორცვების – „ნაქოშარის" – წარმოშობაც ზეპირსიტყვიერების კოლექტიურმა ავტორმა თამარის მიერ მტრის წინააღმდეგ ბრძოლას დაუკავშირა. იმერეთში გავრცელებული თქმულების თანახმად, თამარ მეფეს ომებში ყოველთვის თან ახლდა ქალთა ლაშქარი. ირანის შაჰთან საბრძოლველადაც მან ქალთა ლაშქარი შეკრიბა და შავი ზღვის მიმართულებით გაემართა. წვიმა მოდიოდა და გზა ატალახებული იყო. შესვენებისას თამარის მხედრები იცილებდნენ ქოშებზე მიკრულ ტალახს. ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ ქოშებიდან ჩამონაფხეკი ტალახით ჩნდებოდა ბორცვები,

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 141.

რომლებსაც „ნაქოშარი" უწოდეს.[1]

ეგრეთწოდებული „ნაქოშარი" გორების და მათზე ციხესიმაგრეთა აშენების მიტივის შემცველი თქმულება გავრცელებულია აჭარის ზეპირსიტყვიერებაშიც. აჭარაში ადრე „ბათუმის ბასტიონად" წოდებულ ამაღლებულ ბორცვზე არსებული თამარის ციხის შესახებ მკვლევარ ჯემალ ნოღაიდელის მიერ ჩაწერილი თქმულების თანახმად, „ერთხელ, თურმე, აქ თავისი ლაშქრით თამარ მეფეს გაუვლია და დაბანაკებულა. ლაშქარს ქოშები გაუწმენდია, ერთად შეუგროვებია და ამრიგად წარმოშობილა ბორცვი. მეორედ გამოვლის დროს თამარ მეფის ბრძანებით ამ ბორცვზე ციხე აუშენებიათ, რომლისთვისაც თამარის სახელი დაურქმევიათ".[2]

გარეშე მტრებისაგან სამშობლოს დაცვისა და ქვეყნის საზღვრების განმტკიცების ამსახველი ზეპირსიტყვიერების გვერდით ქართულ ფოლკლორულ შემოქმედებას შემორჩა, აგრეთვე, თამარის მიერ განდგომილი ფეოდალების დამორჩილების თემის შემცველი ნიმუშებიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1911 წელს გაზეთ „თემში" (№10) დასტამბული თედო სახოკიას მიერ სამეგრელოში, სოფელ ჯვარში, აქვსენტი ცაგარელისაგან ჩაწერილი თქმულება „როგორ აიღო თამარ მეფემ სვანეთი". თქმულებაში თამარი წარმოადგენილია საქართველოს გამაერთიანებელ მეფედ, რომელმაც „ბევრს ძლიერს მთავარს ქედი მოახრევინა და მოხარკედ

---

1 **А. Хаханашвили**, დასახ. ნაშრ., გვ. 287-288.

2 **ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წ. I, ბათ., 1971, გვ. 206.**

გაიხადა". სვანეთის მთავარი ქოჩაქიძე ეურჩებოდა მძლეთამძლე მეფეს. „არავინ იცოდა, რა ხდებოდა ამ კარჩაკეტილ სამთავროში, რა ძალის პატრონნი იყვნენ მისნი მცხოვრებნი".

სადარდებელს მიეცა თამარ მეფე; წუხდა, „მხარე არ დამრჩენია დაუპყრობელი და ამ პატარა სვანეთის ჯავრი როგორ ჩავიყოლო საფლავშიო". გადაწყვიტა, თუ ძალით არა, ხერხით მაინც გასულიყო ფონს; შეუთვალა სვანეთის მთავარს, სტუმრად უნდა გეწვიოო და შეასრულა კიდეც დანაპირები. მცირე ამალით გაემართა იგი სვანეთისაკენ. გზადაგზა მწიფე მაყვალს კრეფდა და ჯიბეში ინახავდა.

სვანეთის მთავარმა საკადრისი პატივით მიიღო გვირგვინოსანი, დაათვალიერებინა სვანეთის მიდამოები. „რო ყველაფერი ნახა თამარმა, გადაწყვიტა, აქაურობის აღება არც ისე ძნელი ყოფილაო, მხოლოდ ხერხი სდომებიაო„ და ეს ხერხი გამოიყენა კიდეც: მოიავადმყოფა თავი და მაყვლის ნაღეჭს ანერწყვებდა, ვითომდა სისხლს მაღებინებსო. შეწუხდნენ მასპინძლები, დაუწყეს მკურნალობა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. დედოფალმა მოინდომა უკან დაბრუნება. მთავარს სურდა, მხლებლები გაეყოლებინა, მაგრამ თამარმა უარი განუცხადა, ჩემიანები უნდა დავიბაროვო და მალულად შეუთვალა ჯარს: „აბა, მოდით, სვანეთის ასაღებად ისწრაფეთო". ჯარმაც არ დააყოვნა და სვანეთი დაიპყრეს. ტყვე მთავარი თამარს სამეგრელოში, სოფელ ჯვარში, დაუსახლებია ქოჩიაშვილის გვარით. როგორც თედო სახოკია გადმოგვცემს, ამ ლეგენდიდან უნდა იყოს წარმოშობილი მეგრული ანდაზა:

„შონეთი მაძირაფუქ ეჭოფუფა„ („სვანეთი მნახველმა აილოვო"), ე.ი. მტერი (გინა ძნელი რამ საქმე) მაშინ უფრო ადვილი დასაძლევია, როცა ამ მტრის ძლიერება-სისუსტის ამბავი იციო".

სამშობლო ქვეყნის გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ თამარის ძლევამოსილ გამარჯვებათა მაუწყებელი ფოლკლორული შემოქმედება ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია. მასში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის შეხედულებანი გმირობასა და ვაჟკაცობაზე, სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადებაზე; ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს მარგალიტები დიდების შარავანდედით მოსავენ მშობელი ქვეყნისათვის თავდადებულ მეფე თამარს, მის ღვაწლსა და სამაგალითო მამულიშვილობას; მისაბაძ მაგალითად უსახავენ შთამომავლობას თამარის ეპოქის საქართველოს ბრწყინვალებასა და სიძლიერეს, ღვთივკურთხეული თამარ დედოფლის მიერ საქართველოს აყვავებასა და განმტკიცებას; მისი საზღვრების განმტკიცებას

პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდე,
ამერნი ხაზარეთამდე,
თვით გელაქუნი ჩრდილო კერძ,
მპყრობელი სულ ყივჩაყამდე.[1]

ერიც სწორედ ასეთ „გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს".[2]

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1964, გვ. 97.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1984, გვ. 605.

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა...

“ბრძანებდა მამა უფალი:
– თამარ განეფდეს ქალია!“
(ხალხური)

თამარ მეფის ციკლის საისტორიო ფოლკლორული შემოქმედების თანახმად, მარტოოდენ გარეგნული ბრწყინვალება, „ქვეყნის თვალობა„ და თვით მზესთან წილნაყარობა როდია თამარ მეფის ღირსება; გარეგნულ სიმშვენიერეს სწორუპოვარი მეფის შინაგანი სამყაროს უდიდესი ხიბლიც ემატება და შთამომავლობის წინაშე წარმოსდგება ბუმბერაზი პიროვნება მეფე ქალისა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გელათის ტაძარს შეადარა ხალხურმა პოეზიამ.

თამარ მეფის ციკლის ერთ ფშაურ საფერხულო ლექსსიმღერაში „ბრძანებდა დამბადებელი“[1] ხაზგასმით არის აღნიშნული თამარის წმინდანობა, მისი ძალმოსილება და ქვეყნისათვის თავდაუზოგავი ზრუნვა; ამაგდარი მეფე ღვთისშვილებს გაუტოლა ხალხმა, მითური ელფერი შესძინა მის სხივნათელ სახეს:

... ღვთიშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალიო.
უფლისა იყო ბრძანება –
შაირტყა მამის ხმალიო!
მამის სამეფო აიღო,
თვითონ ბძანდება ქალიო;

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 71-72.

ხმელეთ თავისად მაიგდო,
იმდენიცა აქვს ძალიო;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი – რკინის სარიო...

თამარის ხატობისას სამღერი ამ სადიდებლის ვრცელი ფშაური ვარიანტი ჩაიწერა სერგი მაკალათიამ; მასშიც თამარი ღვთისშვილთა სწორად მოიხსენიება, მისი გამეფება – უფლის ნებად; ლექსში, აგრეთვე, წარმოჩენილია თამარის ღვაწლი ქვეყნის წინაშე, მითითებულია ხატის საბრძანისიც – ხმელგორი:

ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალია;
უფლისგან ჰქონდა ბრძანება,
შაერტყა მამის ხმალია;
მამის სამეფო აიღო,
თითონ ბრძანდება ქალია;
ხმელეთ თავისად მაიგდო,
იმდენიცა აქვს ძალია;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი – რკინის სარია,
სატახტოდ, საბრძანებლადა
თითონ ხმელს გორზე ბრძანია,
პირდაპირ უდგა გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია,
თავზე ხურავის გვირგვინი,
წელზედ არტყავის ხმალია,
გვერდს უდგა ნისლისფერაი,
ტრედივითა ჰქონ მხარნია;

ოქროს უნაგირ ზედ ადგა,
ოქროსწყლის ლაგმის ტარია;
დალოცვილ შემზადებულა:
" – დაფანტული მყვან ყმანია..."
მიეშველება ერთგულთა,
არ იყოს მისვლის ხანია.[1]

„ღმერთთან წილდებულად" იხსენიება თამარ მეფე სხვა ფშაურ საფერხულო სიმღერაშიც:

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
მემრ თამარ ნეფე ვახსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია.
ლაშარის ჯვარიც ვახსენოთ,
ეგ ყმაზე თავდებულია...[2]

ამ ვრცელ საფერხულო ლექს-სიმღერაში მითითებულია თამარ მეფის ღვთაებრიობაზე, მამა უფლისაგან მის ხელდასხმულობაზე, მის კეთილგონივრულ სამსახურზე ხალხისა და ხატის მიმართ. ტექსტი წარმოადგენს იახსრის საფერხულოსა და ლაშარის ჯვრის ლექს-სიმღერათა და თამარის ციკლის ეპიტაფიური ლექსის – „... თამარ დედოფალი ვიყავ" – კონტამინაციის ნიმუშს. იგი აშკარად მიუთითებს საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩენილ თამარ მეფის კულტზე:

ბრძანებდა მამა უფალი:
– თამარ განეფდეს ქალია,

1 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, გვ. 223.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 202-204.

დაიგდოს მამის სახელო,
შაირტყას მამის ხმალია.
სახელით გამარჯვებული
თამარი დედუფალია!
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღანია;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი რკინის სარია,
ხმელეთი ჩვენკე დაიგდო,
– ღმერთო, მიმრავლე ყმანია!
ქრისტიანთ სალოცავადა
თვითონ ხმელგორზე ბრძანია.
პირდაპირ უდგა გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია.
მიეშველების საყმოთა,
არ იყოს მისვლის ხანია.
რახანის გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა.

საყურადღებოა, რომ ივრისხეობის ფშავლები ხატის მსახურებისას შესასრულებელ ამ სადიდებელ-საგალობელში ხაზგასმით მიანიშნებენ, რომ მტრის წინააღმდეგ მიმავალ ქართველთა ლაშქარს, როგორც წესი, წინ ხმალშემორტყმული ლაშარის ჯვარი მიუძღვის, ხუცესი თამარისა და ლაშარის ჯვრის სახელით ლოცავს მეომრებს და თამარის ნაჩუქარი თასებიდან ასმევს ბრძოლის ველზე თავდადებულთა შესანდობარს:

დალაღდნენ ფშავლის შვილები,
იყრება მძიმე ჯარია,

შამოხდენ ლაშრის გორზედა
ქვეითნი, ცხენოსანნია,
მრავალთ ეკიდნა მხარზედა
სამკლავე, საფუხარია;
ყველას თან ედგა საგზაო
საჩქაროდ ნადუღარია.
ხუცობდა ბერი ლუხუმი
ხმატკბილად მოუბარია.
ჯერ თამარ ნეფე ახსენა,
მემრე – ლაშარის ჯვარია,
მემრე მკვდრებს უთხრა შანდობა,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია.
ჩამააყოლეს თასები
თამარის ნაჩუქარია.

აღსანიშნავია, რომ ფშავ-ხევსურული საფერხულო სადიდებლების თანახმად, თამარი ხვთისშვილად მოიხსენიება:

ხთის შვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედუფალია.
იქნა ხთისაგან ბრძანება,
წელზე შაირტყა ხმალია,
მამის სამეფო დაიგდო,
თითონ ბრძანდება ქალია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი.
სამანი რკინის კარია,
ხმელეთ თავისაკ მაიგდო,
იმთვენი ჰქონდა ძალია,
სატახტო საბრძანებელი

თითონ ხმელგორზე ბრძანია.
პირდაპირ უდგა გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია...[1]

ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული სახელოვანი მეფე ქალის საქართველოს მთაში ღვთისშვილთა შორის მოხსენიება, ბუნებრივია, მთიელთა უზენაესი პატივისცემის გამომხატველია; მეტიც, თამარ მეფე ღვთისშვილთათვის გზა-კვალის მიმცემი, მათი „მწყემსია":

ღელით გამოხდა თამარი,
ლაშარს დაჯდება სკამსაო,
ერეკებოდა ხთიშვილთა,
მალ-მალე დარეკს ზარსაო.[2]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხურ პოეზიაში ღვთაებათა შორის მოხსენიებული თამარ მეფე ღვთაებათა იერარქიის რიგით მეორე წევრია:

პირველად ღმერთი ვახსენოთ
ეკლესიაზე მჯდარიო,
მეორედ – თამარ მეფეი,
ქრისტიანთ სალოცავიო,
მესამე – ლაშარის ჯვარი,
ლაშქართა წინამძღვარიო.[3]

ბეჟან აბაშიძის მიერ ხევსურეთში ჩაწერილ იახსრის მითოსთან კონტამინირებულია თამარის სადიდებელი:

ქალი ცხრის წლისა შამახვდა,

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 205.
2 ალ. ონჩიაური, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970, გვ. 215.
3 იქვე, გვ. 217.

ამბობენ, იახსარია,
შემადგნა ქიჩილის ტოტნი,
შამააგებნა ზღვანია,
შუაში ჩადგა სამანი,
არ სწვდება წვიმის ცვარია.[1]

იახსრის საფერხულოში თამარი მოიხსენიება ღვთისშვილების – კოპალასა და იახსრის – გვერდით; მას ხელში უჭირავს შვიდკეცი მათრახი, რითაც ისიც ებრძვის დემონოლოგიურ პერსონაჟებს, კერძოდ კი დევებს, და იცავს თავის საყმოს:

შვიდი წლის ბალღი მავიდა,
ეგ შავგრემალა არია,
ხელში უჭირავს მათრახი,
შვიდკეცად შვიდი მხარია.
მემრე შვიდი წლის გოგოი
ეგ თამარ დედუფალია.
ჩიქილა გადაიხურა,
გადააყენნა ზღვანია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გარმავარდას ცვარია.
ლაშარის გორზე დაბძანდა
ლაღი ლაშარის ჯვარია.
პირდაპირ ჩამოუჯდების
ქალ თამარ დედუფალია.[2]

გ. ჭინჭარაულის მიერ ფშავში ჩაწერილ იახსრის

---

1 ბეჟან აბაშიძე, მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბ., 1984, გვ. 61.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 208.

საფერხულოშიც თამარს ხელში შვიდკეცი მათრახი უჭირავს:

პირდაპირ ჩამამდგარიყვა
თამარი დედუფალიო,
ხელშიგ ეჭირა მათრახი
შვიდკეცი, შვიდი მხარიო.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წარმართულ საქართველოს ჰყავდა ქალღვთაება, წმინდა გიორგის დობილი თამარი, თამარ დედოფალი, რომელიც შემდგომში ისტორიულმა მეფე თამარმა დაფარა და დაჩრდილა.[2]

ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში, ლეგენდა-თქმულებებში და ლექს-სიმღერებში წარმართული ქალღვთაების ფუნქციები და თვისებები ხშირად თამარ მეფეს მიეწერება, რაც, ბუნებრივია, ისტორიული მეფე ქალის უდიდესმა ავტორიტეტმა და აღიარებამ განაპირობა. საფერხულო სიმღერებში მოხსენიებული თამარიც ამ ორი თამარის სახეთა კონტიმინაციას უნდა წარმოადგენდეს, სადაც ისტორიული მეფის სახე უფრო გამოკვეთილი და რეალურია.

რაჭველი მთქმელი (ჩაიწერა ელენე ვირსალაძემ 1960 წელს) სიყვარულითა და სიამაყით აცხადებს: „თამარ მეფ წმინდანად მიუღია ქართველ ხალხს და პირიმზე შეურქმევიათ. თამარ მეფისთანა ლამაზი ქალი არ დაბადებულა

1 იქვე, გვ. 209.
2 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 374-378.

თამარ ქალი,
ქვეყნის თვალი,
მზისა დარიო.

რაჭაში კარგ ქალს ასე დაიტირებდნენ:

კაი ქალოო,
თამარ დედოფლის მგვანეო,
ხმა დაბალო და საქმე მაღალოო."[1]

ხალხს წმინდანად შეურაცხავს უსაყვარლესი მეფის აკვანიც. ლეგენდა „თამარის კლდე და შოთას მთა",[2] რომელიც ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1963 წელს რაჭაში, მოგვითხრობს, რომ სოფელ შქმერის მახლობლად, მაღლა კლდეში ჩაშენებულ მიუვალ გამოქვაბულში, დგას თამარ მეფის აკვანი და კლდეზე კი მისი გამოსახულებაა დაცული.

„მზეებრ უხვი" თამარ მეფე, ისტორიკოსთა ცნობითაც, უფლის საყვარელი პიროვნება იყო და ყველა საქმეში მისი შეწევნით იმარჯვებდა: „განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქუეყანისა... და იმარჯუებდა შეწევნითა ზეგარდამოთა;"[3] თამარს, როგორც უსაზღვრო ღვთისმოსავს, უფალი სიზმრისეულ ხილვებში უკავშირდებოდა და ზნეობრივ სრულყოფაში ეხმარებოდა ისედაც „უმანკოსა და ზნეულს".[4]

თამარის ციკლის ერთ-ერთი ფშაური ლექსიც,

---

1 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 217.
2 იქვე, გვ. 216..
3 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება", II, თბ., 1959, გვ. 55.
4 იქვე, გვ. 70-80.

რომელიც ვაჟა-ფშაველას მიერ არის ჩაწერილი, ამაზე მიუთითებს:

თამარს ენახა დედოფალს
სიზმარი ნამყოფს ფშავშია,
ცა განხმულიყო და გუნდი
ანგელოზების ცაშია.[1]

ზეცასთან ეროვნული გმირის კავშირის მოტივი გვხვდება ვახტანგ გორგასლის ციკლის ლექსში „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა". ქართულ ფოლკლორისტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ ლექსის იდეას ასულდგმულებს ქართველი ხალხის არქაული რწმენა-წარმოდგენები ზებუნებრივ გმირთა შესახებ, რომელთაც ციური ზარების რეკვა ესმით;[2] ზეციური ხმების მოსმენის მოტივის დაკავშირება ვახტანგ გორგასლის სახელთან კი, ბუნებრივია, ვახტანგ მეფის სიდიადისა და მისდამი ხალხის პატივისცემის უშუალო გამოხატულებაა. თამარ მეფის განუსაზღვრელმა ავტორიტეტმა და მისი თანამედროვე თუ შემდგომ ეპოქათა ისტორიკოსების მიერ გამოთქმულმა შეფასებებმა განაპირობეს, ალბათ, რომ ვახტანგ გორგასალზე შექმნილი ლექს-სიმღერა ციკლიზაცია-კონტამინაციის წესით თამარის სახელსაც დაუკავშირდა:

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,

---

1 ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ა – 5317.
2 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 200-201; გ. ახვლედიანი, ჯუანშერის „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების" ფოლკლორული წყაროები. – ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, თბ., 2002, გვ. 127-140.

იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა".[1]

* * *

როგორც პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ მიუთითა, თამარ მეფის ციკლის ზეპირსიტყვიერება ერთობ მდიდარია ტრადიციული სიუჟეტებითა და მოტივებით.[2] ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქალწულის სასწაულებრივად განაყოფიერებისა და ცხოველის მიერ მიტოვებული ბავშვის გაზრდის მოტივები, რომლებსაც იცნობს მსოფლიოს მრავალი ხალხის მითოლოგია.[3]

თამარის სასწაულებრივი განაყოფიერების მოტივს შეიცავს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახული მრავალი ლეგენდა. ამ არქაული მოტივის დაკავშირებას თამარ მეფის სახელთან ისტორიულ-ნაციონალური ნიადაგი გააჩნია. ქრისტიანული ეკლესიის მიერ სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხილი მეფე თამარის კულტი საქართველოში ბოლო დრომდეა შემორჩენილი და მასში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული წარმართულ-ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები. ამიტომაც არის, რომ „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების არც ერთ ციკლს ისე არ შეუნოვია მითოსი, ისე ძლიერ არ მიულია საერთაშორისო ხასიათი, როგორც – თამარ

1 ქს. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 203.
2 იქვე, გვ. 69-70.
3 Э. Ланг, Мифология, Перевод под. ред, Харузиных, М., 1901, გვ. 179, 103-110.

მეფის ციკლის ნაწარმოებებს. ამ ციკლში ისე ძლიერია ისტორიულ მოვლენათა პოეტიზაცია, რომ ზოგჯერ ძნელდება დადგენა, თუ რა ეკუთვნის ისტორიულ თამარს და რა – მითოსს".[1]

თამარის სასწაულებრივ განაყოფიერებას (მზის სხივით, უცნაურის ძალით, ღვთის ბრძანებით, ფსალმუნის კითხვით, ერის სულის მობერვით), როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული ისტორიული საფუძვლებიც გააჩნია. მემატიანე გვაუწყებს, რომ პირველი ქორწინებისას თამარმა, „ყოვლად უწადინელმან ქორწინებისამან, იაჯა ხსნა ქმროსნობისაგან. ხოლო არა მშუებელმან დედოფალმან და სპათა აიძულეს ქმნად".[2] მეორე ქორწინების წინ კი, როცა სამეფოში დიდი წუხილი იყო გიორგი რუსის უნიათობისა და მეფის „შვილისუსმელობისა" გამო და თამარს საქმროდ შეურჩიეს საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი ოსი ბატონიშვილი – „ფერნაკუთად კარგი, ბეჭბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო" დავით სოსლანი, მამიდას მინდობილმა გვირგვინოსანმა ბრძანა:

„ – მოწამე არს ჩუენდა ღმერთი, აროდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა, არცა პირველ, არცა აწე, თუმცა არა მოსვლოდა უწალმართობა ჩემი საყდარსა,

---

1 ქს. სიხარულიძე, ხალხური საისტორიო სიტყვიერება, – ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. II, თბ., 1968, გვ. 189; თ. შიოშვილი, სასწაულებრივი განაყოფიერებისა და გადაგდებული ყრმის მოტივი თამარ მეფის ციკლის ქართულ ფოლკლორში. – ჟ. „ჭოროხი", №11-12, ბათ., 2004, გვ. 104-106.

2 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 91.

რომელი რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემთაგან, აწცა ამისი ვარ მოაჯე".[1]

გათხოვებისადმი თამარის ამგვარი დამოკიდებულება, ბუნებრივია, საკმარის საზრდოს აძლევდა მის მშობელ ხალხს, რათა იგი წმინდანად წარმოედგინა, მისი ციკლის ზეპირსიტყვიერებაში ქალწულის სასწაულებრივად განაყოფიერების ოდინდელი მითოლოგემა გამოეყენებინა და შეექმნა სათაყვანებელი მეფის უწმინდესი ხატი.

თამარ მეფისადმი მიძღვნილ ხალხურ ნაწარმოებებში ტრადიციულ მითოსურ მოტივებს დროთა განმავლობაში ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორის მიერ რეალისტური ელემენტებიც დაერთო, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული ფაქტებით არის განპირობებული.

თამარ მეფის ციკლის ქრთულ ხალხურ ლეგენდებში მემკვიდრის დაბადება ხშირად რეალისტურად არის მოტივირებული და ისტორიკოსის ცნობებსაც ემთხვევა; მათში ცალსახად არის მითითებული, რომ თამარს დიდებულების, სახელმწიფოს მესვეურებისა და მთელი ხალხის თხოვნითა თუ ძალდატანებით შეეძინა მემკვიდრე. ერთი ლეგენდის ("თამარ მეფის ვაჟი") მიხედვით,[2] თამარს, რომელიც თავადაც „გვარში ობლად ობოლი იყო", მემკვიდრე არ ჰყავდა. შეიკრიბნენ სახელმწიფოს თავკაცები და გადაწყვიტეს, რომ თამარს ქმარი უნდა შეერთო; ამ გადაწყვეტილების მოხსენება მეფისათვის კი ვერავინ გაბედა. ბოლოს მოიფიქრეს, რომ ეს ამბავი

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 47.

2 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 98-99.

თამარისათვის ეცნობებინა სტეფანწმინდის გამოქვაბულში მოღვაწე სულიწმინდით შემოსილ ბერს, რომელიც „თამარივით, სიწმინდის გამო, ჰაერ-ჰაერ დადისო". მართლაც, ერთ საღამოს ბერი ეწვია თამარს, დალოცა, ჯვარი გადასახა და მიართვა ეტრატი, რომელზედაც დაწერილი იყო დიდებულთა გადაწყვეტილება. მეფემ ამოიკითხა ფსალმუნის სიტყვები ნაყოფიერი და უნაყოფო ხის შესახებ და უმალვე იგრძნო, რომ დაფეხმძიმდა. შეწუხდა, რადგანაც ღვთისთვის ქალწულობის აღთქმა ჰქონდა მიცემული. ძილში თამარს გამოეცხადა ბრწყინვალე ფრთოსანი ვარსკვლავი და აუწყა, რომ შობდა ძეს, რომელსაც ნუკრის დედა გაზრდიდა; თანაც დაამშვიდა:

„ – ხმა ერისა ხმა ღვთისა არს და ამიტომ შვილის გაჩენით ქალწულობა არ მიგეღებაო".

ქალწულობისადმი თამარის სწრაფვის გაცხადებით ქარველმა ხალხმა თავისი დიდებული მეფე მარადქალწული მარიამის ზნეობრივ-მოწამებრივ გზაზე დააყენა, მის რანგში აამაღლა, ხოლო მისი პირმშო ბრწყინვალე ვარსკვლავს დაამსგავსა.

მეცხრე თვეზე თამარს შეეძინა ვაჟი, რომელიც დაბადებიდანვე ბრწყინვალე ვარსკვლავს ჰგავდა. დიდი ზეიმი იყო ქვეყანაში მთელი წლის განმავლობაში. ყრმამ ფეხი რომ აიდგა, გადიამ სამეფო ბაღში გაასეირნა. ხეივნის ბოლოს მიწიდან წყარო ამოჩუხჩუხებდა. გადია წყლის დასალევად ჩავიდა და ამოსულს უფლისწული ადგილზე აღარ დაუხვდა. მთელს სამეფოში ძებნა გამოცხადდა,

მაგრამ ვერსად მიაგნეს დაკარგულ ბავშვს. თამარი იმედოვნებდა, რომ მისი შვილი დაღუპული არ იყო, რაგანაც ახსოვდა სიზმრისეული წინასწარმეტყველება – შენს ნაშობს ნუკრის დედა გაზრდისო.

ერთი წლის შემდეგ თამარი, დიდებულების თანხლებით, კვლავ შვილის საძებნელად გაემართა. გზად ბევრი ნადირი დახოცეს. უცბად თვალი მოჰკრეს ირემს. მონადირეს სურდა, ისარი ეტყორცნა, მაგრამ თამარმა ხელი აუკრა, რადგანაც შენიშნა, რომ დედა ირემს ყმაწვილი სწოვდა. დაიჭირეს ირემი და ყრმა და თამარს მიჰგვარეს. დედის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – შვილი დიდებულებს გადასცა აღსაზრდელად, ირემი კი წალკოტში დააბინავა და ბრძანება გასცა, ამიერიდან აიკრძალოს ირემზე ნადირობა და მისი მოკვლაო.

ლეგენდის იმერული ვარიანტით,[1] ულამაზეს თამარ მეფეს გათხოვება არ უნდოდა, სურდა, ქალწულად დარჩენილიყო. „ამისთანა სიწმინდისათვის ღმერთმა დააჯილდოვა იგი იმით, რომ სარკმლიდან შემონათებულს სხივზე ეკიდა ხოლმე მისი ტანისამოსი“. დიდებულები წუხდნენ იმის გამო, რომ ქვეყანას მემკვიდრე არ ჰყავდა და გადაწყვიტეს, ღამით ჩუმად შეეგზავნათ თამარის ოთახში კაცი. მართლაც, „შეგზავნეს ერთი ზანგი – შავი კაცი. თამარს იმ ღამეს ღრმად ეძინა და არა გაუგია რა...“.

მეორე დღეს მზის სხივმა აღარ დაიმაგრა თამარის ტანსაცმელი. მიხვდა მეფე, რომ უკვე ცოდვილი იყო და ძალიან დაღონდა. იგი დაორსულდა და მიეცა ვაჟი.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 80-81.

მოიხმო მოსამსახურე და უბრძანა, ახალშობილი მთაში წაეყვანა და იქ დაეტოვებინა. „რცხვენოდა უკანონო შვილის ყოლა“, – დასძენს ლეგენდა.

მთაში მიტოვებულ თამარის ვაჟს ირემი ზრდიდა. გავიდა ხანი. მონადირემ შემთხვევით ნახა ირემი და ბავშვი და ყველაფერი თამარს უამბო. თამარი მიხვდა, ვინც იყო ის ბავშვი და სასახლეში მოაყვანინა, სახელად გიორგი დაარქვა.

ლეგენდის მიხედვით, „რადგან გიორგი ირმის გაზრდილი იყო, იმის ჩამომავლობა ირმის ხორცს არ სჭამს“.

ლეგენდის ალ. ხახანაშვილისეული ვარიანტით,[1] თამარს შვილი არ უნდოდა, მაგრამ მზის სხივი ეცა და დაორსულდა. შერცხვა მეფეს და საიდუმლო მხოლოდ გამდელს გაანდო. ბავშვი რომ დაიბადა, გამდელს გაატანა და უსიერ მთაში დაატოვებინა. ბავშვი ირემმა გაზარდა. გავიდა რამდენიმე წელი. თამარი თავისი ამალით სანადიროდ წავიდა. დაინახეს ირემს ამოკრული ბავშვი. წამოიყვანა თამარმა თავისი შვილი – გიორგი ლაშა და იმის შემდეგ ბაგრატიონები ირმის ხორცს არ სჭამენო.

ლეგენდის ზოგიერთ ვარიანტში თამარის სასწაულებრივი განაყოფიერების მოტივი აღარ გვხვდება და ბავშვის დაბადება სრულიად რეალისტურად არის წარმოჩენილი. თუმცა, ამ ვარიანტებშიც ხაზგასმულია, რომ ქმრის შერთვაზე „თამარი ცივ უარზე იდგა და

1 **А. Хаханашвили, Очерки по истории грузинской словесности, т. II, М., გვ. 285.**

არაფრის გულისათვის არ ეთანხმებოდა უბრალო საუბარიც ქმარზე დიდ მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა".[1]

ლეგენდის ერთი ვარიანტით (ხელნაწერთა ინსტ. H - 2004) ვეცნობით ირემაძეთა გვარის ხალხურ ეტიმოლოგიას: თამარს თავისი კარისკაცისაგან გაუჩენია ბავშვი და წყალში გადაუგდია. ბავშვი არ დამღრჩვალა, კლდის ნაპირას გაურიყავს წყალს და ირემს გაუზრდია. ხუთი წლის ყრმა უნახავს მონადირეს და ეს ამბავი თამარისათვის შეუტყობინებია. თამარს უბრძანებია, დაეჭირათ ირემიც და ბავშვიც. ბავშვი დაუჭერიათ, მაგრამ ირემი შემოკვდომიათ. თამარმა გამოზარდა ყრმა, „მეფედ დააყდინა. ხალხმაც ასე უწოდა პირველ ქართველ მეფეს – ირემაძე". როგორც პროფ. ქსენია სიხარულიძემ მიუთითა, „ხალხს გამოუყენებია გავრცელებული ლეგენდა ირმის მიერ თამარ მეფის პირმშოს გაზრდაზე და ყოველგვარი ისტრიული საფუძვლის გარეშე დაუკავშირებია ირემაძეთა გვართან".[2]

ლეგენდის ხევსურული ვარიანტითაც – „ანდრეზი ბაგრატიონთა, თამარ ნეფისა",[3] – რომელიც სოფელ ამღაში ხირჩლა წიკლაურისაგან (ნისლაურთ ხირჩლა) 1944 წელს ჩაუწერია ქსენია სიხარულიძეს, თამარ მეფეს „ქმარ არ უნდოდ, შვილ არ უნდოდ". ვეზირებმა ითათბირეს და დაადგინეს: „ეს მოკვდებისო, მემრე ვინ უნდა იყოს ნეფეიო... სხვის შვილი ჩვენა ხელს არ მოგვცემსო, მაგის მუცლისა უნდა იყოსო". კენჭისყრით შეარჩიეს კაცი,

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 246.
2 იქვე, გვ. 246.
3 იქვე, გვ. 246-248.

თამარ მეფე კი დაბანგეს და ისე მიუჩინეს ეს კაცი...".

აღსანიშნავია, რომ ლეგენდის ამ ვარიანტის თანახმად, თამარის ვაჟის – ბაგრატის შვილია მეფე ერეკლე.[1]

ლეგენდის სხვა ხევსურული ვარიანტით („ანდრეზი"),[2] რომელიც ქს. სიხარულიძემ ჩაიწერა 1946 წელს სოფელ გველეთში ბერდია არაბულისაგან, ერეკლე თამარის შვილია: „ერეკლე იყო თამარ მეფის შვილი, რომელიც დაიბადა შემდეგნაირად: თამარ მეფე არცვის არ იკარებდა, მაგრამ მძინარეს მიხპარებია ერთი მდაბალთა წრიდან. თამარ მეფეს რომ ეს გაუგავის, ეს კაცი მაუკლავ. მხოლოდ როცა შვილი გაშჩენივ, ის გადაუსრევავ. გადაუსრევავ და ეს ყმაწვილი გაუზდავ ირემს, რომლის შემდეგ უპოვნია მონადირეს და დაბრუნებულ საქართველოს მოხქცევივ მეფედ ერეკლე მეორის სახელით. ამიტომ იყო, რომ ბაგრატოვნები არ ჭამდიან ირმის ხორცს".

ლეგენდის კახური ვარიანტითაც („თამარ დედოფალი"),[3] რომელიც 1943 წელს სოფელ საბუეში ალექსი მუსაშვილისაგან ჩაუწერია ქ. ლორთქიფანიძეს, თამარს ბანგი შეაპარეს და მის საწოლ ოთახში „ერთი ვეზირი" შეუშვეს. გამოღვიძებული თამარი გაწყრა, მაგრამ რაღას იზამდა. იგი დაორსულდა და შვა ვაჟი, რომელიც ფარჩაში გაახვია და მსახურებს უბრძანა, ისეთ ალაგას გადაეგდოთ, რომ ადამიანს არ მიესვლებოდა. ბავშვი ირემმა გაზარდა. მონადირეებმა ნახეს, რომ ირემს ტიტველი ბავშვი დასდევდა და თამარს მოახსენეს.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 248.

2 საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, - 5317.

3 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 249-250.

თამარმა ირემიც და ბავშვიც სასახლეში მოაყვანინა. „ი ბალღი ნეფე ერეკლეა. თავის ხელმწიფობა იმას დაულოცა თამარ დედოფალმა და გამოვიდა ნეფე ერეკლე".

ამრიგად, ლეგენდის უმეტესი ვარიანტების თანახმად, თამარ მეფის მემკვიდრეს ირემი ზრდის. საისტორიო წყაროებთან კი ყველაზე ახლოს დგას ლეგენდის სვანური ვარიანტი ("თამარ დედოფალი")[1], რომელიც პროფ. ქსენია სიხარულიძემ ჩაიწერა ზემო სვანეთში, სოფელ ლანჩვალში, 1945 წელს ანტონ ხერგიანისაგან. ლეგენდის მიხედვით, თამარმა შეიწყნარა ხალხის თხოვნა, გათხოვდა და ისე შეეძინა მემკვიდრე. ამ ვარიანტითაც ყრმა, თამარის ბრძანებით, ეცერის მთაზე აიყვანეს და იქ დატოვეს. თამარს უთქვამს:

„ – თუ ღმერთს უნდოდეს, ეს ბავშვი ხვალ ცოცხალი დაგვხვდესო, თუ არა – მკვდარი დაგვახვედროსო".

მეორე დღეს მთაზე ასულთ ბავშვი ცოცხალი დახვედრიათ. დაუბრუნებიათ სახლში. ბავშვი იქვე, ეცერში, დაუტოვებია თამარს და, ხალხის გადმოცემით, „დადეშქელიანები იქიდან გაჩენილან".

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული ციკლის ლეგენდათა უმრავლესი ვარიანტის მიხედვით, თამარ მეფემ სირცხვილად მიიჩნია ცდუნება და მისი ნაყოფის გადამალვას შეეცადა – მიუვალ ადგილას წააყვანინა საკუთარი სიწმინდის შებღალვის მიზეზი – პირმშო. ისმება კითხვა: რატომ შეიტანა ხალხმა ეს მოტივი თამარის ციკლის ლეგენდებში, რატომ ვერ შეეგუა მის შვილოსნობას?

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 250-251.

ხალხის რწმენით, თამარ მეფე მარადი ქალწული იყო. ქრისტიანულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და სამების მეოთხე წევრად აღიარა. თამარს ლეგენდარულად წარმოიდგენდნენ როგორც სიცოცხლეში, ასევე – სიკვდილის შემდეგაც და, როგორც სამართლიანად მიუთითა მკვლევარმა ვახტანგ კოტეტიშვილმა, „როგორ უნდა წარმოედგინათ თამარის შვილიანობა? ჩვეულებრივ? – არა“.[1] მართლაც, ამ შემთხვევაში ხალხის ფანტაზიამ გამოიყენა ბავშვის სასწაულებრივი ჩასახვის უძველესი მითოლოგემა, რომლის ვარიაციებიც მრავლად მოიპოვება როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოსურ აზროვნებაში (ინდური თქმულებით ბუდას დედა მზის სხივით განაყოფიერდა; უბიწოდ ჩაესახა იესო ღვთისმშობელ მარიამს და სხვა).

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დამუშავებული თამარის ციკლის ერთ-ერთი ლეგენდის შესავალში ნათქვამია: „მთელ საქართველოს ხალხს თამარ დედოფალი წმინდანათა ჰყავს დასახული და ამიტომაც არა სჯერათ, რომ მას ქმარი ჰყვანდა. რომელიმე გლეხს რომ უთხრათ, თამარ დედოფალს ქმარი ჰყვანდაო, ის მის დიდ გაკიცხვად მიიღებს.“.[2]

ინგილოური თქმულებაც „ფერია დედოფალი საქართველოსი“[3] დაბეჯითებით გვაუწყებს, რომ „ფერია (თამარ მეფე – თ.შ.) თავის სიცოცხლეში ქალწულად დაშთენილა, ქმარი არ შეურთავს“.

---

1 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 366.
2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 241-242.
3 „ქართული კალენდარი“, თბ., 1890, გვ. 414-417.

სასწაულებრივად ჩასახვის მოტივს თამარის ციკლის საისტორიო ნაწარმოებებში უშუალოდ ეჯაჭვება ყრმის გადაგდებისა და ცხოველის (ირმის) მიერ მისი გაზრდის მოტივი, რაც, აგრეთვე, მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორული შემოქმედებისათვის არის ცნობილი (ბერძნული თქმულება პარისის შესახებ; რომაული თქმულება რემისა და რომულის შესახებ; ბიბლიური თქმულება მოსეს შესახებ და ა.შ.) და ქართულ მითოსში და საზღაპრო ეპოსშიც ძალზე ხშირად გვხვდება ("ამირანიანი", ზღაპრები: „ირმისა", „უშვილო ხელმწიფის ზღაპარი", „ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი" და სხვა).

ჯონ ფრეზერის მოსაზრებით, ცხოველის (ირმის) მიერ ჩვილის გაზრდის მოტივი უმეტესად დაკავშირებულია სამეფო დინასტიასთან.[1] აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იცნობს ბაგრატიონთა გვარის შესახებ გავრცელებული ხალხური თქმულების ამ მოტივს და მას გუარამ მამფალის სახელს უკავშირებს: „ვგონებ, ვითარცა სიტყვა არს ივერიელთა შინა, რამეთუ ირემმა განზარდაო ბაგრატიონი, იყო ესე გუარამ რაჟამს მოუკლეს მამა და მიუღეს ბერძენთა ბოლო კლარჯეთსა. ამას ეძიებდნენ და დამალეს გამზრდელთა და მწირობასა შინა ყრმა იხილეს საკვირველი ესე კლარჯთა, ჰსცნეს ბაგრატოვანობა მისი, მიიყვანეს და ჰყვეს კვალად ერისთავ-ერისთავად. ამისთჳს იქნა უმეტეს სარწმუნო პატრონი კლარჯთა და მესხთა".[2]

1 **Д, Фрезер, Фольклор в ветхом завете**, 1931, გვ. 253.
2 **ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება**, თბ., 1913, გვ. 225.

როგორც ჩანს, ვახუშტისათვის არ იყო ცნობილი ამ მოტივის კავშირი თამარ მეფის სახელთან, რის გამოც პროფ. ქს. სიხარულიძე ვარაუდობს, რომ „საფიქრებელია, უფრო გვიან, სასწაულებრივად განაყოფიერების ტრადიციული მოტივის ისტორიულ საფუძველზე, მოხდა მისი დაკავშირება თამარის სახელთან"; ხოლო ვახუშტის ცნობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს ტრადიციული მოტივების ეპიური დამუშავებისა და საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარების გზების გასათვალისწინებლად.[1]

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, მაგრამ, ვფიქრობ, თამარის ციკლის ლეგენდებში სასწაულებრივი განაყოფიერებისა და გადაგდებული ბავშვის მოტივებს, ისტორიული საფუძვლის გარდა, უაღრესად მყარი საზოგადოებრივ-ზნეობრივი საფუძველიც აქვს, რასაც, ალბათ, განაპირობებდა შემდეგი გარემოებანი:

1. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული მოტივის წარმოჩენით, ჯერ ხალხის კოლექტიურმა შემოქმედებამ და შემდეგ უკვე მასზე დაყრდნობით ვახუშტი ბაგრატიონმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა რწმენა ბაგრატიონთა ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თაობაზე, რაც უდავოდ ფეოდალური წყობილების იდეოლოგიით უნდა ყოფილიყო განპირობებული; მსოფლიოს მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებასა და ოფიციალურ ისტორიაში მრავლად არის ანალოგიური შემთხვევები, როცა ხალხის მეხსიერება ფერუცვლელად ინახავს ზეპირ ტრადიციას

1 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 227.

თავისი მეფის (ტომის ბელადის) გენიალოგიაზე იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გამოხატავენ ისინი მათივე შემოქმედი საზოგადოების ინტერესებს და როგორ ემსახურებიან მას.

ინგლისელი მეცნიერი ელის დევიდსონი მიუთითებს, რომ ფოლკლორული ტრადიციის გამძლეობისა და უტყუარობის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია მათი მიზნები და ფუნქციები.[1] ამდენად, ლეგენდა ქართველ ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმოშობის თაობაზე, ბუნებრივია, მათი ხელისუფლების ღმრთივკურთხეულობაზეც მიუთითებს, რაც თანხვედრილი იყო როგორც ფეოდალურ იდეოლოგიასთან, ისე ხალხის ქვედა ფენების უმწიკვლო მისწრაფებასთან; ხალხმა ეს ლეგენდა თამარ მეფის სახელს დაუკავშირა, ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა კი – გუარამ ბაგრატიონის სახელს, რამდენადაც ბაგრატიონთა ქართული დინასტია სწორედ მისგან იწყება – VI საუკუნის მიწურულს ის იყო ქართლის პირველი ერისმთავარი, რომელმაც განაგრძო ფარნავაზიანთა სახელი და, ამავე დროს, იყო გორგასალის შთამომავალი.[2]

2. ხალხს სურდა, ბოლომდე დაეჯერებინა თავისი სათაყვანებელი მეფის უბიწოება და ღმერთთან წილნაყარობა. ამის საფუძველს კიდევ უფრო ამყარებდა

---

1 H. R. Ellis Davidson, Folklore and History Folklore.Volume 85, Summary, 1974, გვ. 88.

2 გ. მამულია, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა. – ჟ. „მნათობი", თბ., 1971, №12, გვ. 179-187.

ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში იმთავითვე უწმინდეს ხატად ქცეული თამარის სახება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თამარ მეფე ხალხის რწმენა-წარმოდგენებმა სალოცავ ხატად – „პირიმზედ" აქცია, „აქიმი დედოფალი" უწოდა, რომელსაც „წამლის სახსრად ცხვარს სწირავენ.[1] მართალია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისტორიულმა მეფე თამარმა გადაფარა უძველესი, წარმართული ეპოქის რომელიღაც (იქნებ იმავე სახელწოდების) ქალ-ღვთაება და მისი კულტის ამსახველი მრავალი ატრიბუტი მიიწერა,[2] მაგრამ არც იმის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რომ თამარ მეფემ თავისი უმწიკვლოებითა და ღვთისმოსაობით, კაცთმოყვარეობითა და სათნოებით განუსაზღვრელი ავტორიტეტი მოიპოვა თავის ხალხში, რისთვისაც მისი სახელი ლეგენდად იქცა, „სათნოების საუნჯედ" დაისახა და ჩვენს ფოლკლორულ რწმენა-წარმოდგენებში მანამდე არსებული ბევრი მზა მოტივი, სიტუაციასთან თანხვედრილობის გამო, მის სახელს დაუკავშირდა. ამგვარ ვითარებას იცნობს მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორული შემოქმედება. ინგლისელი მეცნიერის – ელის დევიდსონის თანახმად, „ფანტაზიის ელემენტები შეიძლება ისტორიაში შეიპაროს. იმდენად დიდია ამ ნახევრადმითური მოდელის ძალა, რომ ისტორიული

1 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934, გვ. 206.

2 დ. ხიზანიშვილი, ფშავეთი და ფშაველები, – „ივერია", 1897, №77; თ. შიოშვილი, სამკურნალო შელოცვები და ჯანმრთელობის ღვთაებანი უძველეს საქართველოში, – მასალები ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციისა, თბ., 1983, გვ. 111-115.

პირები თანდათანობით, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება ლეგენდათა პერსონაჟებად გადაიქცნენ".[1]

სწორედ ამის გამო მიიჩნია პროფ. ქსენია სიხარულიძემ მიუღებლად ცნობილი რუსი ფოლკლორისტის – ალ. ვესელოვსკის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მზისაგან განაყოფიერების მოტივი მექანიკურად არის შესული თამარ მეფის პოეტურ სახეში[2] და სამართლიანად მიუთითა, რომ „საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ ამ მოტივის გამოყენების საბაბი ... თამარის მემკვიდრის სახელწოდებაც (ლაშა – ბრწყინვალე) იქნებოდა.[3]

ქართული ხალხური ლეგენდა „ლაშა-გიორგის დაბადება"[4] გვაუწყებს, რომ „თამარ მეფეს ქმარი არ ჰყვანდა, ლაშა გიორგი მღვთის ბრძანებით დაებადა". ჩვილის მიტოვების მოტივი ამ ლეგენდის მიხედვითაც სხვათა იდენტურია. ტყეში, ხის ძირას, დატოვებულ ბავშვს „ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ყმაწვილს ძუძუს აწოვებდა და ზრდიდა". საბოლოოდ, ამ ვარიანტითაც, დაიბრუნა თამარმა პირმშო: „გავიდა რამდენიმე ხანი და ერთს ნადირობის დროს თამარი ამ ყმაწვილს თავისი მაწოვარის ირმით ერთს ალაგას შეჰყარაო. ეს ყმაწვილი და ირემი თამარ მეფემ თავის სახლში წააყვანინაო. ეს ყმაწვილი იყო ლაშა გიორგიო". ხალხის რწმენით, ამაზეა

---

1 H. R. Ellis Davidson, Folklore and History Folklore.Volume 85, Summary, 1974, გვ. 88.

2 Н. Веселовский, Царица Тамара в народной легенде и у Лермонтова, - „Кавказ", №6, 1898.

3 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 223.

4 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 242-243.

გამოთქმული ლექსი:

ბაგრატიონთ გვარის კაცსა
ირმის ძუძუ უწოვნია,
ჭალაში გადაგდებული
მონადირეს უპოვნია.

„ამიტომ თამარ მეფეს წესად დაუდგენია, რომ ბაგრატიონთ გვარის კაცებმა ირმის ხორცი არა სჭამონ და მიტომ ისინი არც სჭამენო", – დასძენს ლეგენდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მიტოვებული ყრმის მოტივი ერეკლე მეორის სახელსაც უკავშირდება. აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ლექსი:

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია.
დაკარგულა საჩალეში,
მონადირეს უპოვნია.[1]

როგორც პროფ. ქს. სიხარულიძემ მიუთითა, ლექსი გენეტიკურად თამარ მეფის შესახებ არსებულ ტრადიციულ ლეგენდას უკავშირდება;[2] ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ლეგენდათა ის ვარიანტები, რომელთა მიხედვითაც ერეკლე მეორე

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბ., 1964, გვ. 9.
2 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 229.

თამარ მეფის შვილი ან შვილიშვილია.[1] ლეგენდის ზემოთ განხილული სვანური ვარიანტით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამარ მეფეს ბავშვი ეცერში დაუტოვებია და დადეშქელიანები იქიდან წარმოშობილან.[2] ლეგენდის ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, თამარ დედოფალი ქრისტეს ქალიშვილია: „უძველეს დროში დედამიწა არ იყო არავის ხელში – არც მეფის, არც ბატონის; არამედ იყო მხოლოდ ღმერთის ხელში. როდესაც ხალხი მოემატა, ღმერთმა დატოვა ის. შემდეგ გამოჩნდა თამარ დედოფალი – ქრისტეს ქალიშვილი და მის ხელში დარჩა დედამიწა, მას შემდეგ, რაც ღმერთი გადადგა. დიდხანს მეფობდა ის ბედნიერად... მაშინ ხალხში დაიწყეს ლაპარაკი:

„ – ჩვენი მეფე კარგი მეფეა! რა უნდა ვქნათ ჩვენ, თუ ის წავა ჩვენგან და ამაღლდება ცაში?!"

ლეგენდის მომდევნო ნაწილი, სხვა ვარიანტთა მსგავსად, თამარის ძილში დაფეხმძიმებას, ჩვილის გადაგდებას, ირმისაგან მის გაზრდას და შემდეგში მის პოვნას ეძღვნება. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ეროვნული ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორის რწმენა თამარ მეფის წარმოშობისა და სიკვდილის შემდეგ ზეცად ამაღლებისა; ეს ყოველივე კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ მადლიერი ქართველი ხალხი თავის სათაყვანო მეფეს ზებუნებრივ თვისებებს მიაწერს, აღმერთებს, ზეცამდე აღამაღლებს და მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 246-248.

2 იქვე, გვ. 250.

* * *

თამარ მეფის ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა ერთ-ერთი გავრცელებული მითოსური მოტივია თამარის მიერ ამინდის გამგებლობა. მსგავსი მოტივების საფუძველი ქართულ მითოლოგიაშია საძიებელი, ხოლო ანალოგიები ეძებნება მსოფლიოს სხვადასხვა უძველესი ხალხის მითოსურ რწმენა-წარმოდგენებში. ამ ციკლის ერთ-ერთი, ზემოთ განხილული, მითოსის ("შუქურ ვარსკვლავის შეპყრობა"[1]) თანახმად, თამარს ყუთში ყავდა დამწყვდეული ცისკრის ვარსკვლავი (შუქურვარსკვლავი). ამის გამო საქართველოში ზამთარი აღარ იყო. ბაღდადის მონასტრის ასაშენებლად მიმავალმა თამარმა ყუთი მოახლეს ჩააბარა და უბრძანა, ყუთი არ გაეღო. დაუდევარმა მოახლემ ყუთს თავი ახადა, შუქურვარსკვლავი ყუთიდან ამოფრინდა და ზეცაში გაფრინდა. იმავე წამიდან ჭირხლი წამოვიდა და ზამთარი დადგა. ჭირხლმა ბაღდადშიც მიაღწია. თამარ მეფეს კალატოზებმა მოახსენეს:

„ – დიდებულო მეფეო! მონასტრისთვის დამზადებულ ქვას ჭირხლი მოჰკიდებია, ვეღარ ვეწევითო".

თამარ მეფე მიხვდა, რომ ნაადრევი დაზამთრების მიზეზი შუქურვარსკვლავის გაშვება იქნებოდა; ძალიან შეწუხდა და იხმო გველი, რომლითაც იგი მოგზაურობდა ხოლმე, „ღვთის ნაკურთხი ლაგამი პირში ამოუდო, შებრძანდა ზედ და გამოსწია საქართველოსაკენ. იალბუზის მინდვრებთან მოვიდა თუ არა, დაინახა თოვლით გადალესილი იალბუზის მთები, სადაც მეფესა

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 81-82.

ჰქონდა სამუდამოდ საცხოვრებელი სასახლე. გასწია პირდაპირ თავის ბინისაკენ, მაგრამ ძრიელმა ქარბუქმა საშინლად შეაწუხა, ვეღარ მივიდა. ძალაუნებურად უკან დაბრუნდა და ვარძიის მონასტერში წაბრძანდა..."

მითის კახური ვარიანტით ("თამარ მეფე და შუქურვარსკვლავი"[1]) ზამთარ-ზაფხულის გამჩენი შუქურვარსკვლავი თამარ მეფეს დატყვევებული და ჯაჭვებით დაბმული ჰყოლია. „თამარ დედოფალს როცა უნდოდა, შუქურვარსკვლავს ცხენად გადააქცევდა, ზედ შეჯდებოდა ხოლმე და ისე სეირნობდა". ცხენად გადაქცეულ შუქურვარსკვლავს პირიდან აღვირს არ აშორებდნენ, რათა არ გაქცეულიყო. ერთხელ თამარის გამდელი შეაცდინა ცხენმა, აღვირით წყალი როგორ დავლიოო. გამდელმა აღვირი მოხსნა და შუქურვარსკვლავი იმ წუთშივე გაქრა. თამარმა დაადევნა ჯარი, მაგრამ შუქურვარსკვლავმა ატეხა ქარბუქი, გაათოვა და ჯარს გზა დაუბნია. „წავიდა შუქურვარსკვლავი, დაჯდა იალბუზზე და იქიდან გვიგზავნის ხან ზამთარს და ხან ზაფხულს", – დასძენს ლეგენდა.

თამარის სამეფოს არსებობა მარადიული ზაფხულის (გაზაფხულის) სივრცეში კარგად ცნობილი მითოსური მოტივია; იგი გამოძახილია მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგიაში ფართოდ გავრცელებული მითისა მიწიერ სამოთხეზე. როგორც მკვლევარი ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, ქართულ ფოლკლორში სამოთხის დაკავშირება თამარ მეფის პიროვნებასთან „იმ საზოგადოების

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 254.

ცნობიერებაშია საძიებელი, სადაც ჩაისახა ეს მითოსი".[1]

ლეგენდის ქართლური ვარიანტის – „გადმოცემა თამარ მეფის შესახებ"[2] – თანახმად, თამარ მეფეს კავკასიონის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე – ბრუტსაბძელაზე ციხედარბაზი ჰქონია, სადაც ახლა ველარავინ ადის, რადგანაც უწმინდური სულები ყველას ხელს უშლიან, ქვებს ესვრიან. ერთ მღვდელს მოუხერხებია ასვლა – ჯვრითა და ლოცვით მიუღწევია მწვერვალამდე. სასახლის ახლოს ეკლესია მდგარა. მღვდელს მადლობის ნიშნად ულოცია; უკან გამობრუნებისას კარებთან მოესმა შემაძრწუნებელი კვნესის ხმა, რომელიც კართან დაკიდებული ვერცხლის ბურთულადან გამოდიოდა. ხმა ამბობდა:

„ – მე ვიყავი თამარის აღმზრდელი. ერთხელ მან დაიჭირა ცისკარი და დაამწყვდია ერთიმეორეში ჩადებულ ცხრა ყუთში; ამ ვარსკვლავისაგან იყო დამოკიდებული თოვლი და კარგი ამინდი. ამის შემდეგ ამინდის შეცვლა უკვე თამარისაგან იყო დამოკიდებული. ამგვარად თამარმა ააშორა თავის ქვეყანას ძლიერი ყინვები, რაც მოჰქონდა ცისკარს. ის ამ ვარსკვლავს მე არ მაჩვენებდა. ერთხელ, თავის სამეფოს დასათვალიერებლად გამგზავრებისას, თამარ მეფემ ჩამაბარა ყუთი, რომელშიაც ცისკარი იყო და მითხრა, რომ თუ მე ყუთს გავხსნი, ის მკაცრად დამსჯის. ვერ მოვერიე ცნობისმოყვარეობას, გავხსენი ყუთი და ვნახე მასში მეორე ყუთი, მეორეში – მესამე და ა. შ., ასე მივედი მეცხრე ყუთამდე; გავხსენი და უცბად

1 ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2008, გვ. 61.
2 „მასალათა კრებული" („СМОМПК") №13, განყ. II, თბ., 1892, გვ. 44-45.

იქიდან გამოფრინდა ვარსკვლავი. მაშინვე ცისკარი მიწაზე გზავნის არნახულ თოვლს. ამის დანახვისას ჩავვარდი სასოწარკვეთილებაში, რადგანაც ვიცოდი, მელოდა მკაცრი სასჯელი... თოვლის დანახვაზე თამარი გაბრაზდა, შეწუხდა; იცოდა, ეს ცისკრისაგნ იყო. მიხვდა, რომ ვარსკვლავი მე გაუშვი და სასწრაფოდ გამოეშურა შინ. ბევრი ტანჯვა გადაიტანა, თავის სასახლემდის რომ მოეღწია, რადგანაც უშლიდა ღრმა თოვლი. დამინახა და გაბრაზებულმა მკითხა:

„ - რატომ არ შეასრულე ჩემი ბრძანება?“

მე დავიწყე პატიების თხოვნა, მაგრამ თამარმა დამწყევლა:

„ – იყავ ღვთისაგან წყეული! იქეც სულად მარადიულ ტანჯვისათვის!“

ამ სიტყვების წარმოთქმისას მაშინვე ვიქეც სულად და აი, ვიმყოფები ამ ბირთვში მარადიულ ტანჯვაში“.

ბოროტი სულის ჩამწყვდევის მოტივი ტრადიციულად გავრცელებულია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. ქართულ ფოლკლორში მრავალ ვარიანტად მოგვეპოვება ამ მოტივის შემცველი სასულიერო-რელიგიური ლექსი „სოლომონ ბრძენი და კუნძულელი“.[1] ასევე ლეგენდაში შესული ჯადოსნური ძალის (ამ შემთხვევაში – ეშმაკცხენის) დამორჩილების მოტივიც ცნობილია დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებულ გელათის მონასტრის მშენებლობის

1 ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1973, გვ. 117-120; 297-321.

ამსახველი ლეგენდიდან[1] და მასაც, ასევე, პარალელები ეძებნება მსოფლიოს სხვა ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაშიც.

ზემოთ განხილული თამარ მეფის ციკლის ხალხური ლექსის – „თამარს უამბო დედამა“ – ფშაური ვარიანტი ლეგენდასთან ერთად (სათაურით „ლეგენდა თამარზედ“) ჩაუწერია თედო რაზიკაშვილს.[2] ლეგენდის მიხედვით, დედის სიზმრით დასაზღვრული წინასწარმეტყველება („... შენ იყო მთელი ქვეყანა, შეგნებით შეინახეო“) მალე ასრულდა და „თამარი შეიქნა მპყრობელი ... მთელი საქართველოსი; იმის ხმალს ველარავის ფარმა ვერ გაუძლო; თამარის სიძლიერისა და დიდების წინაშე ყველამ ქედი მოიხარა და ხარკს უხდიდა; მხოლოდ ზღვა დარჩა თავისუფალი და არ ემორჩილებოდა მეფეს. თამარმა ისიც მალე მოდრიკა: „უბრძანა ქარს, მოატანინა ზღვის პირზედ ჩალა-ბზე, თივა-ფიჩხი, გადააყრეინა ზღვაში და დაასხა ნავთი... მემრე მიაკიდებინა ცეცხლი; აპრიალდა ცეცხლი და გაერთხა ბოლი ზღვის პირს. შეწუხდა ზღვა, შაიძრა თავით ბოლომდე, შასწუხდნენ ზღვის ცხოველები, – ზღვას ეგონა, ცეცხლი მეკიდებაო და გამოუგზავნა კაცი თამარს:

„ – ოლონდ ნუ დამწვავ და, რაც გინდა, ის ხარჯი გამომართვიო!“

თამარმა შეიწყნარა ზღვის თხოვნა და ხარკად

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 65-66;

2 თედო რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, II, 1909, გვ. 84. გადმობეჭდილია: ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 79; ხალხური სიბრძნე, ტ. III, გვ. 97-98.

გამოართვა კამეჩები, ქარვა, მრავალი თვალ-მარგალიტი და ცხოველები". ამის შემდეგ გაჩნდა ქვეყანაზედა კამეჩები და თვალ-მარგალიტი".

ლეგენდის ლექსითი დასაწყისი („თამარს უამბო დედამა") დამოუკიდებელი ლექსის სახითაც ყოფილა გავრცელებული ფშავში. მისი ერთ-ერთი ვარიანტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩართულია ვაჟა-ფშაველას წერილში „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია":

თამარს უამბო დედამა,
შენზედ სიზმარი ვნახეო:
ერთსა სარკეში ჩავხედე,
ხმელეთ სულ დავინახეო.
შენ იყო, შვილო, ქვეყანა,
შაგნებით შაინახეო![1]

თამარის მიერ ზღვის დამორჩილების მოტივის შემცველია მოსე ჯანაშვილისეული ინგილოური ვარიანტი – „თამარ დედოფალი (ხალხში დარჩენილი ლეგენდა)", რომელიც 1890 წელს დაიბეჭდა „ივერიაში" (№119): აღსრულდა თამარის დედის წინასწარმეტყველური სიზმარი და თამარი მამის ტახტზე ავიდა. დედა არიგებს პირმშოს, გონიერი და სამართლიანი, მშვიდი და უპოვართა შემწე მმართველობა გასწიოს:

„ – ღმერთმა მაჩვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდება! იყავ, ჩემო თვალის სინათლევ, მოწყალე, წყნარი, მართლმოყვარე, ღარიბ-ღატაკთა ნუგეშის მცემელი!"

ვფიქრობთ, დედის დალოცვა-შეგონება რუსთველის

1 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986, გვ. 620.

„ვეფხისტყაოსნით" არის ნასაზრდოები. თამარის დედისეული სიტყვებისა და როსტევანის დარიგების მსგავსება სრულიად ნათელია და ლექსიკური ერთეულების თანხვდენითაც გამოირჩევა. როსტევანი ასე არიგებს თინათინს:

... დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ
ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი.
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და
ცნობილი!
ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად
მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ
მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი! – ზღვასაცა შესდის და გაედინების.[1]

მშობლების გარდაცვალების შემდეგ თამარი ძლიერი ხელმწიფე გახდა. მას „მარტო ისა სწყინდა, რომ კასპიის ზღვა მის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, მთელი კასპიის ზღვა ნამჯით მოეფინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ... შეწუხდა კასპიის ზღვა. გალალებული ქედი თამარის წინ მოიხარა და, ვითარცა მონა, ისე შეეხვეწა, ურჩობა ეპატიებინა. თამარი მოწყალე

1 შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი", მესამე სასკოლო გამოცემა, თბ., 1986, გვ. 21.

იყო, დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარჯი თავს იდვა". ლეგენდის მიხედვით, კასპიის ზღვა თამარს ხარკად აძლევდა „დიდძალ ოქროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარგალიტ-იაგუნდსა და ცხენ-კამბეჩს".

არსებითად იდენტურია სამეგრელოს ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლეგენდა „თამარი და კასპიის ზღვა", რომელიც მოგვითხრობს, აგრეთვე, თამარის დედისეულ სიზმარზე ქალიშვილის გამეფების შესახებ. ღირსეულ მეფე ქალს, თურმე, ყველა და ყველაფერი ემორჩილებოდა, გარდა კასპიის ზღვისა. თამარმა ზღვაში ფიჩხი ჩააყრევინა, ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. კასპიის ზღვა შეშინდა, დაემორჩილა და ხარკის გადახდა დაიწყო.[1]

ზღვის სტიქიის დამორჩილება, „შუა ზღვაში სამანის ჩადგმა", ზღვისათვის „ჩიქილას გადაკვრა", „ზღვის გადაყენება", „ზღვის გადაქანება", როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თამარს მითური ელფერით მოსავს და სიმბოლურად ასახავს მის ძლიერებას, რაც მის ეპოქაში საქართველოს საზღვრების გაფართოება-განმტკიცების სრულიად ბუნებრივ შედეგად უნდა მივიჩნიოთ; „ის ფანტასტიკურიც კი, – აღნიშნავს მკვლევარი როინ მეტრეველი, – რაც ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშია დაცული, სინამდვილის პლასტებიდან იღებს სათავეს".[2] ამდენად, არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ იმავე

1 "მასალათა კრებული" ("СМОМПК") №10, განყ. III, თბ., 1890, გვ. 44-45.
2 რ. მეტრეველი, თამარ მეფე, თბ., 2011, გვ. 219.

მიზეზთა გამო ხალხის ხსოვნაში ღრმად ჩაბეჭდილი მეფენი ღვთაებათა რანგში მაღლდებიან. თამარიც ხომ, როგორც ცნობილია, „სამებასა თანა იხილვების ოთხებად... მოსწრებული და აღმატებული“, „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „გვირგვინია ყოველთა ხელმწიფეთა“, „მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალია“ და, როგორც ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, „ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ხალხური თქმულება-მითოსი თამარის შესახებ იმ სამეფო იდეოლოგიის გამოძახილია, რომელიც მსჭვალავს საისტორიო თხზულებას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი...“ სული სამეფო იდეოლოგიისა გარდაქმნილია ხალხის ცნობიერებაში და მითოსის სახეს იღებს“.[1]

თამარ მეფის ხელმწიფური ზეობის რეალისტურ ამბავთან ერთად, ლეგენდის სამივე ვარიანტი შეიცავს წარმართულ-მითოსურ ეპიზოდს – თამარი ტაროსის გამგებელია, მას ემორჩილება ქარი; იგი იმორჩილებს, აგრეთვე, ზღვის სტიქიონსაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ისტორიკოსი რ. მეტრეველი, რომელიც კარგად იცნობს თამარ მეფის გამითიურების ციკლის ფოლკლორულ ნიმუშებს, მათში რეალობის გამოძახილს ეძებს და ხალხურ პოეზიაში მრავალგზის აღნიშნული ზღვის დამორჩილების მოტივის თაობაზე აღნიშნავს, რომ ხალხური ლექსის ეს სტრიქონები გამოძახილია ისტორიული ფაქტისა, რომლის თანახმადაც, XIII

1 ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2008, გვ. 64.

საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს სამეფო კარზე მომწიფებულმა აზრმა იმის თაობაზე, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე შექმნილიყო ისეთი ქრისტიანული სამეფო, რომელიც საქართველოს აქტიურად დაუჭერდა მხარს თურქული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, განხორციელება ჰპოვა.[1] მართლაც, ბასიანის ბრძოლაში (1203 წ.) ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თამარმა, დაიმორჩილა რა ლაზეთი, ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და არაკლეა, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ტრაპიზონის სამეფო შექმნა.[2]

პროფ. რ. მეტრეველის მართებული შენიშვნით, „სწორედ ამიტომ ათქმევინა ხალხმა თამარს: ჩავყარე ზღვაში სამნები, ხმელეთი ჩემკენ დავიგდე".[3] ალბათ, სწორედ ამიტომ „თამარ ქალი და ქვეყნის თვალი განუყრელ სინონიმებად იქცა".[4]

ერთი ლეგენდის მიხედვით, ამინდისა და წელიწადის დროთა გამგებელი სულგუმი თამარ მეფის ტყვე იყო.[5]

თამარ მეფის მიერ ამინდის მართვის ტრადიციული მოტივის შემცველი ლეგენდები მრავლად მოპოვება ქართულ ფოლკლორში,[6] რაც იმის დასტურია, რომ თამარ მეფის განუსაზღვრელმა ავტორიტემა და ძლევამოსილებამ ხალხის რწმენა-წარმოდგენებში იგი ზებუნებრივი

---

1 რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.
2 საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 2012, გვ. 433.
3 რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 221-222.
4 ც. არდაშელია, საუნჯე სათნოებისა, თბ., 1986, გვ. 77.
5 А. Хаханашвили, Очерки по истории грузинской словесности, т. II, М., გვ. 284.
6 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 254-261.

თვისებებითაც აღჭურვა და ამისათვის უხვად გამოიყენა არქაული, წარმართულ-მითოლოგიური, მოტივები და სიუჟეტები, რომლებშიც ისტორიული თამარის პიროვნება ჩაენაცვლა ქართული წარმართული პანთეონის ქალ-ღვთაებებს. ამგვარი ციკლიზაცია-კონტამინაციებით ქართული ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი კიდევ უფრო სრულქმნის და ამდიდრებს მზე-თამარის პორტრეტს, შთამომავლობას გადმოსცემს მისი უზადობისა და ყოვლისშემძლეობის შემცველ ეპიზოდებს. ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საისტორიო ნაწარმოებთათვის, რომლებიც ხალხისათვის თავდადებულ პიროვნებებს ეხება, ერთგვარი ჰიპერბოლიზმიც არის დამახასიათებელი და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ხალხმა აღორძინების ეპოქის დიდებულ მეფეს ამინდის მართვის ფუნქციაც მიაწერა. როგორც პროფ. ქსენია სიხარულიძემ შენიშნა, ამ შემთხვევაში ტრადიციული მოტივის მექანიკურ განმეორებასთან არ გვაქვს საქმე, „ისტორიული თამარის პოეტურ სახეში საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელების მიერ მოხდენილადაა შეტანილი მითოლოგიაში ცნობილი ტაროსის ღვთაების თვისება. იგი გამოყენებულია თამარის მოღვაწეობის დასახასიათებლად; ქართული ლეგენდებით ძლევამოსილი მეფე ღვთაებრივ უნარს ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებს“.[1]

აღსანიშნავია, რომ კასპიის ზღვის დამორჩილების მოტივის შემცველი ლეგენდის ზოგი ვარიანტის თანახმად,

1 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 233.

თამარის ბრძანებით ქარმა მოიტანა და მოაყარა ზღვას ჩალა-ბზე და თივა-ფიჩხი,[1] ზოგი ვარიანტით კი – თამარის ლაშქარმა.[2] ამ ფაქტის აღნიშვნა მთქმელის ერთგვარი გამოხმაურება უნდა იყოს თამარის ისტორიკოსის შემდეგი ცნობისა: „და წარვიდეს ლიხთ-იმერეთს; შთასრულთა ზღუა პონტოსა მოიურვეს, და მოირჭუნეს დიდად და კარგად, ვინათგან ქუეყანა არტანისა, ძაღინის ჴევისა, პალაკაციო წაელო თურქთა".[3]

ლეგენდის მოსე ჯანაშვილისეული ვარიანტიც ამგვარად დასძენს: „ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზედ და განაგებდა მთელ ქვეყანას მაყრუბიდგან მაშრუყამდის". მემატიანე კი მოგვითხრობს: „სძლუნობდეს და სძმობდეს მას (თამარს – თ.შ.) მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომიანი, და ჰინდოიანი, და ხონელნი... და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე".[4]

საყურადღებოა, რომ ზღვის სტიქიის დამორჩილების მოტივის შემცველი ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის სახელთანაც არის დაკავშირებული – იგი იმორჩილებს შავ ზღვას.[5]

თამარის ციკლის ერთი კახური ლეგენდის[6]

---

1 ქს. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

2 იქვე, გვ. 232.

3 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 78.

4 იქვე, გვ. 22-23.

5 „ძველი საქართველო", ტ. II, განყ. IV, გვ. 218.

6 ქართული ზეპირსიტყვიერება, შეკრებილი კახეთში ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ, თბ., 1976, გვ. 15-16.

მიხედვით, ულამაზესი თამარ მეფე მარტო ადამიანებს კი არა, ავსულებსაც მოსწონდათ. ერთ დევს თამარი ისე ძლიერად შეჰყვარებია, რომ მისთვის სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა. დევს თამარის საწოლ ოთახშიც შეუღწევია, ხშირად მძინარეს თავთან იჯდა და მისი სილამაზით ტკბებოდა. იგი ტყეში ველარ ძლებდა, ყოველ ღამით დადიოდა თამართან, მძინარე ქალის თმებს გულში იხუტებდა და კოცნიდა; გათენებისას კი თამარის საძინებლიდან ქრებოდა, რადგანაც სინათლისა ეშინოდა.

დევი საშინლად იტანჯებოდა. ხან იფიქრებდა, გაემხილა სიყვარული, მაგრამ შიშობდა, რომ თამარი მის სიყვარულს არ მიიღებდა და ამის შემდეგ ოთახშიც ველარ შევიდოდა; ხან მძინარე მეფის გატაცებას ფიქრობდა დევი, მაგრამ იმასაც შიშობდა, რომ თამარი დევებთან ვერ გაძლებდა და მოკვდებოდა. ბოლოს იფიქრა, აუარებელ სიმდიდრეს დავპირდები, ოღონდ ალერსის უფლება მომცესო. არც ეს გამოსავალი ეჩვენა დევს ჭკვიანურად, რადგანაც კარგად იცოდა, რომ თამარს მისი სიმდიდრე არაფრად სჭირდებოდა, „განა მას ცოტა ჰქონდა ოქრო და ვერცხლი!"

ერთხელაც თამარის ოთახში შეპარული დევი ფიქრებში გაერთო და ლამის შემოათენდა. როდესაც მამალმა იყივლა და მისი წასვლის დრო ამცნო, დევს გულმა ველარ გაუძლო, დაიჩოქა და თამარს აკოცა. მძინარე მეფე შეშინდა, გაიღვიძა, მიიხედ-მოიხედა და ვერავინ რომ ვერ დაინახა, ძალიან გაოცდა. დევის კოცნის შემდეგ თამარი დაავადდა და მალე გარდაიცვალა. დევმა, თამარის სიკვდილი რომ გაიგო, ღრიალით აიკლო მთა და

ბარი. „მერე ჩაიკეტა სახლში, ტირის და ტირის, ღრიალით თავს იკლავს“. დროდარო დევი სახლიდან გამოდის და თამარის საფლავს სტუმრობს. „მისი გამოსვლა ისეთია, რომ მაშინვე ქვეყანაზე ქარი ამოვარდება... ამბობენ, როცა ქარი ჰქრის და ზუის, ეს იმის ნიშანია, რომ დევი თამარის საფლავს დასტირისო“, – დასძენს ლეგენდა, რომელშიც წარმოჩენილია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი გმირის სიკვდილთან დაკავშირებული ბუნების გლოვისა და, აგრეთვე, თამარის ციკლის ზეპირსიტყვიერებაში თავჩენილი სტიქიისა და ავი ძალების დამორჩილების ტრადიციული მითოსური მოტივები.

„მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“

თამარ მეფის კაცთმოყვარეობით, ხალხისადმი ზრუნვით აღფრთოვანებული თანამედროვენი მას „მზეებრ უხვსა“ და „სათნოების საუნჯეს“ უწოდებდნენ. ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ, როგორც კი დროს ნახავდა და სახელმწიფო საქმეებისაგან გათავისუფლდებოდა, კერვასა და ქსოვას იწყებდა დიდებული მეფე თამარი და საკუთარ ნახელავს და მონაგებს უშურველად ურიგებდა უპოვართ: „... თჳსითა ჴელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი ფას-რაოდენ დღივ შეჭამის. ჴელით-საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა ჴელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან“.[1]

ერთხელ ხელსაქმით დამაშვრალ მეფეს საოცარი სიზმარი („ჩუენება“) უნახავს: იგი შეიყვანეს „სახილავად ტურფა და სიკეთე-აღმატებულ ადგილას“, რომელსაც ამშვენებდა ყვავილები და ამწვანებული ხეები. ამ სამოთხის ბაღში მდგარი საყდრების სარკმლები შემკული იყო ოქრო-ვერცხლით; აქ იდგა ფერად-ფერადი „საჯდომი თჳთოულისა კაცისა“, ხოლო ამაღლებულ ადგილზე იყო ოქროთი და თვალ-მარგალიტით გაწყობილი ტახტი. თამარმა გაიფიქრა: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი„ და მოინდომა კიდეც ტახტზე დაჯდომა, მაგრამ მას წინ გადაეღობა ნათლით მოსილი კაცი, ხელი დაუჭირა და უთხრა:

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959, გვ. 80-81.

„ – შენი არა არს საჯდომი ისი, რამეთუ შენ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად იმისსა!“.

თამარს ძალიან გაუკვირდა და იკითხა, ჩემზე ღირსეული აქ ვინ არისო. პასუხად მოახსენეს, რომ ის დიდებული ტახტი ეკუთვნის მის დიასახლისს, რომელმაც თორმეტი მღვდელი შემოსა თავისი ხელსაქმარით და ამის გამო მასზე მეტს იმსახურებდა. თამარს კი მიუთითეს „უდარესი და უუნდოესი“ ადგილი.

გაიღვიძა თუ არა თამარმა, იხმო დიასახლისი, რომელმაც აღიარა, რომ თორმეტი მღვდლისათვის მართლაც შეკერა ტანსაცმელი. ამის შემდეგ თამარმაც დაიწყო „სთვად და ქმნად შესამოსლისა, ვიდრემდის ათორმეტად სრულ-ყოს“.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეისტორიე გვარწმუნებს, რომ თამარი მოწყალებას საკუთარი შრომითი მონაგებიდან გასცემდა ხოლმე და არა სახელმწიფო ხაზინიდან.[2]

ავსტრიელი მწერალი ქალი ბერტა ფონ ზუნტერი 1905 წელს წერდა: „... არსებობს ქართული ეროვნული პოემა, რომელიც ყველა გლეხმა იცის ზეპირად. მასში სახელგანთქმულ დედოფალზე შემდეგია მოთხრობილი: ერთ-ერთი დიდი გამარჯვების დღესასწაული იყო. თამარ მეფემ ყველა თავისი ძვირფასი სამკაული აისხა. მას სურდა, რომ ყველა გახარებული ყოფილიყო. მეჭურჭლეთუხუცესს უბრძანა, საჩუქრები და საბოძვარი მიეცა ყველასათვის, დიდისა და პატარისთვის,

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 79-80.

2 იქვე, გვ. 81.

აზნაურთათვის და უაზნოთათვის.

„ – შეასრულე ჩემი ბრძანება?“ – ჰკითხა თამარმა მეჭურჭლეთუხუცესს.

„ – მეფეო, – უპასუხა მეჭურჭლეთუხუცესმა, – შენი ბრძანებისამებრ მოწყალება გავიღე. მხოლოდ ერთ მათხოვარ ქალს არაფერი ერგო, რადგან მაინცდამაინც შენთან უნდოდა შემოსვლა და შენი ხელიდან წყალობის მიღება. ჩვენ არ შემოვუშვით და გაგულისებული წავიდა“.

დედოფალი სახტად დარჩა, ბრძანა, მოეძებნათ ის ქალი. ძებნა ამაო გამოდგა, ქალს ვერ მიაკვლიეს. უცებ დედოფალს გონება გაუნათდა, ხატის წინ დაემხო, პირჯვარი გადაისახა და აღელვებულმა წამოიძახა:

„ – მე ახლა ვიცი, ვინ იყო ის მათხოვარი ქალი! შენ, დედაო ღვთისავ, წარმომიგზავნე იგი!“

თამარმა შემოიძარცვა, რაც თვალ-მარგალიტი და ალმასები ემოსა და შესწირა გაენათის ღვთისმშობლის მონასტერს“.[1]

თამარ მეფის გულუხვობისა და ხელგაშლილობის დასტურია იმერეთში, სოფელ დიმში, 1940 წელს ქეთევან ბურჯანაძის მიერ ჩაწერილი თქმულება,[2] რომლის თანახმადაც, თამარი გორში შეხვედრია ერთ თავის სარდალს, რომელსაც არაგვი გაუცურავს და იქიდან ნანიდირევი გამოუტანია. სარდლის ვაჟკაცობით აღფრთოვანებულ თამარს იგი უხვად დაუჯილდოებია და ლექსად უთქვამს:

---

1 გაზ. „ეპოქა“, 9-15 მაისი, 2003.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 98.

მიჩუქნია რეთი,
ბრეთი, არადეთი,
გორს – წისქვილი,
ატენს – ზვარი,
ვითამ მწვანე
კიტრი არი.

მესხური ლეგენდის ("თამარ დედოფალი")[1] თანახმად, თამარი „იყო მოწყალე ადამიანი ღარიბებისათვის", ხოლო იმერული ლეგენდა[2] გვაუწყებს: „თამარი ... მეტად გულმოწყალე იყო. ისე დღე არ წაუვიდოდა, რომ რამე მოწყალება არ გაეცა სამოწყალოდ. ის უფრო თავისს ხელით ნაკეთებს და ამ ნაკეთებში აღებულ ფულს არიგებდა".

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ლეგენდებისა და თქმულება-გადმოცემების მიხედვით, თამარ მეფე ხალხს წარმოდგენილი ჰყავს დიდ დედა მზარეულად, რომელიც საკუთარი ხელით ამზადებს კერძებს ხალხისათვის.

თამარ მეფის კაცთმოყვარეობასა და ლაშქრისათვის ზრუნვას გვაცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლეგენდა „თამარ მეფე მზარეული",[3] რომლის მიხედვითაც მტრის მიერ ალყაში მოქცეული დამშეული ქართველი მხედრობა თამარმა შეგროვილი ბალახ-ბულახისაგან მომზადებული კერძით დააპურა:

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 89.
2 იქვე.
3 ბ ს კ ი ფ ა, საქმე №269, გვ. 216-217.

„ერთჯელ, მეგემ,[1] თამარის ჯარი ალყაში მუაქციეს. შამააკლდათ საჭმელი. კიღამ შიმშილით დეიხოცენ. მაშინ თამარს უბრძანებია:

– წეით ყველამ და ყველანაირი ბალახ-ბულახი, მცენარე შემიგროვეთო. რომ შუუგროვებიან, მუუტანიან. თამარს იმათიებიდან ნაირ-ნაირი საჭმელები გუუკეთებია, მარა მარტვაი ეწერი ვერ გამუუყენებია. მეგემ, თამარ მეფე არჩიც[2] ყოფილა“, – დასძენს ლეგენდა.

ანაქრონიზმის შემცველი ერთი აჭარული ლეგენდით[3] თამარი გოლიათად არის წარმოდგენილი. იგი სადილს უზიდავდა გონიოს ციხის მშენებლებს. გზად შეხვდა კაცი, რომელმაც მისი შეურაცხყოფა მოინდომა. თამარმა აიყვანა ეს კაცი, ქამარში გაირჭო, გონიომდე ატარა და იქ გაუშვა.

სხვა ლეგენდის თანახმად[4] კი თამარი ხირხათის ციხეში მზარეულობდა; იგი კერძს ამზადებდა და ქვით, რომელიც ორ ტონაზე მეტს იწონიდა, ფილში სუნელს ნაყავდა. როცა აცნობეს, რომ ციხეს მტერი შემოესია, აღელვებულ თამარს ქვა ციხიდან გადმოუსვრია და თხილვანის მინდორზე დაუგდია.

ქართველთა დიდი გულშემატკივარი და ქართული კულტურის ჭეშმარიტი ქომაგი არტურ ლაისტი საგანგებოდ აღნიშნავდა: „თამარ მეფის სახელი არა მარტო ქართველებში, არამედ კავკასიის ყველა

---

1 თურმე (თურქ.)

2 მზარეული (თურქ.)

3 ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათ., 1970, გვ. 48.

4 იქვე.

ხალხის მეხსიერებაში რაღაც სულის მიმტაცებელი მომხიბვლელობით არის მოცული. თამარის სახე მათ წარმოუდგენიათ ყოველგვარი სახიერებითა და განუმეორებელი ქალური მშვენებით. ის მოწიწება, რომელსაც ავლენენ მისი სახელის ხსენებისას, რელიგიურ ხასიათს იღებს, თითქოს. როგორც ვიცით, ისტორიას არც ერთი ხალხი არ ახსოვს, რომელსაც თამარ მეფის მსგავსად გაელმერთებინოს ქალი. ასეთი კერპის შექმნა არც თქმულების ფანტასტიკურობით, არც წარსულის გაიდეალებით, არც თვით თამარის პიროვნების ღირსებათა გადაჭარბებით აიხსნება. თვით თამარის თანამედროვენი ვერ პოულობენ სიტყვებს მისი ხოტბისათვის... ჩვენი ფიქრით, ეს მოხდა იმით, რომ თამარს პატივს სცემდნენ როგორც ხალხის მოკეთესა და გამაბედნირებელს; მისი მმართველობა კაცთმოყვარეობაზე, სახელმწიფოებრივი ღვაწლი კი სახიერ სიმართლეზე იყო დაფუძნებული".[1]

თამარის კეთილგონივრულსა და სათნოებით აღსავსე მმართველობის გამო აღფრთოვანებული ბასილი ეზოსმოძღვარი წერდა: „ ... არა ვერაგობისა ღონითა აცხოვნებდა ერსა თჳსსა, არამედ სიბრძნისა წინაძღომითა, და სიმართლითა, და უმანკოებითა დავითიანითა, სიმშჳდითა იაკობის მსგავსითა, სიუხჳთა აბრამისებრითა, მოწყალებითა იესოს ღმრთისა მსგავსითა, და სიმართლითა მისისა მობაძვითა";[2] ხოლო „ისტორიანი და აზმანი

---

1 ა. ლაისტი, ქართული ლიტერატურა. – ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 183.

2 ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959, გვ. 141.

შარავანდედთანი" გვაუწყებს: „მიმხმელ იქმნა ცხოვრებითა ნეტარებითა, რომელმან ესევითარი იჴმია ფრიადება ცნობიერებისა და სიმშჳდე გონიერებისა, ვიდრემდის ამისსა განგებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჳგანაგი უბრძანა ვის სადმე კრვად. კიდემქონებელი ყოვლისა მესისხლეობისა და მბნელობლობისა და ასოთა მიღებისა, ნება-აღმსრულებელი, შიშისა და ზარისა დამდებელი, მშჳდი და მშჳდობის მყოფელი იშუებს და სუფევს სამეუფოთა და სამფლობელოთა შინა მისთა, რომელი „არა სადა ვის უხილავს თჳნიერ ამისსა, ესევითარსა კაცისა უვნებლობასა შინა უვნებლად და მშჳდობით დაჭირვა და მოწურთა კაცთა ქედფიცხელობისა და გონება-ურჩებისა".[1]

ხალხური სიტყვიერების კოლექტიური ავტორიცა და თამარის ოფიციალური ისტორიკოსებიც ერთხმად მიუთითებენ, რომ თამარ მეფე არა მარტო ქართველთა, არამედ მეზობელი ხალხების სიმშვიდისა და ძლიერების გარანტი იყო. თამარის ციკლის ერთი კახური ლეგენდა[2] მოგვითხრობს, რომ ღმერთის შთამომავალი (ქრისტეს ქალიშვილი) თამარი ოსეთის მეფეა, ხოლო მისი ცაზე ასვლის შემდეგ ოსეთში მეფდება მისი ვაჟი. ამ ანაქრონიზმის ახსნა, ბუნებრივია, ოსეთზე თამარის გავლენით აიხსნება; სხვა ლეგენდით,[3] თამარი ბაღდადში აშენებს მონასტერს. „ქართლის ცხოვრება" კი გვაუწყებს:

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 35.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 243-245.

3 იქვე, გვ. 82.

„... რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა".[1]

1888 წელს პეტრე უმიკაშვილს ხევში, სოფელ ხურთისში, მიხეილ ჩქარეულისაგან ჩაუწერია თამარ მეფის ციკლის ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, თამარ მეფის მელვინეს, მისი სიკეთისა და გულუხვობის გამო, ღვთაებრივი ნათელი დასდგომია: „თამარ დედოფალს ჰყვანდა პირის მელვინე (ღვინო ვისაც ებარა). გაიხედა თამარ დედოფალმა ფანჯარიდამ და ნახა, პირის მელვინეს სძინავს, პირს ნათელი დასდგომია. გააღვიძა და ჰკითხა:

– მასწავლე, პირს ნათელი სიცოცხლით როგორ დაგადგა, მეც ვიქ იმ საქმესაო, მეც დამადგესო.

პირის მელვინემ უარი სთქვა:

– სვეტი ნათელსა მე ვინ დამაყენებს სიცოცხლითაო?!

– არა, უარს ნუ ამბობ, მე თვითონ გადმოვიქირე ფანჯარაშიგა და მე თვითონ გნახეო!

კიდევ უარი უთხრა:

– შენ ამდენი საქმე გაგიკეთებია – სივანს ციხე, ახალციხეს ყველაწმინდა, – შენ არ დაგადგა სვეტი ნათელიო და მე სიდამ დამადგება, შენი პირის მელვინე ვარო.

---

1 ბასილი ეზოსმოძღუარი, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

მერე გამოუცხადა პირის მეღვინემ:

– შენ რომ საჭმელს მიგზავნიდი, მე ვიკლებდი და მშიერს ვაძღებდიო და ამიტომ დამადგაო“.[1]

ეს ლეგენდაც თამარისეული გულმოწყალების ერთ-ერთი დასტურია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახტანგ გორგასალზე შექმნილი ცნობილი ხალხური ლექსი „ვახტანგ მეფე ხალხს უყვარდა“, კონტამინაცია-ციკლიზაციის წესით, თამარ მეფის სახელთანაც არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ლექსის ზოგიერთ ვარიანტში სიტყვა „ღმერთის“ ნაცვლად „ხალხია“ ნახსენები (“თამარ მეფე ხალხს უყვარდა“) და ამით კიდევ უფრო მკვეთრად და ნათლად არის გამოხატული ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა თავისი სახელოვანი და დიდებული მეფის მიმართ. საინტერესოა ისიც, რომ რაჭულ საფერხულოში შესასრულებელი ეს სიმღერა იწყება ცნობილი ხალხური ფილოსოფიური ლექსის სტრიქონებით, რომელიც ამაღლებულ ჰუმანიზმსა და ურთიერთგატანას ქადაგებს:

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება.
ჰეე... და ფერხული ჩავაბათ,
ბიჭებო, გენაცვალებით!
თამარ მეფე ხალხს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, გვ. 310-311.

იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა.
ლეკებსა შემოუტია,
ჩერქეზეთში გადარეკა.
ახლა კი შემოუაროთ,
მარცხნივაც შემოუაროთ,
მარჯვნივაც შემოუაროთ.
თამარ მეფე ხალხს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა.[1]

მართლაც რომ გულით უყვარდა მშობელ ხალხს დიდებული თამარ მეფე, რომელსაც დიდ დედად მოიხსენიებდნენ, გელათის ტაძარს უდარებდნენ, ხოლო მეისტორიემ სრულიად სამართლიანად უწოდა „მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“.

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 74-75.

თამარ მეფე და შოთა რუსთაველი

ქართველი ხალხის მიერ დიდ დედად აღიარებულს, სამების მეოთხე წევრად გამოცხადებულ „მზეებრ უხვსა და უშურველს“, უფლის მიერ სიბრძნითა და სიქველით უხვად დაჯილდოებულ თამარ მეფეს ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ ეროვნული კულტურისა და სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება – შოთა რუსთაველი დაუსახა უახლოეს მეგობრად და მიჯნურად; ამგვარ შეხედულებას უხვად კვებავდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისეული სტრიქონები, ხოლო ეპოქის ამ ორი ბუმბერაზი პიროვნების ურთიერთპატივისცემასა და „ვრფხისტყაოსნის“ ავტორის გამიჯნურებას პოემის დიდებული ადრესატისადმი ხალხის დაუშრეტელმა ფანტაზიამ მრავალი პროზაული თუ პოეტური ნიმუში უძღვნა. მათი აბსოლუტური უმრავლესობის თანახმად, შოთა რუსთაველი თამარის კარზე მიღებული, სიბრძნითა და განათლებით, ჰუმანური იდეებით გამორჩეული პიროვნება იყო, რომელიც ეტრფოდა თავისი ქვეყნის დიდებულ მეფეს. მესხეთში, სოფელ უდეში, გიგო თუმანიშვილისაგან 1936 წელს მიხეილ ჩიქოვანს ჩაუწერია თქმულება „შოთა რუსთაველზე“,[1] რომლის თანახმადაც, ათინადან შოთა რუსთაველი რომ დაბრუნებულა, თოთხმეტი წლის გამეფებული ყოფილა თამარ მეფე. თამარს თვითონ მიუწვევია შოთა რუსთაველი და ვეზირად დაუნიშნავს. ამის შემდეგ დაუწერია შოთას

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 293-294.

„ვეფხისტყაოსანი“.

მთქმელს ეს ამბავი დედის ძმისაგან – ალექსი ტატურიშვილისაგან გაუგონია უდეში. ბიძამისს უთქვამს, „შოთას უყვარდა თამარიო, მაგრამ რადგან ვაზირს დედოფლის შერთვა არ შეეძლო, ამისათვის სხვა ქალი შეიყვარა და ის ითხოვა ცოლადო, მაგრამ ამ ქალმა შოთას უღალატაო. ამის გამო შოთა რუსთაველი გადადგა ვაზირობიდანო და წავიდა იერუსალიმში ბერადაო“.

ბარალეთელი სახალხო მთქმელის – გ. გოგოლაძის განმარტებით, „თამარ მეფესა და შოთას შუა, უწინ ასე გაგვიგონია, ვითომ სიყვარული იყოვო. შოთამ თამარს, სიყვარულის აღსანიშნავად, წიგნი მიუძღვნა. თამარს წაუკითხავს და მოსწონებია. თამარი შოთას გმირად გამოუყვანია“ (ჩაწერილია 1937 წელს გ. გოგოლაძის მიერ სოფელ ბარალეთში).[1]

შოთა რუსთაველს თამარ მეფის კარზე აღიარებულ და პატივდებულ პიროვნებად და მთელი საქართველოსათვის უპირველეს პოეტად, რაინდად და ზნეობრიობით აღსავსე ადამიანად წარმოაჩენს თქმულება „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“,[2] რომელიც პირველად დაიბეჭდა 1886 წელს ანტონ ფურცელაძის მიერ გადამუშავებული სახით და ასევე გადაიბეჭდა 1899 წელსაც.

თქმულება მოგვითხრობს, რომ თამარ მეფე განუსაზღვრელ პატივს სცემდა რუსთაველს და მის

---

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1966, გვ. 131.

2 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 111-117.

პატივსაცემად ნადიმებს მართავდა. ერთ-ერთ ასეთ ნადიმზე, მშვენიერი ქართული სიმღერის ხმაზე, წაუკითხავს მას „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო „თამარი და ყოველნი იქ მყოფნი მოდიოდნენ აღტაცებაში. თამარმა წაიძრო ხელიდამ ძვირფასი ბეჭედი და უბოძა რუსთაველს ნიშნად წყალობისა... თამარმა პირველმა მიირთვა რუსთაველის სადღეგრძელო“. აქვე ხაზგასმულია შოთა რუსთაველის ფარული ტრფიალი თამარ მეფის მიმართ; იგი უსაზღვროდ ბედნიერი იყო თამარის მიერ მისადმი გამჟღავნებული სითბოსა და სიკეთის გამო; უხაროდა, რადგანაც „მშვენიერება, რომლისთვისაც ისე უიმედოდ უძგერდა გული, რომელიც იყო იმისთვის, იმისივე სიტყვებით, „სიცოცხლე უწყალო, ვითა ჯიქია“, სიამოვნებით და წყალობის თვალით შეჰყურებდა ამას“.

იმავე თქმულების თანახმად, ცოლის ღალატით გულდაკოდილმა მგოსანმა მოიწვია მეგობრები და გამართა ლხინი და მეჯლისი. ნადიმის შემდეგ გაიმართა ჯირითი. შოთამ ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა და „მეფეთა და ყველა კრებულთა მიულოცეს გამარჯვება“.

შოთამ მოხდენიალდ სტყორცნა ისარი ცოლის საყვარელ არაბს და ქუდი მოხადა. მის შეკითხვაზე – „ვვარგივარ?“ თამარ მეფემ უპასუხა:

„ – შენზედ უკეთესი არ მეგულება ჩემს სამეფოში“.

ჭკუისა და სწავლა-განათლების შეფასებაც ითხოვა მგოსანმა და მსაჯულად ისევ დიდებული მეფე გამოჩნდა.

„ – შენი ჭკუა და სწავლა იქნება საოცარი თვით შორეული ხალხებისა და შთამომავლებისაც!“ – იყო თამარის პასუხი და შემდეგ ზნე და ხასიათი შეუქო. მაშინ

შოთა რუსთაველმა საკუთარი გულისტკივილი გაანდო სტუმრებს და იკითხა:

„ – მაშ, ამისთანა კაცს რომ ცოლმა უღალატოს და გასცვალოს თავის უბრალო მონაზედ, რის ღირსია ცოლი?"

„ – მაგგვარი ცოლი ღირსი არ არის თავის ქმრისა და ქმარს ნება აქვს, განუტევოს იგი და თვით დაექორწინოს მას, ვინც თითონ მიაჩნია თავის ღირსად, – ბრძანა თამარმა.

აქ რუსთაველმა გაამხილა ცოდვა, რომ ცოლის ღალატის ამბის მიმტანი შემოაკვდა. უმაღლესმა მსაჯულმა – თამარ დედოფალმა მკაცრი განაჩენი გამოიტანა:

„ – მოკლული ღირსი ყოფილა სიკვდილისა, მაგრამ მომკვლელმა კი უნდა თავისი ცოდვა მოინანიოს უდაბნოში!" – უბრძანა კვლავ თამარმა.

თქმულების თანახმად, შოთა რუსთაველმა აღასრულა დიდებული მეფის განაჩენი: „იმან შეასრულა თავისი მეფის გადაწყვეტილება – ის შედგა იერუსალიმს ბერად, სადაც დაასრულა თავისი დღენი".

თქმულების მესხური (ბარალეთური) ვარიანტით „შოთა რუსთაველი",[1] რომელიც ჩაწერილია 1937 წელს, დაობლებული შოთა რუსთველი თამარ დედოფლის მამას დახრჩობას გადაურჩენია, თავისთან წაუყვანია და თავის ერთადერთ შვილთან – თამართან ერთად ზრდიდა. თამარს და შოთას ერთმანეთი შეჰყვარებიათ და ცოლქმრობის პირობაც დაუდვიათ.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 289-290.

თქმულება საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი გამოძახილია თამარის ციკლის ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებში წარმოჩენილი თამარის სურვილისა უბიწოდ დარჩენილიყო და წარმოადგენს ამ სურვილის ახსნას: თამარის გამეფების შემდეგ დიდებულებმა კრება გამართეს და დედოფალს სთხოვეს, ქმარი შეერთო. თამარმა უარი განაცხადა:

„ – არა, მე უქმაროდ უნდა დავრჩეო!“

დიდებულები არ დაეთანხმნენ. თამარმა კი შინაურებს ჩუმად გააგებინა:

„ – აგრე იმიტომ ვთქვი, რომ საქმრო მყავსო, რომელიც მთელ საქართველოს გაუძღვებაო“, – და შოთა რუსთაველი დაასახელა.

დიდებულები ძალიან გაწყრნენ და დაემუქრნენ კიდეც:

„ – როგორ გაბედე ვიღაც ობოლი გლეხის შვილის ქმრად არჩევაო! ეგ აღარ გაბედო, თორემ ტახტიდან შენც ჩამოგაგდებთო!“

თამარმა ბევრი იდარდა, მარამ მაინც დათანხმდა დიდებულებს.

რუსთაველს უშნო ცოლი ჰყოლია და ულამაზესი თამარის დანახვაზე ამბობდა, თურმე, „რა დავკარგე და რა ვიშოვნეო“. შოთა თამარის კარისკაცი ყოფილა. იგი უთამაროდ ვეღარ სძლებდა და მეფისათვის უთხოვია, არაბეთში გაეშვა. თამარს სწყენია ეს გადაწყვეტილება და უთქვამს:

„ – მერე შენ მაგივრობას ვინ გაგვიწევსო? ვიღამა გვითხრას ქებანიო?“

შოთამ, თურმე, არ დაიშალა და არაბეთში წავიდა.

თამარის რჩევით, ცოლიც თან წაიყვანა. თქმულების თანახმად, იქ დაუწერია რუსთველს „ვეფხისტყაოსანი“.

თქმულების ერთი სიუჟეტი რუსთაველის ერთ-ერთი აფორიზმის („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“) შექმნის გულუბრყვილო ხალხური ახსნის ნიმუშია:

„ცოლი სულ შეიძულა და აღარც კი აგონდებოდაო“, – გვაუწყებს თქმულება. ცოლსაც არაბი საყვარელი გაუჩენია. ნადირობიდან დაბრუნებულ შოთას წაუსწრია არაბთან მყოფი ცოლისათვის და, „თუმც არ უყვარდა ცოლი, მაინც იწყინა ეს, არაბმა როგორ უნდა გადამქელოსო, იძრო ხმალი და ეს ლექსი თქვა:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
ვიწრო გზა, ვერცა კლდოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!

ეს თქვა თუ არა, ცოლიც და არაბიც იქვე აჩეხა. ადგა იმ ღამესვე და გამოიპარა საქართველოში. თამარ დედოფალიც აღარ ნახა, გულმოსული იყო, ბერათ შევიდა ერთ საყდარში. მერე ბევრი აღარ უცოცხლია, მოკვდა და ბერებმა იმავე საყდარში დაასაფლავეს“.

არსებითად თქმულების ბარალეთური ვარიანტის იდენტურია თქმულება „შოთა და თამარი“.[1]

მესხეთში, ახალციხის რაიონის სოფელ კოთელიაში, 1937 წელს მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი თქმულების – „შოთა რუსთაველის თვითმკვლელობა“[2] – თანახმად,

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 290-291.
2 იქვე, გვ. 119.

შოთა რუსთაველი თამარ მეფეს ხლებია მგზავრობაში. ჯავახეთისა და ქართლის საზღვარზე, მდინარე ქციაში, თამარ მეფეს შეუნიშნავს ბევრი კალმახი და, რაკი ძალიან ჰყვარებია თევზი, უთქვამს:

„ – როგორც აქ, კალმახი თევზი წითელ საყდრის წინ, დაბლობ ადგილში, სადაც ტბაა, უნდა გავაკეთოთო“.

ამ მგზავრობის დროს შოთა რუსთაველს თამარ მეფისათვის სიყვარული გაუმჟღავნებია და გამეფება უთხოვნია. ეს ამბავი გაუგია დავით სოსლანს, შოთას გაძევება განუზრახავს და ამ მიზნით გაუგზავნია ტბის სათევზეს ზედამხედველად. ამგვარი დამცირება უთაკილია შოთა რუსთაველს და თავი მოუკლავს: „ ... თავი კი მოუკლავს, მაგრამ სად დაასაფლავეს, ეს აღარ მახსოვსო“, – დასძენს მთქმელი.

რაჭაში, სოფელ შქმერის მახლობლად მდებარე მაღალ კლდეში არსებულ გამოქვაბულთან, სადაც, ხალხის რწმენით, დგას თამარ მეფის აკვანი, დაკავშირებული თქმულების – „თამარის კლდე და შოთას მთა“[1] – თანახმად, რომელიც ელენე ვირსალაძემ ჩაიწერა 1963 წელს, თამარ მეფეს და შოთა რუსთაველს ერთმანეთი ბავშვობიდან ყვარებიათ. შოთა დიდგვაროვანის შვილი ყოფილა, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერ მიათხოვებდნენ. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაკარგულა. თამარმა კი ეს გამოქვაბული გააკეთებინა თავისთვის და, როდესაც, დაკარგული სიყვარულის გამო, გულზე დარდი შემოაწვებოდა, შქმერის კლდეს მიაშურებდა,

1 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 216.

გამოქვაბულში ჩაიკეტებოდა და იქიდან გასცქეროდა შოთას მთას, რომელიც შოთას სახელს ატარებდა, და დარდს ამით იქარვებდაო. მთქმელის განმარტებით, „თამარის კლდიდან ჭიათურამდე უწინ ხვრელი ყოფილა გაკეთებული და მას გამოჰყვებოდა ხოლმე თამარიო“.

მესხეთში, სოფ. ადროწმინდაში, 1936 წელს მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი თქმულების – „შოთა რუსთაველზე“[1] – თანახმად, თამარ მეფეზე შეყვარებული ყოფილა არა შოთა რუსთაველი, არამედ – მისი ძმა ავთანდილი. თქმულება მოგვითხრობს იმის შესახებაც, რომ საზღვარგარეთ სწავლა-განათლების მიღების შემდეგ მესხეთში დაბრუნებულ შოთას „ვეფხისტყაოსანი“ წაუკითხავს დიდებულთა კრებაზე და თამარ მეფე ძლიერ აღუფრთოვანებია პოემის შინაარსსა და მომხიბლავ ენას. ამის შემდეგ დედოფალს პოეტი მოლარეთუხუცესად დაუნიშნავს.

მესხური თქმულება „შოთა რუსთაველის ვინაობა“,[2] რომელიც დაფიქსირებულია 1937 წელს, გვაცნობს თამარ მეფეზე შეყვარებული ბრძენი და განსწავლული შოთა რუსთველის თავგადასავალს: შოთა სოფელ რუსთავში დაბადებულა; მამაც და ბიძაც კარგი მოლექსეები ყოფილან. ადრე დაობლებული ყმაწვილი ბიძას – ბერს გაუზრდია ქრისტიანული სულისკვეთებით და კარგი განათლებაც მიუცია ჯერ სამშობლოში, შემდეგ – საბერძნეთსა და სპარსეთში. უცხოეთიდან დაბრუნებულს შოთას მალე

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 119-120.
2 იქვე, გვ. 109-110.

გაუთქვამს სახელი პოეტობით და ცოლიც შეურთავს – მამაცი და გამბედავი ქალი.

შოთა რუსთაველის ქებას თამარ მეფის ყურამდეც მიუღწევია. ამ დროს შოთას თამარის საპატივცემულოდ დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ და მიურთმევია კიდეც მისთვის. მანამდე შოთას თამარი ნანახი არ ჰყოლია. თამარს ძალიან მოსწონებია „ვეფხისტყაოსანი“ და ავტორი დაუსაჩუქრებია. ამის შემდეგ შოთა და მისი ძმა ხშირად სტუმრობდნენ თამარს; ორივეს შეჰყვარებია იგი; შოთას გაუგია მისი ძმის გამიჯნურების შესახებ და სადარდებელში ჩავარდნილა, რადგან ძმის დიდი ხათრი ჰქონია; იმავდროულად თვითონაც უიმედოდ იყო შეყვარებული თამარ დედოფალზე, „შოთამ ვერც სიყვარულს უღალატა და ვერც ძმას“, – გვაუწყებს თქმულება.

გულდარდიანი მიჯნური პოეტი შეჯდა ცხენზე, ძირიდან სამჯერ აიღო მიწა, აკოცა და თქვა:

თამარ, ლამაზო ყვავილო,
სურნელოვანო იაო,
სილამაზე და სიტურფე
მზისაგან გადგიღიაო.
ნეტავი შენსა მჭვრეტელსა! –
მე ბევრჯერ მინატრიაო,
ცხრა გზით ვეწამე მე შენთვის,
ღირსება დამითმიაო.

თქმულების თანახმად, ცოლის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, შოთა სპარსეთში გაქცეულა; მის ცოლს

ვაჟურად ჩაუცვამს და ცხენდაცხენ დასდევნებია; დიდი ძებნის შემდეგ უნახავს სპარსეთში, პირველ შეხვედრისთანავე ბრძოლა გაუმართავთ (შოთას ვერ უცვნია მამკაცურად გამოწყობილი ცოლი) და ერთმანეთი ამოუხოცავთ.

ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი თქმულება „თამარ დედოფლის გათხოვება“[1] უშუალო გამოძახილია ისტორიული ფაქტისა – თამარ მეფის მეუღლედ „რუსი მეფის შვილის“ ჩამოყვანისა, რამაც, ხალხის რწმენით, ხელი შეუშალა თამარისა და შოთა რუსთველის დაქორწინებას; თუმცა, არც ის გარემოებაა გამორიცხული, რომ მათ შორის ფეოდალური იერარქიის გადაულახავი პრობლემაც დაენახათ მთქმელებს: „ზოგიერთებს უნდოდათ, თამარი შოთასთვის მიეცათ, მაგრამ არ აკუთვნეს, რაკი მისი ქვეშევრდომი იყო. წავიდნენ და მოიყვანეს რუსის მეფის შვილი და მას მისცეს თამარი“.

ტოლაშელი (ახალციხის რაიონი) მთქმელის – მელანია ასპანიძის თანახმად, „შოთას უყვარდა თამარი. ამაზე თამარს უთქვამს: ძალიან კარგია, ჭკვიანია, მაგრამ გვარი ნაკლები აქვსო, და გიორგი რუსი შეირთო“ (ჩაიწერა მ. ჩიქოვანმა 1937 წელს).[2]

თქმულებაში „შოთა რუსთაველი“,[3] რომელიც ჩაწერილია ანუსია კაპანაძის მიერ თბილისში 1936 წელს,

---

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1966, გვ. 152.

2 იქვე, გვ. 156.

3 იქვე, გვ. 153.

ხაზგასმულია, რომ შოთა რუსთაველი სამეფო კარზე დიდად მიღებული და დიდგვაროვნებთან დაახლოებული ყოფილა: თქმულების თანახმად, ერთი ბოროტი დედაბერი, რომელიც შოთას ამცნობს ცოლის ღალატის შესახებ, აყვედრის დიდგვაროვან ქალებში გართულობასაც:

„ – შენ ხომ ეგრეთი მიღებული ხარ მეფეებთან და იმათ ქალებთანაც გართული, რატომ სახლის ამბავს არ კითხულობ...".

თქმულება „შოთა რუსთაველზე",[1] რომელიც მესხეთში, ახალციხის რაიონის სოფელ ტოლოშში, ჩაიწერა მიხეილ ჩიქოვანმა 1937 წელს, შოთა რუსთაველს წარმოგვიდგენს ცოლის ერთგულ ადამიანად, თამარ მეფეს კი – შურისმაძიებლად: მას შემდეგ, რაც შოთა რუსთაველმა გააცნო თავისი „ვეფხისტყაოსანი", თამარს შეჰყვარებია პოეტი და გაუმჟღავნებია კიდეც, მაგრამ ცოლის ღალატს შოთა ბოროტებად სთვლიდა და თამარ მეფეს სიყვარულზე უარი უთხრა.

განაწყენებულმა თამარმა შოთას ცოლს ზანგები შეუჩინა და შეაცდენინა; შოთამ ორივე ზანგს თავები მოჰკვეთა; თამარმა მისი დასჯა განიზრახა, შოთამ კი საბერძნეთში გაქცევით უშველა თავს; იქ ბერად აღიკვეცა, მაგრამ „თამარის შურისძიება მაინც ვერ აიცდინა თავიდან". თამარის მსტოვრებმა შეიპყრეს იგი, თავი მოჰკვეთეს და საქართველოში წამოიღეს „იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა შეასრულეს მეფის დავალება. შოთას გვამი დარჩა საბერძნეთში; ასე რომ,

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 118-119.

დიდებული პოეტის საფლავი საქართველოში არ არის. აქედან არის ხალხური სიმღერა:

სად არის შოთას საფლავი,
წავიდეთ საძებნელადა".

ვფიქრობ, თქმულება „შოთა რუსთაველზე" ეხმაურება შოთა რუსთაველის საფლავის გასაიდუმლოების თემატიკის შემცველ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ცალკე ერთეულად გავრცელებულ ამ ორსტრიქონიან ლექსს.

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ციკლის საისტორიო ფოლკლორის ერთ-ერთი მთავარი თემა, ამ ისტორიულ პირთა სამიჯნურო თავგადასავლებთან ერთად, მათი ურთიერთპატივისცემა, ურთიერთდაფასება და სამშობლოსადმი, ხალხისადმი მსახურება, ჰუმანისტური იდეალებისადმი ერთგულების წარმოჩენაა.

ქართული ხალხური თქმულება-გადმოცემები ერთხმად მიუთითებს, რომ შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი" თამარ მეფის სადიდებლად დაწერა. „ამ უკვდავ ნაწარმოებში ჩააქსოვა გენიოსმა პოეტმა თავისი აზრები და ფიქრები, მომავლის რწმენა, ფილოსოფია, ესთეტიკური იდეალი".[1]

ხალხური თქმულების თანახმად, თავის მხრივ თამარ მეფე, რომელიც აღფრთოვანებული ყოფილა შოთა რუსთაველის პოეტური ნიჭითა და პიროვნული ხიბლით, დიდად ზრუნავდა მასზე და გვერდიდან არ იშორებდა, როგორც ბრძენსა და შეუმცდარ მრჩეველს. ამის ნათელი დასტურია მესხეთში, სოფელ მუსხში, ილია მაისურაძის

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 38.

მიერ ისაკ მაისურაძისაგან 1945 წელს ჩაწერილი თქმულება „შოთა რუსთაველის ამბავი“, რომლის თანახმადაც, თამარ მეფე ზრუნავდა შოთა რუსთაველის განათლებაზე: „თამარ დედოფალს დაუბარებია შოთაჲ, გამოუცხადებია, რომ შენაო საბერძნეთში უნდა წახვიდეო რამდენიმე წლითაო, იქ შეისწავლეო და დაბრუნდი ისევაო“.[1]

ახალციხის რაიონის სოფელ ტოლოშში მიხეილ ჩიქოვანის მიერ 1965 წელს, სახალხო მომღერლის – ექვთიმე დავლაშერიძისაგან ჩაწერილ ვრცელ ლექსში „თქმულება რუსთაველზე“,[2] რომელიც პოეტის ლექსით ბიოგრაფიას წარმოადგენს, ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ ბიზანტიაში განსწავლული შოთა რუსთაველი თამარ მეფეს მეჭურჭლეთუხუცესად („მოლარედ“) ჰყოლია ვარძიაში:

თამარ მეფეს ვარძიაში
შოთა ჰყავდა მოლარეთა,
აქებდა მეფე თამარსა –
მზის და მთვარის მოდარეთა.[3]

თქმულება „რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი“[4] მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მარტივად ამოხსნა ბრძენმა შოთა რუსთაველმა თამარ მეფის ამოცანა და როგორ დაიმსახურა ოქროს გვირგვინი: რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დასრულებასთან დაკავშირებით დიდუბის მინდორზე მოეწყო შეჯიბრი ჯირითში, შუბის

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 165-166.
2 იქვე, გვ. 171-173.
3 იქვე, გვ. 172.
4 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 107-109.

ტყორცნაში, ჭიდაობასა და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრაში. შეჯიბრში ყველას აჯობა შოთა რუსთაველმა და დიდად განაცვიფრა თამარ დედოფალი და მისი კარის მანდილოსნები.

თამარის ბრძანებით, უძვირფასესი ჯილდო – ოქროს გვირგვინი იმას ერგებოდა, ვინც ისარს მოახვედრებდა ვაშლს, რომელსაც დედოფალი თითებით თავს ზემოთ დაიკავებდა.

ხალხი შეცბა, ახმაურდა, რადგანაც არასწორად გასროლილ ისარს შეეძლო თამარის დაჭრა, და მეტიც – მისი სიკვდილი.

ცნობისმოყვარე მანდილოსნებს მოეწონად შეჯიბრის პირობა, მგრამ რჩეულმა მოისრეებმა დედოფალს დაუჩოქეს და უმორჩილესად სთხოვეს, გადაეთქვა ეს პირობა და შეჯიბრება გაეუქმებინა:

„ – დედოფალო, რომ ბრძანოთ, რომელიმე ჩვენთაგანმა თავი მოიკლას, არც ერთს ხელი არ აგვითრთოლდება, მაგრამ თქვენი სისხლი რომ თუნდაც უნებლიეთ დაიღვაროს, ჩვენა და ჩვენს მომავალს წყევად დაედება... გევედრებით, თვით შენი თავიცა და ჩვენც ამ დიდი საშიშროებისაგან, ამ სახიფათო ცდისაგან გვიხსნათ!"

თამარს გაელიმა და უპასუხა:

„ – არაფერი სახიფათო და საშიში აქ არ არის. მოხერხებითა და სურვილით ამოცანას ადვილად გადასჭრით".

დიდებულ მეფესთან მივიდა შოთა რუსთაველი და მიმართა:

„ – დედოფალო, აიღე წელში ვაშლი, მე ვბედავ, მას ისარი მოვახვედრო!"

რუსთაველის გაბედულებამ ყველა გააკვირვა; რაინდებმა სთხოვეს, ხელი აეღო ამ სახიფათო ცდისათვის, მაგრამ შოთამ არ დაიშალა. თამარმა ცერითა და სალოკი თითით აიღო ვაშლი და თავს ზემოთ გაიჩერა; რუსთაველმა აიღო ისარი, მივიდა დედოფალთან, მარცხენა ხელით დედოფლის ვაშლიანი ხელი დაიჭირა, მარჯვენით კი ვაშლში ისარი ჩაასო; თამარმა ვაშლს თითები მოაშორა და ის, გამარჯვების ნიშნად, მაღლა ასწია.

ყველა მიხვდა, რომ თამარ მეფის მიერ გამოცანა იყო თქმული, რომლიც „ვეფხისტყაოსნის" ავტორმა, თავისი სიბრძნის წყალობით, ადვილად ამოხსნა.

„ – რუსთაველმა გაიმარჯვა! – დაიძახა დედოფალმა. – ოქროს გვირგვინი მან დაიმსახურა! თვითონ მე გეუბნებოდით თქვენ, ჩემო კეთილო რაინდებო, რომ ამ შეჯიბრებაში სახიფათო არაფერი იყო... მე წინადადებას გაძლევდით, ვაშლისათვის ისარი მოგეხვედრებინათ, მაგრამ მანძილი, რომლიდანაც ეს უნდა შეგესრულებინათ, მე არ დამითქვამს".

თქმულების თანახმად, თამარ მეფემ რუსთაველს ოქროს გვირგვინი თავისი ხელით დაადგა და ხელზე კოცნის ნებაც დართო.

ზემო იმერეთში, სოფელ ხრეითში, გ. მიხელიძის მიერ 1937 წელს დაფიქსირებული თქმულების – „თამარ მეფე და რუსთაველი"[1] – თანახმად, თამარი ძალიან გაკვირვებული

1. მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 139-140.

ყოფილა რუსთაველის ნიჭიერებით და უთქვამს, დაეწერა რაიმე, რათა „უნაყოფოდ არ დამარხულიყო მიწაში მისი ტვინი". თავის მხრივ რუსთაველსაც ურჩევია „მასაც, როგორც დედოფალს, რაიმე დაეტოვებინა ძვირფასი საუნჯე". ამის პასუხად თამარ მეფეს უთქვამს:

თამარ დედოფალი ვიყავ,
კარგი საქმე დავიგდეო,
ზღვაში ჩავყარე მიჯნები,
ხმელეთს სახელი გავიგდეო.
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღეო.

ამ ლექსის პასუხად, თურმე, რუსთაველმა მიუგო:

თითი მიგიგავს კალამსა
ტურფასა მწერალისასა,
ბაგენი – ვარდის ფოთოლსა –
შორს მოფენილსა მზისასა.
სითეთრე – თოვლის ნაბუქსა
იალბუზისა მთისასა.
რაც ჯელი კაცი შენ გნახავს,
რჯულსაც განაგდებს თვისასა!

თქმულება დასძენს, რომ „ამის შემდეგ შეუდგა იგი (შოთა რუსთაველი – თ. შ.) „ვეფხისტყოსნის" წერას.

ხრეითული თქმულება მრავალმხრივ საინტერესოა; იგი დასტურია იმისა, რომ შოთა რუსთაველი თამარ მეფის კარზე მიღებული პიროვნება ყოფილა და, მისი ნიჭიერებით მოხიბლული თამარი, ზრუნავდა ამ ნიჭიერების

ნაყოფის რეალიზებაზე. ამასთან ერთად, თქმულებაში ჩართულია თამარის ციკლის ზეპირსიტყვიერების ნიმუში – ეპიტაფიური ლექსი, რომელსაც იცნობს საქართველოს ყველა კუთხე და რომელიც ბოლო დრომდე ზეპირ ფოლკლორულ ბრუნვაშია. ლექსის ეს ვარიანტი ორგანულად ერწყმის თქმულების პათოსს, რომლის თანახმადაც, შოთა რუსთაველი ურჩევს თამარს, მასაც დაეტოვებინა შთამომავლობისათვის რაიმე „ძვირფასი საუნჯე". ეპიტაფიურმა სტილმა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის დამსახურების წარმოჩენაა პირველი პირით, განაპირობა ის ფაქტი, რომ ხალხურმა წარმოდგენამ თამარის ციკლის პოპულარული ხალხური ეპიტაფია შოთასა და თამარის დიალოგის ნაწილად გახდა.

რაც შეეხება რუსთაველის პასუხს, რომელიც, ასევე, თქმულების კონტექსტის ძალზე მორგებული ნაწილია, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის სიმბოლიკებით არის ნასაზრდოები და, ამავე დროს, ეხმიანება თამარისა და შოთას მიჯნურობის თაობაზე ხალხში გავრცელებულ შეხედულებას.

თქმულება „სტუმრად კახაბერთან",[1] რომელიც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული, მოგვითხრობს: რაჭის ერისთავის – კახაბერის ასულს შეუყვარდა მათ კარზე მოსამსახურედ მყოფი აზნაური პავლია გოცირიძე. დედამ ეს ამბავი გაიგო, მაგრამ კახაბერს ვერ გაუმხილა და თამარ მეფეს მისწერა, ჩაბრძანებულიყო რაჭაში და დახმარებოდა

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 120-121.

ახალგაზრდებს. კარის პოეტების თანხლებით, თამარი ესტუმრა ერისთავის ოჯახს. სტუმრებს პავლია და კახაბერის ასული ემსახურებოდნენ. თამარმა უთხრა ერისთავს:

„ – ძალიან მომწონს შენი ქალისა და პავლია გოცირიძის სამსახური და ურიგო არ იქნება, რომ ესენი შეუღლდნენო“.

კახაბერს ეწყინა ეს სიტყვები და გული წაუვიდა. თამარმა დაამშვიდა პატივმოყვარე ფეოდალი და თანმხლებ მწერლებს სთხოვა, დაეხასიათებინათ, რა უფრო ღირებულია ადამიანში – პირადი ღირსება თუ გვარიშვილობა.

შავთელმა მოახსენა:

„ – როგორც მზე ამობრწყინდება და იმისი სხივით სულდგმულობს ყოველივე არსი, ისე გვარიშვილობით ფასდება კაცი. შეიძლება ვარდი ნეხვზეც ამოვიდეს, მაგრამ სუნი ნეხვის ექნება“.

შავთელის აზრი სხვებმაც გაიზიარეს. ბოლოს თამარმა ათინადან ახალდაბრუნებულ შოთა რუსთაველს ჰკითხა:

„ – ათინაში როგორ უყურებენ გვარიშვილობას და პირად ღირსებას?“

ბრძენი შოთა წამოდგა და დინჯად მოახსენა:

ფილოსოფოსნი შემოკრბნენ,
ამაზე ჰქონდათ ცილობა:
ბატონი ყმასა უსაქმებს
და ჭკუას – გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა,

ათიათასად – ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს გვარიშვილობა!

ამ ბრძნული სიტყვებით შოთა რუსთაველმა თამარ მეფის გული მოიგო, მაგრამ მხარგრძელები კი გაანაწყენა. თამარმა პავლია გოცირიძეს თავადიშვილობა უბოძა და კახაბერ ერისთავმაც სიამოვნებით მიათხოვა მას თავისი ქალიშვილი.

თქმულების იმერული ვარიანტი „თამარ დედოფალი და შოთა რუსთაველი",[1] რომელიც 1940 წელს ქეთევან ბურჯანაძემ ჩაიწერა სოფელ ობჩაში, იმავე პრობლემას ეხება. ამ თქმულების თანახმად, რაჭაში მაჩაბელს სტუმრობს თამარი და ცდილობს, დააგვირგვინოს მსახურისა და მაჩაბლის ქალიშვილის მიჯნურობა, რომელსაც მაჩაბელი ძალიან ეწინააღმდეგება. ისპაანიდან ახალჩამოსულ შოთას თამარმა ჰკითხა:

„ – რას შობა თავადაზნაურობა იქ?"
„ – რას იზამსო, – უთხრა შოთამ –
ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად – ზრდილობა.
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობაო!"

თქმულების მესხური ვარიანტით – „შოთა რუსთაველისა და თამარ დედოფლის შეხვედრა ჩორჩინში"[2] – თამარი და შოთა ერთად სადილობდნენ ჩორჩინში. 'საუბარში თამარს უკითხავს შოთასთვის:

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 294-295.
2 იქვე, გვ. 295.

„ – კაცი ზრდილობით დაფასდება თუ გვარიშვილობითო?"

შოთას ასეთი პასუხი გაუცია:

„ – ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად – ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ არის,
ცუდია გვარიშვილობა!"

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განფენილი ამ თქმულების ვარიანტები ნათელი დასტურია ხალხის რწმენისა, რომ დიდებული თამარ მეფე განსაკუთრებულად აფასებდა შოთა რუსთაველის სიბრძნეს და ხშირად ეკითხებოდა ჭკუას.

საყურადღებოა თქმულებაში ჩართული ლექსის გენეზისის საკითხი. ხალხური ტრადიცია ამ ლექსს რუსთაველს მიაწერს; ზეპირსიტყვიერებაში იგი გვხვდება როგორც საისტორიო თქმულების შემადგენელ ნაწილად, ასევე – დამოუკიდებელი აფორიზმის სახით. მისი პირველავტორის თაობაზე მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთნი (დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი, ა. წერეთელი, მ. ჯანაშვილი, შ. ონიანი) ამ სტრიქონებს რუსთაველის კუთვნილებად მიიჩნევენ, მეორენი (ი. გრიშაშვილი, ალ. ბარამიძე, ქს. სიხარულიძე) – ხალხურად. მკვლევარმა შერმადინ ონიანმა სპეციალური მონოგრაფიაც მიუძღვნა ამ პრობლემას[1] და დაასკვნა, რომ ლექსი „... ფილოსოფოსნი

1 შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს", თბ., 1976.

შემოკრბეს“ წარმოშობით მწიგნობრული ნაწარმოებია და არა – ფოლკლორული; იგი დაწერილი უნდა იყოს ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში და მისი ავტორი არის რუსთაველი. ლექსში გატარებულმა ფეოდალური საზოგადოებისათვის მიუღებელმა პროგრესულმა შეხედულებამ გვარიშვილობის შესახებ გამოიწვია მისი იგნორირება ძველ ქართულ მწერლობაში და გადარჩა მხოლოდ ზეპირსიტყვიერებაში.

შესაძლებელია, ლექსის ისტორია მართლაც ასე წარიმართა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ზეპირსიტყვიერების მნიშვნელოვანი ნაკადია ეგრეთწოდებული „ლიტერატურული ფოლკლორი“, რომლის ცნებაშიც მ. ჩიქოვანი სრულიად მართებულად გულისხმობდა ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებს, რომელთა წყაროც წერილობითი ტექსტებია.[1] ეს მით უფრო ითქმის ლექსზე „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, რამეთუ მისი ლიტერატურული წყარო ჯერჯერობით მიკვლეული არ არის, ზეპირსიტყვიერებაში კი მრავალ ვარიანტად არის ცნობილი, რომელთა უმრავლესობაში მის წარმომთქმელად ხალხი თავის ბრძენ შვილს – რუსთაველს ასახელებს. თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილ ვარიანტში „ბრძენთ სარჩიელი“ მოპაექრეთა სახელებია „სერამ“ და „სურემი“, რაც, ჩვენი აზრით, აღნიშნულ საკითხზე მოკამათეთა სახელების განზოგადების ნიმუშია:

1 მ. ჩიქოვანი, კლასიკური ფოლკლორის იდეურ-ესთეტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა, თბ., 1981, გვ. 9-10.

დასხდნენ სერამ და სურემი,
შაიქნა ბრძენთა თქმულება.
სერამ თქვა: „ – გვარი ჰჯობია“,
„ – არა! – სურემმა, – ზრდილობა!
თუ თვითონ კაცი არ არი,
ცუდია გვარიშვილობა!“[1]

ერთ-ერთ ვარიანტში კი ხალხური ეპოსის გმირის – როსტომის პირით არის გაცხადებული:

როსტომ თქვა: – სიბერკაცითა
სიტყვას არ უნდა ლბილობა,
ათასათ გვარი დაფასდა,
ორი ათასათ – ზრდილობა.
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა![2]

შოთა რუსთაველი იყო ამ ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით გაჯერებული, დღეს ზეპირსიტყვიერების კუთვნილებად ქცეული, აფორიზმის პირველავტორი თუ სხვა ვინმე, ერთი რამ ცხადია: სწორედაც ლექსის ეთიკურ-დიდაქტიკურმა ხასიათმა განაპირობა მისი დღეგრძელობა, საუკუნეთა განმავლობაში ხალხის სულიერ წიაღში წარმატებული წრთობა.[3]

ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თვით ფეოდალიზმის გაფურჩქვნის

---

1 ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 109.

2 ქართული ხალხური პოეზია, ტ. VII, თბ., 1979, გვ. 283.

3 თ. შიოშვილი, ლექსის „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“ ჰუმანისტური იდეალი. – გაზ. „ჩვენი მწერლობა“ (სალიტერატურო ჩანართი №17 (95) გაზეთისა „ახალი ეპოქა“, 26.04. – 03.05. 2002), გვ. 10.

ხანაში, თამარისა და რუსთაველის ეპოქაში, ადამიანის პირადი ღირსება დიდად ფასდებოდა და ფილოსოფოსთა განსჯის საგანი იყო; ამ მხრივაც ლექსი ეხმაურება „ვეფხისტყაოსნის“ ჰუმანურ იდეალებს, ორივე ერთად კი მისი შემოქმედი ხალხის მაღალი სულიერი კულტურის დასტურია. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ, ხალხური თქმულების მიხედვით, რაჭის ერისთავთან სტუმრად მყოფი რუსთაველი ათინადან ახალდაბრუნებულად წარმოგვიდგება და გადამწყვეტ სიტყვას თამარი სწორედ მას აძლევს, რათა აუწყოს ყველას, როგორ აფასებენ ბერძნები ადამიანის პირად ღირსებას. ამ უაღრესად ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმის იდეალებისადმი ერთგული იყო სულმნათი თამარი და ამ სულისკვეთებით განხილული ლექსიც სრულიად ბუნებრივად შემოინახა ჩვენმა ზეპირსიტყვიერებამ.

რაჭული თქმულების – „შოთას ნათქვამი“[1] – თანახმადაც, რომელიც ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ რაჭაში 1960 წელს, თამარ მეფე რაჭის ერისთავს ესტუმრა. თამარს შეუტყვია, რომ ერისთავის ქალი ჰყვარებია მის მეცხოვნე დავით გოცირიძეს, რომელიც ნაქები ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ გვარიშვილობა არ აძლევდა ნებას, ერისთავის ქალი შეერთო ცოლად. თამარმა იქ თავმოყრილ ფილოსოფოსებს რჩევა ჰკითხა. შოთა რუსთაველს უთქვამს:

„ – ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად – ზრდილობა,

1 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 216-217.

თუ კაცი არა ვარგოდეს,
ცუდია გვარიშვილობაო".

შოთას ბრძნული პასუხის შემდეგ „გადაწყვიტა იმ ერისთავმა და მისცა ქალი გოცირიძეს, რაკი თამარი ჩაერია ამ საქმეში", – დასძენს თქმულება.

ხალხური თქმულება „რუსთაველი ახალციხეში",[1] რომელიც მ. ჩიქოვანმა 1937 წელს ჩაიწერა ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშში რ. მელიქაძესაგან, მოგვითხრობს, რომ, ხალხის რწმენით, თამარ მეფის დროს ახალციხეში ყველაზე სწავლული ხალხი ცხოვრობდა. შოთა რუსთაველიც „თამარ დედოფლის პირველი ნასწავლი კაცი ყოფილა. მისი ნათქვამია: „ლომის შვილი ლომი არის, გინდ ძუ იყოს, გინდ – ხვადიო".

თქმულების თანახმად, შოთა რისთაველი თამარის მრჩეველი ყოფილა: „შოთა რუსთაველი თამარის მწერალი ყოფილა, ჭკვიანი კაცი და სულ მას ეკითხებოდნენ, თუ რამე დიდი საქმე იქნებოდა".

გენიალური „ვეფხისტყაოსნის"' ავტორს, ხალხის რწმენით, სრული პატივი ენიჭებოდა, ყოფილიყო საქართველოს დიდებული მეფის კარის მწერალი: „თამარი შოთას აწერიებდა წიგნებს", – ამბობს ახალციხელი მთქმელი და ამ განცხადებაში ირეკლება „ვეფხისტყაოსნისეული" სიბრძნე-შეგონებანი, პათოსი და, ამავე დროს, ღირსებისა და პატივის ორმხრივი თანხვედრილობაც.

თქმულებაში მოხმობილია, აგრეთვე, ხალხის მიერ შოთა რუსთაველისადმი მიკუთვნებული აფორიზმის

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 129.

მოკლე ვარიანტი, რომელიც უმთავრესად შემორჩა ზემოთ განხილული თქმულების – „სტუმრად კახაბერთან" – ვარიანტებში:

ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად – ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა.

შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ციკლის ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი საინტერესო მხარეა „ვეფხისტყაოსნის" ცალკეული სტროფების შექმნის მიზეზთა ძიება. მართალია, ამგვარი მცდელობა ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი ერთგვარი გულუბრყვილობაა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია იმით, რომ გამოხატავს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემისა და მისი ადრესატისადმი ხალხის გაუნელებელ სიყვარულსა და პატივისცემას.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ახალციხის რაიონის სოფელ ტოლოშში 1937 წელს ჩაწერილი თქმულება „ქალის მეფობა შოთამ დააკანონა"[1] და იმავე წელს სოფელ ჩუნჩხაში ჩაწერილი თქმულება „რაზე თქვა შოთამ „ლეკვი ლომისა სწორია", რომელიც შოთა რუსთაველის ეპოქალური სტრიქონების ერთგვარ პრიმიტიულ ხალხურ ეტიმოლოგიას იძლევიან: „როცა თამარ მეფეს ტახტი დაულოცეს, სთქვეს: „ – ეს ქალია და ვინ იცის, გამოდგება თუ არა მეფეთაო. მაშინ შოთა რუსთაველმა უთხრა:

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 122.

– ლეკვი ლომისა სწორია,
თუნდ ძუ იყვეს, თუნდ ხვადიო“.

მესხური თქმულება „რატომ სთქვა შოთამ „ესე ამბავი სპარსული“[1], რომელიც 1937 წელს მ. ჩიქოვანმა ჩაიწერა მესხეთში , სოფელ უდეში, შოთა რუსთაველს წარმოგვიდგენს თამართან ძალზე დაახლოვებულ პიროვნებად, რომელიც „ცოტას ეხუმრებოდა თამარსაო“. მთქმელის განმარტებით, ამის შესახებ უთქვამს პოეტს:

– მე, რუსთველი, ხელობითა
ვიქ საქმესა ამა დარი,
ვის მორჩილობს ჯარი სპარსთა,
მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.
დაუძლურდი, მიჯნურთათვის
კვლავ წამალი არსად არი.
ანუ მომცა განკურნება,
ანუ მიწა მე სამარი.“

სასახლის დიდებულები დაეჭვებულან, თუ ვისთვის „კვდებოდა“ რუსთველი. „ამის გამო, რომ ეჭვი გაექრო, დაუმატა შემდეგი:

ესე [illegible]ვი სპარსული,
ქართ[illegible]დ ნათარგმანები,
ვით ძარ[illegible]ვალიტი ობოლი,
ხელიხ[illegible]ით საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გამოვსთქვი,
საქმე ვქენ საჭოჭმანები.

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 121-122.

ჩემმა ხელმქმნელმა დამმართოს
ლაღმან და ლამაზმანები“.

თქმულების საერთო პათოსი და მისი ლექსითი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გაუცხოების ცნობილი ხერხის ერთგვარ ხალხურ გამოვლინებად გვესახება.

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ახლობლობასა და მეგობრობაზე არაერთი ხალხური თქმულება-გადმოცემაა შექმნილი. თქმულება „რუსთაველი და სვანეთის მთავარი“[1] მოგვითხრობს: თამარ მეფის დროს სვანეთის მთავარს ცოლად უთხოვია ერთ-ერთი ერისთავის ქალიშვილი. საქორწილო ლხინზე თამარიც მიუწვევიათ, მას კი სვანეთში შოთა რუსთაველი წაუყვანია, „ვით ახლო მეგობარი და იშვიათი მომღერალი, მელექსე, მოსაკრავე“.

ერისთავის ასულის სამზითვო სიაში, ტრადიციისამებრ, „ვეფხისტყაოსანიც“ ყოფილა. სასიძოს, სია რომ წაუკითხავს, ჩაულაპარაკნია:

„ – რაში გამომადგებაო“.

ეს სიტყვები შოთა რუსთაველს ძალიან სწყენია, აუღია საკრავი და დაუმღერებია:

ქალი მყავდა ედემს ზრდილი,
ოქრო, ხუჭუჭთმაოსანი,
გავათხოვე, მზითვად მივეც
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.
ისევ უკან დამიბრუნა
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.[2]

---

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 168.
2 იქვე.

თქმულებაში ჩართული ლექსი, ბუნებრივია, გამოძახილია შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ მზითევში გატანების ტრადიციისა. ეს ლექსი ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მისი ერთ-ერთი ლეჩხუმური ვარიანტი ამგვარია:

ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული, კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.
წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ,
თურმე, იყვნენ ვიროსანი,
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ლეჩხუმში, სოფელ ცხუკუშერში, მცხოვრები იასონ ჩიქოვანისაგან 1938 წელს მიხეილ ჩიქოვანის მიერ თბილისში ჩაწერილი თქმულება – „ცეცხლიდან გამოტაცებული „ვეფხისტყაოსანი“[1] ერთგვარად ეხმიანება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ თამარის ციკლის ლეგენდას გორის ჯვრის ეკლესიის შესახებ, რომელიც თამარ მეფეს წარმოგვიდგენს იმპულსური ხასიათის (თუმცა შემდგომში – მონანიედ) პიროვნებად.

თქმულების თანახმად, თამარ მეფე ხშირად ავალებდა შოთა რუსთაველს წიგნების დაწერას. ერთხელაც სამიჯნურო პოემის დაწერა უთხოვია.

„ – თუ ამას შემისრულებ, რასაც მთხოვ, აგისრულებო“, – უთქვამს თამარს.

---

1 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 173.

თურმე, თამარი იმედოვნებდა, რომ რუსთაველი ვერ შეძლებდა მისი თხოვნის შესრულებას, მაგრამ, როცა დაუნახავს მასთან წიგნებით მისული პოეტი, შეფიქრიანებულა დედოფალი: „ამას მე რასაც მთხოვს, იმის შესრულებას დავპირდი და, ვაითუ ახლა თავი მთხოვოსო!“ შეშინებული „თამარ დედოფალი მიჰგებებია წინ, წაურთმევია გულმოსულს შოთასათვის ქაღალდები და ცეცხლში ჩაუყრია“. რუსთაველს ძალიან გაჰკვირვებია თამარის საქციელი, „სწყენია კიდეც, მივარდნილა ბუხართან და ნაწილის ამოღება მოუსწრია. ახლა ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ სწორედ ის ნაწილი გვაქვს, რომელიც, თურმე, შოთამ ცეცხლს გამოსტაცა“, – დასძენს თქმულება.

ლეჩხუმურ თქმულებაში წარმოჩენილი თამარის საქციელი, რომელსაც მთქმელი „შიშითა“ თუ „შეფიქრიანებულობით“ ხსნის, ჩვენი აზრით, ნასაზრდოებია ხალხში გავრცელებული შეხედულებით, თითქოს ანტონ კათალიკოსის ბრძანებით საეკლესიო პირებმა ცეცხლს მისცეს შოთას „ვეფხისტყაოსანი“. ამ შემთხვევაში შოთას პოემის ცეცხლში ჩაგდება თამარს მიეწერება, რაც ერთის მხრივ ანაქრონიზმია, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ აპოლოგიას, რადგანაც პოემის ის ნაწილი, რაც, თქმულების მიხედვით, თითქოსდა შოთამ ცეცხლს გამოსტაცა, არის ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული სიბრძნისა და გენის საამაყო გამოვლინებაა; ხოლო, ხალხის რწმენის თანახმად, ცეცხლში დამწვარი ნაწილის გადარჩენის შემთხვევაში პოემა კიდევ უფრო მეტი სიბრძნით იქნებოდაო წარმოჩენილი.

მესხეთში, სოფელ ბარალეთში, 1938 წელს დაფიქსირებული თქმულების – „შოთა რუსთაველი და თამარ დედოფალი"[1] – თანახმად, შოთა რუსთაველი და თამარ მეფე და-ძმანი ყოფილან.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა, რომელმაც უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული ჟანრობრივად მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუში უძღვნა თავის დიდებულსა და უძვირფასეს მეფეს – თამარ დედოფალს, მის ტოლად და სწორად, მისი ზნეობის, სიდიადის, სიბრძნისა და სიქველის ჯუფთად შოთა რუსთაველი მიიჩნია.

ხალხურ პოეზიასა და პროზაში გამორჩეული ადგილი უკავია თამარისა და შოთას მიჯნურობას, თუმცა, ხალხი თანაუგრძნობს იმ გარემოებას, რომ, მისი რწმენით, სახელმწიფოს მმართველობამ ხელი შეუშალა თამარს, როგორც ქალს, და ნებაყოფლობით თქვა უარი პირად გრძნობებზე; ზოგი თქმულების თანახმად, ისინი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ და გრძნობების სათავეც იქიდან იწყებოდა.

თქმულებათა ერთი ნაწილის თანახმად, თამარი თვითონ ეძიებს დიდებული პოეტის ხელს, მაგრამ შოთა მეუღლის ერთგული აღმოჩნდება; თქმულების სხვა ვერსიით, თამარს ერთდროულად ეტრფიან შოთა და მისი ძმა ავთანდილი. ხალხის ფანტაზიამ შოთა რუსთაველის სამშობლოდან გადახვეწა თამარისადმი ტრფობას დაუკავშირა.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 110-111.

რამდენად ფანტაზიურადაც უნდა მივიჩნიოთ სულმნათი შოთას ზეპირსიტყვიერი ბიოგრაფია, ერთი რამ ცხადზე ცხადია: თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების პათოსს უხვად კვებავს ერთის მხრივ შოთას გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და მეორე მხრივ – ამ ორი დიდი პიროვნების მშობელი ხალხის სურვილი და მისწრაფება – თამარ მეფე და შოთა რუსთაველი ერთმანეთის გვერდით მოიხსენიონ, ერთმანეთისადმი სიყვარულითა და პატივისცემის უშრეტი გრძნობით გამსჭვალულებად წარმოაჩინონ.

თამარ მეფე ჩვენებურთა ფოლკლორში

ბოლოდროინდელი კვლევებით[1] დასტურდება, რომ ისტორიული შავშეთის სოფლებში ჯერ კიდევ ახსოვთ ზოგიერთი საისტორიო თქმულება-გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ საისტორიო ფოლკლორი ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მდიდარი უბანია; თავის დროზე, ალბათ, ამგვარი ვითარება იქნებოდა ძირძველ ქართულ რეგიონში – შავშეთში, თუმცა, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დღეისათვის ძალზე მწირად გამოიყურება. რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპის (1877-1878) დაწყების წინ, 1874 წლის გაზაფხულზე, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში, რუსეთის მთავრობის დავალებით, დაზვერვითი სამუშაოს ჩასატარებლად იმოგზაურა და ეს რეგიონები აღწერა გიორგი ყაზბეგმა ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში". შავშთა საისტორიო ზეპირსიტყვიერების თაობაზე იგი მიუთითებდა: „ისტორიული გადმოცემები შავშეთში ძალზე ღარიბია.

---

1 თ. შიოშვილი, შავშური პატრიოტული ლირიკა. – საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, ბათ., 2010, გვ. 39-44; მისივე, იმერხეული ფოლკლორი. – ჟ. „ჭოროხი", №11, ბათ., 2005, გვ. 103-106; მისივე, საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექსსიმღერები იმერხეულ ფოლკლორში. – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIII, ბათ., 2009, გვ. 199-208; მისივე, წყევლა შავშურ ფოლკლორში. – კრებ. „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ტ. II, ბათ., 2010, გვ. 122-129; მისივე, შავშური ფოლკლორი. – მონოგრაფიაში „შავშეთი", თბ., 2011, გვ. 143-218; 472-568.

ყველა მონათხრობი იმეორებს ბეგების გვარის ისტორიას. შავშეთში ასეთი სამია: ძველი სამცხის ათაბაგები, იმერხევის ათაბაგები და ბეგები ხიმშიაშვილთა გვარიდან[1].

მიუხედავად საისტორიო თქმულება-გადმოცემათა სიმწირისა, შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონში და განსაკუთრებით აჭარაში, ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობს თამარ მეფის სახელი. ხსოვნა ქართველთა საამაყო მეფე ქალისა ამ კუთხის მკვიდრთა მეხსიერებასაც შეუბღალავად შემოუნახავს. თავის დროზე თერდო სახოკია მიუთითებდა აჭარელთა მიერ ყოველი ნაგებობის თამარის ეპოქაში აშენებულად მიჩნევაზე[2]; შავშთა შორისაც იგივე ვითარება დავაფიქსირეთ; აქაური ქართველებიც ყოველ ხიდსა თუ ციხესიმაგრეს თამარ დედოფალს მიაკუთვნებენ და დიდი ენთუზიაზმით ყვებიან საარაკო მეფის შესახებ. „აქავრი თამარას ყალეები არიან. ხევიდან დუუმწკრივებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევდენ ქვებ, ჩვენი (სოფ. სვირევანის – თ.შ.) ყალე ისე უუშენებია“, – სიამაყით განუცხადა პროფესორ მერი ცინცაძეს 75 წლის სვირევნელმა ვაჰად ყისამ[3]. შავშური თქმულებაც სვირევანის ციხის აშენების თაობაზე სწორედ ამგვარ გადმოცემათა ციკლს განეკუთვნება და ეხმიანება საერთოქართულ ფოლკლორულ ტრადიციას.

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში გიორგი ყაზბეგი,

---

1 გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995, გვ. 4.

2 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 200.

3 მ. ფალავა, მ. ცინცაძე, იმერხეული ტექსტები, – შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათ., 2007, გვ. 279.

საუბრობს რა ტბეთის სახელგანთქმული ტაძრის გრანდიოზულობასა და მის აშენებაში გამოყენებულ მასალაზე, წერს: „სოფლის გარეუბანში ამ ჯიშის ქვა არ მოიპოვება. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მთელი სამშენებლო მასალა დაამზადეს ამ სოფლიდან ოცი ვერსის დაშორებით. ქვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ აუარებელი მშენებლები, რომლებიც ერთ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ქვის სამტეხლოდან სამშენებლო მოედნამდე. მსგავსი იგავები თურქეთის საქართველოს სხვა დიდი ტაძრების შესახებაც გავიგონე".[1]

თამარ მეფეს, როგორც ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების დაუღალავ მშენებელს, კარგად იცნობს ზოგადქართულ ფოლკლორში თავჩენილი თქმულება-გადმოცემები. ერთ-ერთი აჭარული თქმულების თანახმად, „ეს ყალიები, ეს ციხეები გააკეთა თამარ დედოფალმა. მაგას ყავდა ბევრი მოწინააღმდეგე. მისდევდნენ, მოსდევდნენ, მარა თამარი გევდოდა, გააკეთებდა ყალეს; მოაწევდა ისე საქმე, ველარ დადგებოდა, გევდოდა სხვა ყალეში. ყალეს აკეთებდა ასე: დააგროვებდნენ ქვას, ეინკაპებოდნენ, აძლევდნენ ხელიდან ხელში და კეთდებოდა მაგრე; იმფო და იმფო მაგარს აკეთებდა!"

სამშენებლო მასალის ხელიდან ხელში მიწოდების ამგვარ ხერხს თამარის ეპოქის მშენებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ქართული თქმულება-

1 გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

გადმოცემა იცნობს.[1] ერთ-ერთი მათგანია აჭარაში გავრცელებული ხირხათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული ზემოთ განხილული თქმულება-გადმოცემა, რომლის დასასრულსაც მთქმელი სიამაყით აღნიშნავს: „ ... ღელიდან ხირხათის ჭიშკრამდინ ხელიდან ხელში აქვან ატანილი ქვები. იმდენი ხალხი ჰყავდა თამარ მეფეს, იმფერი ძალა ჰქონდა თამარ მეფეს!"[2]

თამარის მიერ წარმოებული მშენებლობის ამ სტილზე მიუთითებს, აგრეთვე, მამია ფაღავასა და თინა შიოშვილის მიერ 2005 წელს სოფელ უსტამისში ჩაწერილი გადმოცემა, რომლის თანახმადაც „უსტამის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა, ქომოთ ჴევიდან ხელში უძლევიან ქვა, ისე ამუუტანიან".[3]

თამარ მეფის მიერ აშენებულ ციხესიმაგრეთა შორის არსებული დამაკავშირებელი გვირაბების თემა ძალზე პოპულარულია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და მას საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვხვდებით. ამ ციკლის გადმოცემა დააფიქსირა პროფესორმა რამაზ ხალვაშმა სოფელ უსტამიში 2005 წელს (მთქმელი ეუბ ალთუნი): „ამბობენ ქი, ჴელიდან ჴელზე ქვიები ამუუტანიან ყალეზე ჭორუღიდან თამარა დოდოფალი დროში... ქვიები დუუგზელებიან და დუუკოჭიან... შავშეთ ყალე არია, იქამდე გადიოდა თუნელი".[4]

---

1 თ. შიოშვილი, თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების ზნეობრივი მრწამსი. – მონოგრაფიაში „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო", ტ. II, ბათ., 2004, გვ. 284.

2 იქვე, გვ. 285.

3 „შავშეთი", თბ., 2011, გვ. 503.

4 იქვე.

ქართულ ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული თქმულება-გადმოცემები და ლეგენდები თამარის გარდაცვალებასა და გასაიდუმლოებული საფლავის თემაზე, რომელთა მიხედვითაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იჩემებს, რომ დიდებული მეფე სწორედ იქ მარხია. შავშურმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა ლეგენდა თამარ მეფის გარდაცვალებისა და დასაფლავების ადგილის შესახებ. ამ ლეგენდის თანახმადაც, ისევე როგორც საერთოქართული ფოლკლორული წყაროების მიხედვით, თამარს მტრები ყავდა, „დუშმანებ მეეკლეს'ნა"; მან კი დაიბარა თავისი ხალხი და უბრძანა, მოეკლათ და ისეთ ადგილას დაესაფლავებინათ, სადაც მტერი ვერ მიაგნებდა; შემდეგ კი თავები დაეხოცათ, რათა საიდუმლო არ გაეცათ:

„ – ენ წინ მე'ნა მომკლათ, იმითანა ალაგ ჩამფლათ'ნა ქი, ვერ შემეყარნენ ჩემ მეზარზე. მე ქი ჩამფლავთ, თქვენი თავი'ნა დეიჴოცოთ'ნა! და ერთმანეთი დუუხოციან".[1]

იმერხევში, სოფელ ბაზგირეთის ზემოთ მდებარე საზგირელას მთაზე, ადამიანის ძვლები უპოვიათ და ლეგენდის მთქმელის – ეუბ ალთუნის – გადმოცემით, ეს „ძვლიები თამარა დედოფლის ყორუმის ძვლიები არიო".[2]

მართალია, უსტამისურმა ლეგენდამ ვეღარ შემოინახა ხსოვნა იმისა, თუ ვინ იყვნენ თამარის დუშმანები და რატომ

---

1 რ. ხალვაში, იმერხეული ფოლკლორი (სოფელი ბაზგირეთი). – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათ., 2007, გვ. 312; „შავშეთი", გვ. 503.

2 „შავშეთი", გვ. 503.

ემტერებოდნენ, მაგრამ თავად ლეგენდა ზოგადქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილ გარეშე მტრებისა თუ თამარის ხელის მთხოვნელი ჯიუტი სულთნების თემას განეკუთვნება და თვალნათლივ მიუთითებს, რომ თამარ მეფის ციკლის შავშური საისტორიო ფოლკლორი საერთოქართულის ორგანული შემადგენელი ნაწილია, თუმცა – ჩვენებურთა მეხსიერებაში ერთობ კნინად შემონახული.

ქართველ მუჰაჯირთა მფოლკლორში შემორჩენილი თამარ მეფის ციკლის ერთ-ერთი თქმულებით,[1] თამარის გამეფებას ვერ შეგუებია მისი ძმა და ომი დაუწყია მის წინააღმდეგ. თამარს დაუჭაბნია მეამბოხე ძმა და დაუტყვევებია, თუმცა არაფერი დაუშავებია, „ლამაზათ შეხვედრია"; ძმის მომხრე მეომრები კი დაუპატიმრებია და შემდეგ მონებად დაუყიდია.

თქმულება მოგვითხრობს, აგრეთვე, იმის თაობაზე, თუ რატომ ეძახიან ჩვენებურები აბაზებს „კაბიანებს": მეამბოხეთა შორის ყოფილან აბაზებიც. ისინი, თურმე, არავინ იყიდა. მიზეზად თამარისათვის მოუხსენიებიათ, რომ ვერ ხვდებიან, ვინ არიანო. „მაგათ კაბები ჩააცვით, გეიყუანეთ და გეიყიდვიანო", – უბრძანებია მეფეს. „კაბიანებ„ იმითვინ უძახიან აბაზებსა", – დასძენს თქმულება.[2]

შავშეთში მღვიმურ სათავსოებს, ეგრეთწოდებულ „მაღარებს", რომლებიც ბოლო დრომდეა შემორჩენილი

1 შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993, გვ. 49.
2 იქვე.

რამდენიმე სოფელში, ადგილობრივები, სხვა სიძველეთა მსგავსად, თამარის სახელს უკავშირებენ; თუმცა, როგორც პროფესორი მამია ფაღავა მიუთითებს, „ეს მაღარები გაცილებით ძველია, ვიდრე თამარის ეპოქა“.[1] ამ მაღარების საკუთარი თვალით მხილველი ბატონი მამია ფაღავა თავის შესანიშნავ წიგნში „შავშური ჩანაწერები“ აღნიშნავს: „მაღარები დღეს ლეგენდაა, ოდენ – ლამაზი ლეგენდა... ასეთი თქმულებები კი მას შემდეგ ჩნდება, როცა დავიწყებას ეძლევა სინამდვილე“.[2]

ქართული ფოლკლორის მუდმივი თანამდევი თამარ მეფის უკვდავი სახე ფერუცვლელად შემორჩა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებასაც. თამარს ჩვენებურები „დიდ დედად“ მოიხსენიებენ და მის დიდებულ აჩრდილს შესჩივიან, რომ შორს არიან საქართველოდან; ისინი თამარ დედოფალს შესთხოვენ, შემწეობა აღმოუჩინოს სამშობლოდან მოშორებულთ. ქართველ მუჰაჯირთა შორის პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ დააფიქსირა მშვენიერი ლექს-სიმღერა თამარ დედაზე:

ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ...

---

1 მ. ფაღავა, ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დრიურები, ბათ., 2012, გვ. 11.

2 მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ., 2011, გვ. 90.

ზითვალ გიგავს პირიო,
მე შენთვინა და ვტირიო,
რას დაგვაკლებს მტერიო,
მეც იმაზე ვმღერიო.
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ...
ჩუენო დიდო დედაო,
ეს რა დეგვებედაო!
ჩუენო დიდო ანაო,
აქ რამ და მოგვიყუანაო.
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ!..
შორ დიგვირჩა მემლექეთი,
ღმერთო, მეგვე ბერექეთი!
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ![1]

ტექსტს ახლავს მთქმელის კომენტარი: „ქამარ დოდოფალი ყოფილა ზამანუნდა.[2] ხალხსა ძალუან ყუარებიან, გაჭირვებულსა, დეთიმსა,[3] ქრივსა, ავატყოფსა ეხმარებოდა მეგემ[4] და იმი გულობაჲ. მისი გაკეთებული

1 შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993, გვ. 55.
2 წინათ (თურქ.)
3 ობოლს (თურქ.)
4 თურმე (თურქ.)

ქემერქოფრები[1] ბევრია შავშეთ, აჭარას, ასისხას."[2]

შავშური და აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერების შესწავლა ადასტურებს, რომ როგორც ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა, ისე მუჰაჯირთა მემკვიდრე ჩვენებურებმა ბოლო დრომდე შემოინახეს თამარ მეფის ციკლის საისტორიო თქმულება-გადმოცემები, რომლებიც ეხება თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ გრანდიოზულ მშენებლობებს, თამარის სიკვდილსა და დასაფლავების საიდუმლოს, თამარის მშვენიერების ქებასა და ისტორიული სამშობლოს მონატრებას, რაც მათი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის საერთოქართულ ძირებზე მიუთითებს.

1 თაღიანი ხიდები (თურქ.)
2 მესხეთში (თურქ.)

„არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა...“

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა მრავალი თქმულება-გადმოცემა და ლეგენდა თამარის გარდაცვალებისა და დასაფლავების ადგილის შესახებ. მათი ერთი ნაწილი ნასაზრდოებია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში კარგად ცნობილი გმირთა უკვდავებისა და მათი ზეცასთან კავშირის მოტივებით.

მემატიანენი გვაუწყებენ, რომ თამარის ნეშტი თბილისიდან ჯერ მცხეთაში გადაასვენეს, შემდეგ – გელათში, სადაც საგვარეულო სასაფლაოზე დამარხეს: „და წარიყვანეს სამკუდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“;[1] „... მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თჳთ მუნვე გელათს დაამკვიდრეს თჳსსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკუდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა მეფეთა თანა“.[2]

ისტორიკოსთა ცნობების მიუხედავად, თამარის საფლავი გელათში დღემდე მიუკვლეველია. ალბათ, ეს გახდა მიზეზი სახალხო მგოსანთა გულისტკივილისა (“ის მნათობი ქვეყნიერი მკვდარიც ვერ პოვეს, სად არი“) და თამარის საფლავის შესახებ არსებული მრავალი თქმულება-გადმოცემისა და ლეგენდისა, რომელთა მიხედვითაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იჩემებს, რომ დიდებული მეფე სწორედ იქ განისვენებს.

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 113.

2 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – იქვე, გვ. 146.

თამარის საფლავის ადგილსამყოფელის გასაიდუმლების საჭიროებაზე ერთხმად მიუთითებენ ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების როგორც პოეტური, ისე პროზაული ნაწარმოებები; ამის მიზეზი კი ის არის, რომ, ხალხში გავრცელებული რწმენის თანახმად, ქართველთა წინამძღვრის, უსაყვარლესი მეფის საფლავს წაბილწვა ემუქრება მისი მტრებისაგან თუ მისი ხელის ჯიუტი მთხოვნელი მაჰმადიანი სულთნებისაგან. ერთი ხალხური ლექსის თანახმად, სულთანი იმუქრებოდა:

ოდეს მოკვდება მეფეო –
ქართველთა წინამძღვარია,
მაშინ წავალო, – სულთანმა, –
ვაოხრო ქართველთ მზღვარია!
სადაც დამარხვენ მეფესა,
უქმნა მის საფლავს ძვრანია,
ცოცხალს ვერ ვუყავ, რაც მწადდა,
მკვდარსა ვყოფ შენასვარია.[1]

ქართული ხალხური თქმულება-გადმოცემები თუ ლეგენდები ამასვე ადასტურებენ. თქმულება „თამარის საფლავი" გვაუწყებს: „თათრები ემუქრებოდნენ თამარს, თურმე:

– ცოცხალი ვერ ჩაგიგდეთ ხელში, მკვდარს მაინც გაწამებთო.

ამიტომ არ ვიცით თამარის საფლავი. რამოდენიმე სასახლე გაუკეთებიათ და ერთი იქით წაულიათ, მეორე –

1 ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1990, გვ. 46.

აქეთ. ერთ-ერთში ყოფილა თამარი, თურმე".[1]

იმერული ლეგენდის – „თამარ მეფის საფლავი გელათში" – თანახმად, „შახაბაზი დამუქრებია თამარს, სტამბოლი რომ ჩამოართვა თამარმა მოხერხებით... ამ მოტყუებისთვის დამუქრებია:

„ – ცოცხალი ხომ ვერ ჩაგიგდე ხელში და მკვდარს მაინც გიშოვიო!"[2] ლეგენდის მიხედვით, თამარის გარდაცვალების შემდეგ დასაფლავების ადგილის შესარჩევად დიდი დავა გამართულა. „... არავის არ უნდა ცოდნოდა, სად არის დასაფლავებული, გარდა თავის ოჯახისა... ექვს კუთხეს ყველას მუუთხოვია, ჩვენთან უნდა იქნესო. გაუკეთებიათ ექვსი სასახლე, ექვსივე ერთნაირი, ოქროებში გაკეთებული, უბრალო კი არა! ვერ გაარჩევდა ერთმანეთისაგან ვერაფერი ადამიანი. ხოლო მუუთხოვია თითო ოჯახიდან ოთხი ძმა. ამ ოთხ ძმას წეყვანათ ეს თამარი. რომ დაასაფლავებდნენ იმას, მათი დაბრუნება იქიდან აღარ შეიძლებოდა, საიდუმლოება არ უნდა წასულიყო – ის ოთხი ძმა იქ უნდა დარჩენილიყო... მომკვდარიყო უნდა იქ... ეს იყო მისი ანდერძი; ამიტომ არ იციან, სად არის".[3]

ბორჩალოური ლეგენდა „თამარ მეფის საფლავი ვარძიაში" გვამცნობს, რომ ულამაზესი თამარ მეფის ცოლად შერთვა ბევრს სურდა და მათ შორის – ოსმალოს დიდ ფაშასაც. „... ერთხელ ოსმალოს დიდმა ფაშამ შემოუთვალა თამარ მეფეს, უთუოდ ცოლად უნდა

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 275.
2 იქვე, 99.
3 იქვე.

გამომყვეო. თამარ მეფე ძლიერ განრისხდა და უარი შეუთვალა. ფაშამ უარის თქმა იწყინა და თამარ მეფეს შემოუთვალა: თუ ცოცხალი ვერ გიხილე, სიკვდილის შემდეგ უთუოდ ამოვიღებ სამარიდან შენს გვამს და დავატყვევებო".[1]

საქართველოს ღვთივკურთხეულ მეფეს, ვინც სამშობლოს დიდება და ძლევამოსილება შესძინა, მართლაც, დიდძალი მტერი ყავდა სიცოცხლეში. ეს რეალობაც საკმაო საფუძველს აძლევდა ხალხის ფანტაზიას, შეეთხზა მისი საფლავის გასაიდუმლოების მოტივის შემცველი ლეგენდა. ერთი ხალხური ლექსის მიხედვით, თამარ მეფეს სიკვდილის წინ ანდერძი დაუტოვებია:

ანდერძი ნახეს მეფისა
თამარის დატოვებული:
ჰქმენითო სამი კუბონი
თვალ-ოქროთ გამშვენებული.
ერთი დამარხეთ მცხეთასა,
ერთი – ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში,
არ მყონ თათართა ვნებული.[2]

ზემოთ ნახსენები ბორჩალოური ლეგენდა „თამარ მეფის საფლავი ვარძიაში"[3] გვაუწყებს: ოსმალთა დიდი ფაშის მუქარამ, სიკვდილის შემდეგ შენს გვამს დავატყვევებო, დააფიქრა თამარ მეფე. ბევრი ფიქრის შემდეგ იგი შეუდგა ვარძიის მონასტრის აშენებას; რომ

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 100.
2 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 47.
3 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 100-101.

დაასრულა, გაათლევინა სამი ბოძი და მხლებლებს უბრძანა:

„ – როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში მიწის პირად დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს მაშინ შეუდგითო“.

კარისკაცებმა შეასრულეს მეფის ანდერძი: მონასტერში დაასაფლავეს უნიშნოდ და სამივე ბოძი მონასტრის ჭერს შეუდგეს.

ოსმალეთის ფაშა მრავალრიცხოვანი ჯარით შემოესია საქართველოს და პირდაპირ ვარძიის მონასტერს მიადგა, დაიბარა კარისკაცები და ჰკითხა, სად ასაფლავიაო თამარი. ერთ-ერთი გამოტყდა და მოახსენა, მონასტერშია დასაფლავებულიო და სამ ბოძზე მიუთითა.

შევიდა ფაშა მონასტერში, დაიბნა, არ იცოდა, რომელი ბოძი გადმოექცია, რომ თამარი საფლავიდან ამოელო. ჯერ პირველ ბოძს მიადგა და ნგრევა დაუწყო. ბოძმა ხმა გამოსცა:

„ – მე ტყუილად მანგრევ! აგე, ამ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარი დასაფლავებულიო“.

ასე უთხრეს მეორე და მესამე ბოძებმაც.

„გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და თქვა:

– ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასო!“

ღმერთს თაყვანი სცა, შენდობა სთხოვა და დატოვა ოსმალეთის დიდმა ფაშამ ვარძიის მონასტერი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმერული თქმულებით

("თამარ მეფის საფლავი გელათში")[1], თამარისადმი განუსაზღვრელი სიყვარულისა და თაყვანისცემის ნიშნად, საქართველოს ყველა კუთხეს სურვილი ჰქონდა, მათთან დასაფლავებულიყო ძვირფასი მეფე. თამარს სიცოცხლეშივე განუცხადებია თანხმობა ყველასათვის. სიკვდილის შემდეგ ექვსი ერთნაირი კუბო გაუკეთებიათ, ოთხ ძმას დაუმარხავს და თავები დაუხოცავთ, რათა უნებლიედ არ გაეცათ საფლავის საიდუმლო და შახაბასს დანაპირები არ შეესრულებინა – ხელში არ ჩაეგდო თამარის ცხედარი.

ლეგენდის ერთი ვარიანტი ("თამარის დასაფლავება")[2] თამარს და დავითს მამა-შვილად აცხადებს და ორივეს გელათში დასაფლავებულად მიიჩნევს. „ამ მამა-შვილს ისეთი სიყვარული ჰქონდათ, რომ გელათს არ დაშორდებოდნენ. თამარი რომ მომკვდარა, ოსმალების შიში ჰქონია ხალხს და მისი დასაფლავება ერთ წმინდან ბერს მიანდვეს. რომ დაუსაფლავებია თამარი, თავი მოუკლავს ამ ბერს, რომ მოვბრუნდე შინ, მაინც მათქმევინებენ ამასო და ისევ საკუთარი ხელით თავი მოვიკლა, ჯობია დროზეო".

აჭარაში გავრცელებული ლეგენდა „თამარის დასაფლავება"[3] გვაუწყებს: „ერთ დიდ ფაშას ძალვან უნდოდა თამარის ქალად წაყვანა, მარა ვერ ჩეიგდო ხელში. ბოლოს თქვა, კდარს ჩევიგდებო.

თამარ მეფე რომ მოკდა, ე ფაშა ჯარით შამეესია. ორმა ვინცხამ მეიგონა, რომ შვიდი სალაჯა გავაკეთოთ

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 99.
2 იქვე, გვ. 275.
3 ბ ს კ ი ფ ა, საქმე №269, გვ. 219-220.

და შვიდნიენ მხარეს, სხვადასხვა მხარეს, წევლოთო. მართლაც, ასე ქნეს. არვინ იცოდა, რომელში იყო თამარი. ი კუბვები სხვადასხვა ადგილებში ჩაფლეს.

სინამდვილე მარტო იმ ორმა ბიჭმა იცოდა. ვინმესთან არ წაგვცდეს, ან ძალით არ გვათქმევიონო, თავი მოუკლამთ. დღესაც ვინმემ არ იცის, ჰადაა თამარი დამარხული", – დასძენს ლეგენდა.

სვანებს მტკიცედ სწამთ, რომ თამარი სვანეთშია დასაფლავებული. ერთ-ერთ თქმულებას – „თამარ მეფის საფლავი სვანეთში"[1] – მთქმელი ასე იწყებს: „თამარ მეფე, ცხადია, რომ სვანეთში მარხია, ეს გათავებული ანგარიშია... მას სვანეთში, უშგულში, ჰქონდა სადგომი... თამარის საფლავზე უშგულში ბევრი ნაძვებია და ვერავინ გაიგო; ეს კი ცხადია, რომ იქ მარხია... „

სვანეთში თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ არსებულ თქმულებათა ერთ-ერთ ვარიანტს ვეცნობით ალექსანდრე ხახანაშვილის კრებულში.[2] ამ ვარიანტის თანახმად, სვანები განსაკუთრებულად უფრთხილდებიან ადგილს, სადაც, მათი აზრით, თამარის ნეშტი განისვენებს, რადგანაც მას უკავშირებენ სვანეთის დოვლათიანობას.[3] საყურადღებოა, რომ სვანეთში საველე მუშაობისას პროფ. ქსენია სიხარულიძეს უთხოვია მთქმელისათვის, მოეყოლა თქმულება თამარის დასაფლავებაზე. მთქმელი განრისხებულა, რამაც მეცნიერი კიდევ ერთხელ დაარწმუნა ალ.

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 101.
2 **А. Хаханашвили**, დასახ. ნაშრ., გვ. 58-63; 281-292.
3 იქვე, გვ. 276.

ხახანაშვილისეული ცნობის სისწორეში, რომ სვანები „თამარის ნეშტს უკავშირებდნენ ბარაქიანობას და ეშინოდათ, არავის მოეპარა იგი".[1] ვფიქრობთ, თამარ მეფისათვის დოვლათიანობის ფუნქციის მინიჭებასთან ერთად, სვანები ბოლო დრომდე მტკიცედ იცავენ მისი საფლავის გასაიდუმლოების ტრადიციას; უფრო მეტიც – უმეტესობისათვის ეს თემა ტაბუდადებულია.

თედო სახოკიას აჭარაში ჩაუწერია ძალზე საინტერესო ლეგენდა, რომელიც თამარ მეფის გარდაცვალების ადგილზე მოგვითხრობს: უსჯულოთა მეფემ, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, დაიფიცა, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც ჩავიგდებ ხელშიო თამარს. თამარ მეფე მოხუცებულობამდე ემალებოდა მტერს. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, იხმო თორმეტი ერთგული მონა და უდაბნოში დაიმალა. მისი გარდაცვალების შემდეგ თორმეტივე მონამ საწამლავი დალია, რათა ცოცხალი არავინ გამოსულიყო იქიდან და უნებლიედ არ წამოსცდენოდათ, თუ სად განისვენებდა ქართველთა უწმინდესი მეფე. „აქ, ამ უდაბნოში, – დასძენს ლეგენდა, – დიდებული გვირგვინოსანი ოქროს აკვანში განისვენებს და შვიდი სამეფოს განძი გარშემო შემოქუჩებული აქვსო".[2]

თამარის დასაფლავების შესახებ არსებულ ლეგენდათა ერთი ნაწილის თანახმად, თამარის დაკრძალვის ადგილი მისგან დასჯილმა და ტარტაროზად ქცეულმა გამზრდელმა აურია. „როცა თამარ დედოფალი მომკვდარა

---

1 ქს. სიხარულიძა, ზეპირსიტყვიერების ტრადიცია ზემო სვანეთში. – ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, თბ., 1958, გვ. 334-395.

2 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 224-225.

და დაუსაფლავებიათ, ის გამდელი წასულა, საფლავიდან ამოუღია იმისი გვამი, წაუღია და, სადაც იმისი ადგილი ყოფილა, იქ დაუსაფლავებია; ამასთანავე, გაუკეთებინებია რამდენიმე საფლავის ქვა, ზოგზედ წაუწერია ზედ: „აქ მარხია თამარ მეფე“, სხვებზე – „აქ არ მარხია თამარ მეფე“ და მოუფენია ამ ქვებით რამდენიმე ტყე. ხალხი დაუწყებს ძებნას თამარ მეფის სასაფლაოს, იმ საფლავების ქვებს გადათხრიან, შინჯვენ, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნიან“,[1] – გვაუწყებს ოსური ლეგენდა.

თამარის ციკლის ლეგენდის ერთი ვარიანტით,[2] „თამარ მეფის გარდაცვალების ამბავი ტარტაროზ გამდელს მალე შეუტყვია. ის გაქცეულა დროზედ, გაუთხრია თამარ მეფის საფლავი, ამოუღია და იალბუზის მთაზე წაუღია თავის სადგომ ბინასთან და ერთ ალაგას დაუსაფლავებია. ხალხის შინებია მას, რომ ვაითუ გაიგოს ვინმემ, მოვიდეს, მოსძებნოს, იპოვნოს თამარის სამარე, ამოიღოს და წაიღოსო. ამიტომ ამ ტარტაროზ დედაკაცს გაუკეთებია რამდენიმე მარმარილოს ქვა, ერთ ქვაზე დაუწერია, რომ „აქ მარხია თამარ მეფე“, მეორეზე დაუწერია რომ „აქ არ მარხია თამარ მეფე“ და ასე და ამგვარად სხვა ქვებიც. მერე წაუღია ეს ქვები და ერთ ალაგას, სადაც თამარ მეფე არ ყოფილა დასაფლავებული, იქ მოუფენია და მით დაუბნელებია თამარ მეფის საფლავის ცნობა...“

თამარის გარდაცვალებისა და მისი საიდუმლო დასაფლავების ციკლის ზეპირსიტყვიერება იცნობს,

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 258.
2 იქვე, გვ. 254-256.

აგრეთვე, მსოფლიოს მრავალი ხალხის ეპოსში ასახულ გმირთა უკვდავებისა და ზეცასთან მათი კავშირის არქაულ მოტივს. პროფესორ ქსენია სიხარულიძის მიერ სვანეთში ჩაწერილი ლეგენდის ("თამარ მეფე სვანეთში") თანახმად, „თამარ დედოფალი კი არ მომკვდარა, არამედ ანგელოზებთან სძინავს. როდესაც ხალხი შეწუხდება, მძინარე თამარი გაიღვიძებს".[1]

თედო სახოკიას მიერ აჭარაში დაფიქსირებული ლეგენდის მიხედვითაც, აჭარლებს სწამთ, რომ „თამარ მეფე არ მომკვდარა, ცოცხალია და ერთ დღეს ისევ გამოჩნდება და მეთაურად დაუდგება თავის საყვარელ ხალხს, რომელიც ერთ დროს ესდენ ბედნიერი და სახელგანთქმული იყოვო".[2]

მესხური ლეგენდის[3] თანახმად, „ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა, მაგრამ არ იციან, სად არის. მისი გვამი ღმერთმა დამალა, რომ შემდეგში აღედგინა. ხალხი კი ძლიერ შეაწუხა მისმა გარდაცვალებამ, მაგრამ, რადგანაც ის მაინც უნდა აღდგეს, ამისათვის იმედს არ ჰკარგავენ და ხშირად იმღერიან ხოლმე:

აღსდეგ, თამარ დედოფალო,
შენთვის სტირის საქართველო!"

კახური ლეგენდა „თამარ დედოფალი"[4] რომელიც ერთ-ერთი სრულყოფილი ვარიანტია და ყველა ტრადიციულ მოტივს შეიცავს, გვაუწყებს: „თამარ დედოფალი მიწაზე

---

1 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 277.
2 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 225.
3 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, გვ. 85-87.
4 იქვე, გვ. 249-250.

კი არ დადიოდა, მაღლა-მაღლა დადიოდა ... წმინდანი იყო. თათარი ურჯულო როგორ იპოვიდა იმას?! თამარ დედოფალი მოკვდა, დარჩა, არავინ იცოდა, ცაზე წავიდა".

ერთ-ერთი ლეგენდით,[1] თამარი უკვდავია. მას ოქროს აკვანში სძინავს და როცა მის მშობელ ხალხს გაუჭირდება, გაიღვიძებს და ისევ გამეფდება.

თბილისში გავრცელებული ლეგენდის თანახმად, „თამარ მეფე წმინდა ქალი იყო. იგი წმინდანად არის შერაცხული. რომ გარდაიცვალა, ზეციდამ ორი ანგელოზი ჩამოვიდა, ოქროს აკვანი ჩამოიტანეს, შიგ ჩააწვინეს, ზეცას გაფრინდნენ და თამარიც თან წაიყვანეს. ამიტომაც არის, რომ მისი საფლავი დედამიწაზედ არავინ იცის. იგი არსად არის. სადაც თამარ მეფე გარდაიცვალა, იმ ალაგას რამდენიმე ხანს ნათელი იდგა".[2] ცნობილია, რომ ნათლისჩენის მოვლენას ადგილი აქვს ნაწილიან გმირთა სიკვდილის დროსაც.[3]

ხალხის რჩეულ გმირთა უკვდავებისა და ზეცასთან მათი კავშირის მოტივი ქართულ ფოლკლორში ერეკლე მორესა და სამშობლოსათვის თავდადებულ სხვა გმირთა სახელებთანაც არის დაკავშირებული. ერეკლეს გარდაცვალებაზე შექმნილ ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

... ერეკლეს სიკვდილ ვინა სთქვა,

---

1 ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, თბ., 1943, გვ. 37.
2 სოლ. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943, გვ. 109.
3 ა. არაბული, თამარ მეფის სახე ქართული ფოლკლორსა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. – ქართული ფოლკლორი, ტ. XVI, თბ., 1986, გვ. 20.

გაუხმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია.[1]

სახალხო გმირის ზეცასთან კავშირისა და უკვდავების ტრადიციული, მსოფლიოს მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში ასახული, მოტივის გამოყენებას ქართულ ფოლკლორულ სინამდვილეში და კერძოდ თამარ მეფის ციკლის საისტორიო ნაწარმოებებში სრულიად რეალური, ისტორიულ-ეროვნული საფუძველი აქვს. თამარის უკვდავობის, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს მისი გამოჩენისა და კვლავ გამეფების რწმენა ერთის მხრივ ქართველი ხალხის ჯანსაღი ოპტიმიზმის მაჩვენებელია, მეორე მხრივ კი სახალხო მთქმელთა და მთელი ერის პატრიოტული სულისკვეთების გამოხატულებაა, უდიდესი მადლიერების ნიშანია ქვეყნისათვის თავდადებული, წმინდანად შერაცხილი მეფის მიმართ.

თამარ მეფის ციკლის ქართული ხალხური შემოქმედება დიდების შარავანდედით მოსავს ქართველთათვის ღირსახსოვარსა და სამაგალითო მეფე ქალს – „მზე თამარს", აიდეალებს მის მოღვაწეობას, მის გარჯა-რუდუნებას. ქართული ფოლკლორის კოლექტიურმა ავტორმა თამარ მეფე ღმერთს გაუტოლა, ღვთისშვილად გამოაცხადა და ამით არაფრით ჩამორჩა მის ოფიციალურ ისტორიკოსს, რომელმაც, მოხიბლულმა თამარის მაღალი ზნეობითა და უბიწოებით, დაარღვია საეკლესიო

1 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 207.

დოგმატები და სათაყვანო მეფეს „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“[1] უწოდა.

* * *

ჩვენმა სახალხო მთქმელებმა საუკუნეების მანძილზე სასოებით ატარეს თავისი საარაკო მეფის სახება, უმღერეს და ქებათა ქება შეასხეს მის პატრიოტობას, შრომისმოყვარეობას, სათნოებას, გულუხვობასა და საარაკო სილამაზეს. მართალია, თამარ მეფის ციკლის ფოლკლორული შემოქმედება უმეტესწილად ისტორიულ სინამდვილეს აღწერს, მაგრამ ზოგჯერ მითურ ელემენტებსაც უმატებს, ჰიპერბოლებით ამკობს, ანაქრონიზმებით ავსებს, ციკლიზაცია-კონტამინაციის წესით სხვა გმირთა ციკლის ნიმუშებსაც უკავშირებს, მაგრამ ყოველივე ეს როდი აბუნდოვანებს თამარის სახეს; პირიქით, ეს ფაქტი ხალხის მიერ თავისი სათაყვანო მეფის ღვაწლისა და დამსახურების პატივმიგებად აღიქმება, რაც, რა თქმა უნდა, ყველა ისტორიულ პიროვნებას როდი რგებია წილად. აკი ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნე-ხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურ თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ“.[2]

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959, გვ. 3.

2 ვაჟა ფშაველა, გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით. – ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986, გვ. 591.

მკვლევარ დავით წერედიანის მართებული მოსაზრებით, „ისტორიული სურათი ხალხის ხსოვნაში მკრთალდება და მის ადგილს მითური არქეტიპი იჭერს. რაც უფრო მეტ აღტაცებას იწვევს ისტორიული პიროვნება, მით უფრო მეტი ძალით წარმოჩნდება არქეტიპი, მით უფრო მალე იწყება მისი შემოსვა ლეგენდებით და იგი ხშირად კულტის საგანიც ხდება".[1]

ბუნებრივია, საუკუნეთა მანძილზე ეს გზა გაიარა თამარ მეფის ციკლის ქართულმა ზეპირსიტყვიერებამაც, რომლის ყოველი ნიმუშიდან გამოსჭვივის ხალხის უსაზღვრო სიყვარული ქვეყნისათვის თავდადებული მეფე ქალის მიმართ, რომელიც პირადი ცხოვრებითაც უდიდეს ზნეობრივ მაგალითებს აძლევდა ერს. ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისათვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივი ძალით მასში გაერთიანებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზსა და სათუთ არსებას, უმშვენიერეს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ამოჰკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელი მოსპო! ამის შემდეგ ან რა გასაოცარია, თუ რომ საქართველოში „სახლთა

1 დ. წერედიანი, ჯადოსნური ზღაპრის ჟანრული თავისებურებანი. – ქართული ფოლკლორი, ტ. X, თბ., 1981, გვ. 40.

ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს„ და „ყრმანი ... თამარის ქებათა მელექსეობდიან".[1] ამ მელექსეობის კეთილი ნაყოფია თამარ მეფის ციკლის ხალხური შემოქმედება, რომელიც წვრთნის ჩვენი ერის ზნეობას, ზრდის ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მაგალითად უსახავს რა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავად მზრუნველ მეფე თამარს.

ცნობილი ფშაველი მელექსის – იოსებ ბაიაშვილის (1908-1989) ლექსში „თამარის ციხე"[2] გამოთქმულია მწუხარება იმის გამო, რომ დღეს საძებნელი გახდა წინაპრის კვალი, ქართველი კაცი რაღაცა ძალას დაუმუნჯებია, აღარც ძველებური ლხინის ხმა ისმის და თამარის ციხეც ნანგრევებად ქცეულა. სწორედ ამ ნანგრევებს, ვითარცა გმირული წარსულის უტყუარ მოწმეს, ეკითხება მთქმელი დღევანდელობის შეჭირვების მიზეზს:

შენ გეკითხები, ნანგრევო,
მითხარ მიზეზი ამისა.
მოტრფიალე ვარ, ვიცოდე
შენის ტკბილის და მწარისა.
რამ დაგანგრია, ეს მაინც
მითხარ სიმუხთლე ჟამისა!

სახალხო მელექსის წარმოსახვით, ლოდებს გმინვა ამოხდებათ და ასე პასუხობენ:

ქართველთ სიმტკიცემ მაშენა,
ქალმა ბრძენმა და ჭკვიანმა,

---

1 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1983, გვ. 294.

2 ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეულები, კრებული I, იოსებ ბაიაშვილი, თბ., 1991, გვ. 77-78.

სული შესწირეს მამულსა,
ლეში შეჭამა ჭიამა.
წამართვა ბევრი დამცველი
ჟამთა უკუღმა ტრიალმა,
ლიბო კი ვერ შამირყია
მტარვალთ საყვირის გრიალმა.
ვერცა-რა ხმალმა დამაკლო,
ვერც ისარმ ორბის ფრთიანმა.
.....
მტრებს გულიც ბევრჯერ ატკივნა
ჩემ მიყენებულ ზიანმა,
წყლულებიც ბევრჯერ მიყუჩა
ჩონგურის, თარის წკრიალმა,
ვაჟკაცმაც ბევრმა მიმღერა,
ქალმაც ხელკალათიანმა,
ქებაც მრავალი შემასხა
მეხოტბემ ენაწყლიანმა.
რაც მიყვა, მიყვა ღალატმა,
ოქრომ დამშალა ტიალმა,
თავიც გაყიდა, მენაცა
სიცოცხლე-სიკვდილიანმა.

ლექსში წარმოჩენილი თამარისდროინდელი ციხესიმაგრე, რომელიც დღეს ნანგრევებად არის ქცეული, სახალხო მთქმელს ქართველთა სულიერი სიმტკიცის ორიენტირად ეგულება. ეს არის ამ მშვენიერი პატრიოტული ლექსისა და თამარის ციკლის ხალხური ნაწარმოებების იდეაც – წინაპართა საგმირო საქმეთა გაცოცხლებით, წარსულის მდიდარი ზნეობრივი ტრადიციების გახსენებით,

გააკაჟოს ერის სულიერება, გაამდიდროს მისი ზნეობრივი პოტენციალი.

მონატრება ერის ჭეშმარიტი პატრონისა და მოამაგე მეფისა ყველა თაობის მელექსეთა შინაგანი თვისებაა; ქართველი სახალხო მთქმელები მშობელი ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნების ყოველ ღირსსახსოვარ ნაყშს თამარ მეფის სიმშვენიერესთან აიგივებენ და ცდილობენ, შექმნან საკუთარი ვერბალური ხატი სათაყვანო თამარ დედოფლისა. ქართლელი სახალხო მელექსე დ. მესროფაშვილი ლექსში „ასეთი იყო თამარი" ამბობს:

ტყეს რომ შევყურებ აქოჩრილს,
მისი ნაწნავი მგონია,
მთაში წყაროთა ჩუხჩუხი
თვალზე ცრემლმონაჟონია.
მოლზე ყაყაჩოს სიწითლე
მისი ტუჩების ზოლია,
მთაზე ნისლი და ღრუბელი
შურისძიების ბოლია.
მდინარეები ცელქები
მისი თითების ტოლია,
ქართლისა მთაგრეხილები
მის წარბთა თანასწორია,
სიმაღლე იალბუზისა
ალვა ტანისა სწორია...[1]

სამშობლო ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარულის, მისი ჭეშმარიტი მსახურის – დიდებული მეფე თამარისადმი

1 ნამცვრევი (ხალხური პოეზია, ჩანერილი ქართლში). შემკრებ-შემდგენელი გიორგი ხორგუაშვილი, თბ., 1989, გვ. 116.

მიძღვნილ მშობელი ხალხის გულმართალსა და მიუკერძოებელ ზეპირსიტყვიერებაში უხვად განფენილ სიყვარულსა და მოწიწებას, ქება-დიდებასა და ღვაწლის დაფასებას მშვენივრად ეხმაურება მეფეთა პატივისა თუ პატიჟის კარგად მცოდნე არჩილ მეფე; პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა" ბრძენი შოთა რუსთაველის პირით იგი ასე ახასიათებს თამარის „ჟამის ნაქმარნსა" და „მის დროთჲ საქართველოს ცხოვრებასა":

როს თამარ, დიდი ხელმწიფე, სრულ ხმელთა პირსა
ნათობდა,
სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა,
ბროლ-მინა ერთად შეთხზნილი, გარშემ გიშერი
სათოდა,
მძლეველი მძლავრთა მეფეთა, დამამხობელი მათო და,
ამხედრდა ჰუნეს მეფეთას, აღვირი იპყრა ძლიერად,
მან ტახტი ხელმწიფობისა შეამკო, კმა მის მიერად,
გაბრწყინვებული განშვენდა სფერო უღრუბლო აერად,
დაიპყრა შვიდივ სამეფო ლიხთ ამერითგან იმერად.
თორმეტს წელიწადს სიბრძნითა სამეფოს გაარიგებდა,
ურჩს შეიპყრობდა, ერთგულთა სვე-ბედით
აამაღლებდა,
ლაშქართა სარდლებს უჩენდა, ერთს
ამირსპასალარებდა,
მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა, ამაყთა
მოამდაბლებდა.

. . ..

აჩინა ყოვლი მოხელე მის მის პატივსა უპყრობდა,
წინ-მდგომობისა პატივი ვის ჰქონდა, ვინ წაუსწრობდა;

ამპარტავანთა ღრუბელი განქარდა, ვეღარ ავდრობდა.
ახლა ისმინე, სამზღვარი საით სადამდის იპყრობდა:
პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერიდამ
დარუბანდამდის,
ყოვლნი კავკასნი, იმერნი ხაზარეთამდის,
მთით გელაქუნით, ჩრდილო-კერძ მპყრობელი სრულ
ყივჩაყამდის...[1]

თამარის გასხივოსნებული, ზნეობრივად განსპეტაკებული სახე, სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარულით ანთებული მისი ღრმად ჰუმანური პიროვნება ხომ ყოველთვის, ყველა ეპოქაში იტევდა ადამიანთა ზნეობრივი მოძღვრის საპატიო ფუნქციას; ქართველი ხალხისათვის ყოველი ისტორიული ძნელბედობის ჟამს თამარ მეფე და მისი ძლევამოსილი ეპოქა სამაგალითო და მისაბაძი იყო. ამდენად, სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად აღიქმება ის გარემოება, რომ ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ საუკუნეების მანძილზე დიდი სასოებით ატარა თამარ მეფის ღორსსახსოვარი სახელი და არათუ რაიმე დააკლო, პირიქით, კიდევ უფრო მეტი სინათლე და ცხოველმყოფელობა შესძინა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ უმძაფრესი მამულიშვილური ტკივილების ჟამს გრიგოლ ორბელიანმა ბეთანიის ეკლესიის კედელზე გამოსახულ თამარ მეფის ფრესკას შემდეგი სიტყვებით მიმართა:

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,

1 ქართული მწერლობა, ტ. 6, თბ., 1989, გვ. 483.

სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის – გიმზერ,
ვსწუხვარ – და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას...[1]

თამარს შესთხოვდა ერის დიდი მოჭირნახულე პოეტი დახმარებას, ევედრებოდა, გადმოეხედა მისი ნაამაგარი ქვეყნისათვის. დღესაც, და, ალბათ, ყოველთვის, ვიდრე ჩვენი ერი იცოცხლებს და იღვაწებს, ეგების, თამარის ეპოქაში ხშირად გადავიხედოთ, ამოვკრიბოთ ერის ზნეობრივი მარგალიტები, სათნოების, სიკეთის, აღმშენებლობის ჯავშნად შემოვირტყათ და ჩვენი სათაყვანო მეფის უკვდავ სულს მუდმივად შევთხოვოთ, გადმოხედოს მის ნაამაგარ ქვეყანას, რათა „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის". ამ მიზანს ემსახურება საუკუნეთა ტევრში გამოტარებული თამარ მეფის ციკლის საისტორიო ფოლკლორიც. რა დიდებულად ბრძანა გრიგოლ რობაქიძემ: „... აქ, საქართველოში, თამარის საოცარი სახელით მრთელდებოდა გაწყვეტილი ზოლი ერის სხეულის. დიახ: თამარის სახელი ჰიეროგლიფია ნამდვილი, – ხოლო არა ქვაზე კვეთილი, არამედ – სულის

1 ქართული პოეზია, თბ., 1977, გვ. 218.

ნერვით ახაზული: ჰიეროგლიფი – ნერვი, რომლის სათუთი ცახცახი აცოცხლებს გადასულს ჟამთა და განცდათა. რომელიმე რჩეული ქართველი ამ ჰიეროგლიფის გამოცნობით (და, მაშასადამე, თანაზიარობით) რომელიმე საუკუნის ქართველის გულის ფართქალსა ჰგრძნობდა (და გრძნობს დღესაც) და ერთი მეორეს უხილავად გადართული ქართველები ამ უცნაური სახელით ჰქმნიდნენ საქართველოს ისტორიის მთლიან ცხოვრებას".[1] მართლაც, სამშობლოს მსახურებაში თამარ მეფისადმი სწორება ყოველი თაობის ქართველთა იდეალია; თამარის უკვდავი სახელი საქართველოს სიმბოლოდ იქცა, რაც უდიდესი მოწიწებითა და თაყვანისცემით აისახა კიდეც ქართულ ფოლკლორში.

1 გრ. რობაქიძე, თამარ. – გაზ. „სახალხო განათლება", 26 აპრილი, 1989.

Тина Шиошвили
Царица Тамар в грузинском фольклоре
Резюме

В книге изучено устное народное творчество цикла царицы Тамар, основными темами которого являются: борьба против внешних врагов, строительство страны, религиозность Тамар, традиционные мотивы чудесного оплодотворения и брошенных детей, смерть царицы Тамар и тайна места её захоронения, царица Тамар и Шота Руставели; рассмотрен также бессмертный образ царицы Тамар, сохранившийся в устном народном творчестве тех, кто проживает в исторически грузинских регионах Турции и тех, кто является потомками грузинских мухаджиров.

В вербальном образе царицы Тамар, сохранившемся в грузинском фольклоре, вместе собраны исторические и фантастические, реальные и сверхъестественные, мифические и сказочные мотивы, согласно которым великая царица, объявленная святой грузинской православной церковью, всесторонне невинной и нравственной, равной божеству предстает перед нами. Поэтому каждый регион Грузии претендует на то, чтобы быть местом, где она захоронена, всё грандиозное и величественное считает возведенной ею, а эпоху её правления вспоминает, как золотой век.

Царицу Тамар, внесшую огромный вклад в развитие своей страны, народ назвал великой матерью Грузии, в её

восшествий на престол увидел волю божью, на протяжении веков с благоговением сохранял её имя и создал многообразное в жанровом отношении устное народное творчество, в котором показаны не только внешняя красота царицы Тамар, но и всё великолепие её внутренного мира, её великий талант развития, укрепления и обороны государства.

В результате, перед потомками во всем своем величии предстала огромная личность царицы, которую народная поэзия сравнила с храмом Гелати.

Tina Shioshvili
Tamar the Great in Georgian folklore
Summary

The book deals with people's oral creative work of Tamar the Great cycle, the main topics of which are: struggle against external enemies, country building, Tamar's religiousness, traditional motives of miraculous fertilization and left children, death of Tamar the Great and secrecy of her burial place, Tamar and Shota Rustaveli; Tamar the Great's immortal image, kept in oral people's creative work of those who live in Georgian historical regions of Turkey and those who are descendants of Georgian Muhajirs is also described.

Historical and fantastic, real and supermatural, mythical and fairy tales motives, according to which, the Great Queen, beautified by Georgian Orthodox Church, appears innocent and moral in verbal image of Tamar the Great, which is kept in Georgian folklore. That is why each Georgian Region pretends to be her burial place and considers her epoch as the Golden Age.

Tamar the Great, who put the greatest contribution to her country development, people called Georgia's Great Mother, in ascent to throne of which people saw the God's will, kept her name and created varied in genres oral people's creative work in which not only physical beauty of Tamar the Great is shown but also her rich inner world, her great talent of development, consolidation and defense of the state.

As the result, descendants see the great personality of the Great Queen, who is compared with Gelati Temple in people's poetry.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თამარს ვაქებდეთ მეფესა 3

თამარ მეფე – საქართველოს დიდი დედა..... 11

თამარ მეფე – მტერთა რისხვა და

სამშობლოს რკინის კარები 91

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა... 115

„მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“ 156

თამარ მეფე და შოთა რუსთაველი 166

თამარ მეფე ჩვენებურთა ფოლკლორში..... 197

„არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა...“ 206

რეზიუმე რუსულ ენაზე 227

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 229

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
შ.პ.ს. „ლამპარი-99“



ტელ.: 599 554 662
570 109 327
0422 246 535

დირექტორი: **დავით ბარამიძე**
მხატვარი: **ზურაბ ხაბაძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი
ტექნიკური უზრუნველყოფა: **ბესო დარასელია**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.02.2014

შეკვეთის ნომერი 2

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო